პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

პარასკევი, 11 დეკემბერი 1925წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 285 (1440)

დღიური

— მთელ საქართველოში დაიწყო მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის.

— სამარყანდში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საგლეხო სესხის ტირაჟი.

— ბათომიდან საფრანგეთში გაიგზავნა 14,242 ტონა მაზუთი.

— კუნძულ კუბაზე დააპატიმრეს იქაური კომპარტიის ბელადი მელლა.

— საფრანგეთის მთავრობამ დეპუტატთა პალატაში შეიტანა ორი საფინანსო პროექტი.

შაბათს, 12 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება
საქარ. ცაკის პრეზიდიუმის
სხდომა
ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.
ცაკის მდივანი ს. თოდრია.

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

როგორც მკითხველები გაიგებდენ დეპეშებიდან, ამ დღეებში გადადგა ლიუტერის კაბინეტი. ეხლა გერმანიაში პარტიებ შორის ვაჭრობა სწარმოებს ახალი მთავრობის შედგენისთვის.

მთავრობის კრიზისი გერმანიაში უფრო ადრე დაიწყო, სახელდობრ, ლოკარნოში ხელშეკრულებაზე წინასწარი ხელმოწერის შემდეგ. მაშინ ნაციონალისტური პარტია ოპოზიციაში ჩაუდგა მთავრობას—ძალიან ბევრი დასთმო და სახელმწიფოს ინტერესები შელახაო. ამ ნიადაგზე მთავრობიდან გამოვიდენ ნაციონალისტური პარტიის წარმომადგენელი მინისტრები. მაგრამ ასეთ ოპოზიციას ნაციონალისტებისათვის ხელი არ შეუშლია, რეიხსტაგში ლოკარნოს ხელშეკრულების განხილვის დროს, თავი შეეკავებიათ და ამით უზრუნველეყოთ მისი დამტკიცება. ნაციონალისტების უარყოფითი დამოკიდებულება ლიუტერის მთავრობის საგარეო პოლიტიკისადმი (ლოკარნოს საკითხში) არსებითად ჩვეულებრივი ფანდი იყო ქვეყნის შინაურ საქმეებზე გავლენის მოსახდენად, საშინაო პოლიტიკაში უფრო მემარჯვენე კურსის ასაღებად.

მთავრობის ეხლანდელი გადადგომა გამოწვეულია გერმანიის შინაური მდგომარეობის გართულებით, პირველ ყოვლისა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ კრიზისს დამოკიდებულება არ ჰქონდეს გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობასთან. საგულისხმოა გაზეთის გუშინდელ №-ში მოთავსებული ცნობა, რომ გერმანია მთავრობის კრიზისს საბაბად გამოიყენებს და არ მოისურვებს ერთა ლიგაში შესვლასო. ჩვენ საფუძვლიანად ვეჭვობთ, რომ ასე მოიქცენ გერმანიის მმართველი წრეები. ლონდონში ლოკარნოს ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ ამაზე შეუძლებელიცაა ლაპარაკი. მაგრამ ერთი რამ ცხადია, სახელდობრ: გერმანიის მეთაურები ამ კრიზისს ხელზე დაიხვევენ, რომ რაიმე შეღავათები „გამოსცინცლონ" ინგლის-საფრანგეთს.

მთავრობის კრიზისის წყარო გერმანიის მრეწველობის დაშლის პროცესი და აქედან წარმოშობილი კლასობრივ ბრძოლის გამწვავება. უკანასკნელი სტატისტიკური ცნობების თანახმად, ნოემბრის განმავლობაში გაკოტრდა 1343 წარმოება, ოქტომბერში გაკოტრებულ წარმოებათა რიცხვი უდრიდა 1164 ს; ოქტომბერში მზრუნველობაზე იყო აყვანილი 633 წარმოება, ნოემბერში კი ასეთების რიცხვი აღწევდა 967-ს. კრუპის ქარხნების ადმინისტრაციამ გადასწყვიტა შეამციროს მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 24 ათასიდან 10 ათასამდე. რეინის ოლქის ნახშირის მფლობელთა საზოგადოებამ (კონცერნმა) თავის კრებაზე გადასწყვიტა საბოლოოდ შეაჩეროს მუშაობა.

ესაა მხოლოდ ზოგიერთი ბოლოდროინდელი ფაქტები ნგრევის გზაზე დაქანებულ გერმანიის მრეწველობის მდგომარეობიდან. საერთოდ კი მთელს გერმანიაში მასიური ხასიათი მიიღო წარმოებათა შემცირებამ და დახურვამ. ამასთან დაკავშირებით დღითი-დღე იზრდება უმუშევართა რაოდენობა, რომელნიც პირდაპირ ულუკმა-პუროდ რჩებიან. არც სამუშაოზე დატოვებულთა მდგომარეობაა სახარბიელო. ისედაც მცირე ხელფასის მქონეთ, მწარმოებელნი მათ ემუქრებიან მის უფრო შემცირებას, მრეწველობის კრიზისის მომიზეზებით. აქ, თავის თავად ცხადია, ადგილი აქვს მრეწველობის კრიზისის რაც შეიძლება გადაჭარბებულად დახატვას, რათა ამაზე ხელი მოითბონ კაპიტალისტებმა და გამოიყენონ იგი თავის ჯიბის გასასქელებლად, მუშების წინააღმდეგ გასალაშქრებლად, მათი უსაზღვრო ექსპლოატაციისათვის.

მაგრამ ამავე დროს უდაოა, რომ გერმანიის მრეწველობის კრიზისი ღრმავდება და ფართე ხასიათს ღებულობს. რით აიხსნება ეს მოვლენა? ამერიკის მიერ გახსნილი კრედიტების (დაუესის გეგმის თანახმად) წყალობით, გერმანიის ეკონომიკა, როგორც ვიცით, აღორძინების გზას დადგა. ფაბრიკა-ქარხნები ამუშავდენ, უმუშევართა რიცხვმა საგრძნობლად მოიკლო. ეს კრედიტები უკვე იწურება და გერმანიის ხელოვნურად გამოცოცხლებული მეურნეობა ისევ იწყებს სულის ღაფვას.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საგარეო ბაზრის უქონლობას გერმანიის ნაწარმოებისათვის. დაუესის გეგმის გატარების პირველ ხანებში გერმანია დიდძალ იაფ საქონელს ამზადებდა (არა მარტო თავისი საუკეთესო ტეხნიკური მოწყობილობის მიზეზით, არამედ უფრო მეტად იაფი მუშა-ხელის და სამუშაო დღის სიდიდის მეოხებით). ამდენი საქონელი შინაურმა ბაზარმა ვერ შთანთქა და მით აივსო მთელი ევროპა, კერძოდ, ინგლისის საქონელს უწევდა სასტიკ კონკურენციას თვით ინგლისში, რომ არ ვილაპარაკოთ გარეშე ბაზრებზე. დაუესის გეგმა ამნაირად დაემუქრა ინგლისის მრეწველობას.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ მწვავედ დგას ინგლისში საქონლის გასაღების საკითხი, ამ ქვეყანას ხელიდან ეცლებიან კოლონიები და დომინიონების ბაზრები. ამიტომ ინგლისმა შემოიღო პროტექციონიზმი. ამ წელს აღდგენილ იქნა 1921 წ. 1 ოქტომბრის კანონი მრეწველობის დაცვის შესახებ. ინგლისში შემოსაზიდ საქონელზე მაღალი ტარიფები დაწესდა. თავისუფალ ვაჭრობის ტრადიციული ქვეყანა პროტექციონულ სახელმწიფოდ იქცა. ამ ერთი წლის წინად დადებული იყო ინგლის-გერმანიას შორის სავაჭრო ხელშეკრულება საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ თანაბარ პირობებზე. მაშინ ინგლისი არ მოელოდა, რომ გერმანია შესძლებდა მისთვის კონკურენციის გაწევას. დღეს კი, როცა ეს ფაქტი შეიქნა, ინგლისმა მაღალი ტარიფებით მაგრად გადაუღობა კარები გერმანიის ნაწარმოებს. საალებ-მიცემო ურთიერთობის მოსაგვარებლად ამას წინად შემდგარი ინგლის-გერმანიის წარმომადგენელთა კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა.

ამგვარად, გერმანია განიცდის თავის მრეწველობის პროდუქციის გასაღების ღრმა კრიზისს.

ყველაფერ ამან ძირ-ფესვიანად შეარყია ლიუტერის კაბინეტის სიმტკიცე. შექმნილი მდგომარეობიდან ეძებენ გამოსავალს. მოლაპარაკება სწარმოებს „დიდი კოალიციის" შექმნის შესახებ, სახალხო პარტიის, ცენტრის, დემოკრატების და სოციალ-დემოკრატების მონაწილეობით. ეს თითქოს ნიშნავს პოლიტიკის მარცხნივ გადახრას. როგორც დეპეშები იუწყებიან, სოციალ-დემოკრატები ემზადებიან მთავრობაში მონაწილეობის მისაღებად. ბურჟუაზიის ნაცადი ხერხია, როცა ის გაჭირვებაში ჩავარდება, მოიშველიოს სოციალ-დემოკრატია. ასეა ეხლაც. მენშევიკების საშუალებით ბურჟუაზია ცდილობს უკმაყოფილო მასსების დაშოშმინებას.

ეხლა შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა პოლიტიკურ კომბინაციებს ექნება ადგილი გერმანიაში მთავრობის კრიზისის გადასაჭრელად. მაგრამ რანაირი კომბინაციებიც არ უნდა მოეწყოს, ამით მოუხერხებელია გერმანიის ეკონომიკის მკვიდრი აღორძინება. უცხოელ კაპიტალის (დაუესის გეგმა, ლოკარნო) მონობაში ჩავარდნილი გერმანია თავის მძიმე მდგომარეობიდან თავს ვერ დააღწევს. გერმანიის წინაშე ეხლანდელი კრიზისი ისევ აყენებს საკითხს ორიენტაციის შესახებ. მხოლოდ საბჭოთა კავშირთან დაახლოვებას და ეკონომიურ თანამშრომლობას შეუძლია შეამსუბუქოს გერმანიის ბედი.

საჭირო ღონისძიება

საცალო ფასების ზრდის და სპეკულიაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო საქონლის იძულებითი ასორტიმენტის (შერჩევის) სისტემა, რომელმაც იმთავითვე ფართოდ მოიკიდა ფეხი ჩვენი მრეწველობის და ვაჭრობის პრაქტიკაში.

სინდიკატები და ტრესტები კოოპერატივებს და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს აძლევდენ არა მარტო ფართოდ მოსახმარ საქონელს, რომელზე დიდი მოთხოვნილება იყო, არამედ ამასთან ერთად თავზე ახვევდენ ისეთ საგნებს, რომლებიც ძალიან მცირედ საღდებოდა ან სულაც არ გადიოდა, როგორც მათი სიძვირის, ისე მუშის და გლეხის საჭიროებისათვის გამოუსადეგობის გამო. მაგ. კოოპერატივებს უმთავრესად ესაჭიროებათ ჩითი, ბამბა და სხვა ასეთი ქსოვილები, გლეხ და მუშა-მომხმარებლისათვის, მაგრამ საფეიქრო სინდიკატი ნარმასა და ჩითთან ერთად აძლევდა დიდი რაოდენობით, ხშირად 30—40 პროცენტით, მაუდს და შალეულს, რომელნიც მიუწდომელი იყვნენ მასსისათვის. ან, მაგ., კოოპერატივს უნდა ლურსმანი, რაზა, კოჭაკი, პატარა ქვაბები და სხვა ოჯახში სახმარებელი ლითონის წვრილმანი ნაწარმოები. ლითონის ტრესტი ყველა ამას ზედ უმატებდა მსხვილ საგნებს, ისეთ ნივთებს, რომელნიც არ გამოადგებათ მუშების და გლეხების ოჯახებს. ეხევე შეიძლება ითქვას მრავალ სხვა პროდუქციაზედაც მაგ. პარფიუმერიის ნაწარმოებზე და სხვა.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საბჭოთა სამრეწველო გაერთიანებებს ამოძრავებდა არა ბოროტი ნებისყოფა. მსოფლიო ომისა და სამხედრო კომუნიზმის პერიოდის შემდეგ ჩვენ შეგვრჩა ისეთი მრეწველობა, რომელიც სათანადოთ არ იყო შეფარდებული ფართე მოსახლეობის მოთხოვნილებებთან ტეხნიკური პირობების გამო ჩვენ არ შეგვეძლო მარტო ისეთი საქონლის დამზადება, რომლის სავსებით გასაღება უზრუნველყოფილი იქნებოდა, არც ნაკლებად გამოსადეგ საგნების გამომშვებ ფაბრიკა-ქარხნების გარდაქმნა იყო მოსახერხებელი, ვინაიდგან ეს მოითხოვდა ხანგრძლივ დროს და აუარებელ თანხას.

ასეთი მდგომარეობის შედეგი ის იყო, რომ კოოპერატივებში დიდი ხნით ბლომად ეყარა გაუსაღებელი საქონელი და მასზე დახარჯული ფული აუნაზღაურებელი და უქმად გაჩერებული იყო. ბოლოს და ბოლოს კოოპერატივები იძულებული ხდებოდენ ასეთი საქონელი კერძო ბაზარზე გაეტანათ და გაცვლებით უფრო დაკლებულ ფასებში გაეყიდათ, ვინემ თვითონ ჰქონდათ შეძენილი. კოოპერატივები მათთვის იძულებითი ასორტიმენტის წყალობით მიყენებულ ზარალს ინაზღაურებდენ საცალო ფასების მომატებით ფართოდ მოსახმარ საქონელზე. ნაწილობრივ ამითვე აიხსნება, რომ ისინი კერძო ვაჭრებს უგდებდენ ხელში მშრომელ მოსახლეობისათვის მისაწოდებელ საქონელს, რა თქმა უნდა, მაღალ ფასებში, რომ ამით გამოესწორებიათ თავისი ფინანსიური მდგომარეობა.

ბრძოლა საქონლის იძულებითი ასორტიმენტის პრაქტიკის წინააღმდეგ დიდი ხანია სწარმოებს. საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ სრული დატვირთვით ამუშაოს ის წარმოებანი, რომელნიც ამზადებენ ფართოთ მოსახმარ საგნებს, რომ შესაძლებელ ღონემდე აიყვანოს მათი პროდუქციის რაოდენობა. ამავე დროს ხდება ფაბრიკა-ქარხნების გადაკეთება იმ მიმართულებით, რომ ისინი გამოყენებულ იქნან მშრომელ მოსახლეობისათვის პირველ რიგში საჭირო საქონლის დასამზადებლად. ყველა ამ მუშაობის შედეგები თვალსაჩინოა.

მიუხედავათ ამისა, მოსახლეობის სყიდვითი უნარი იმდენად გაიზარდა, რომ იგი წინ უსწრებს შეუჩერებელ და სწრაფი ზრდის გზაზე მდგარ მრეწველობას. საქონლის სიმცირე ჯერაც არ არის დაძლეული. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქონლის იძულებითი ასორტიმენტის პრაქტიკის აღმოფხვრას, რომელმა პრაქტიკამ ბოლო დროს ისევ ფართე ხასიათი მიიღო. ამ მხრივ კიდეც გადადგმულია გადამჭრელი ნაბიჯები. როგორც მრეწველობის ორგანოებს ისე კოოპერატიულ გაერთიანებათ სასტიკად აეკრძალათ ამა თუ იმ საქონლის იძულებით მოხვევა კოოპერატივებზე და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებზე. ამაში დამნაშავენი პასუხისმგებლობაში იქნებიან მიცემული.

ამ ღონისძიებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ბაზრის გაჯანსაღებისათვის, პირველყოვლისა, კოოპერაციის განმტკიცებისათვის. კოოპერაციას საშუალება ეძლევა დაუკლოს საცალო ფასები სამრეწველო საგნებზე, გაადიდოს საქონლის ტრიალის სისწრაფე, განიტვირთოს თავი ნაკლებად სახმარ ნივთებისაგან, უფრო ფართედ დააკმაყოფილოს მოსახლეობა პირველ საჭიროების საგნებით; ეს აგრეთვე ხელს შეუწყობს კოოპერაციის ფინანსიურ გამაგრებას და მასში ბოროტმოქმედებათა და სპეკულიაციის მოსპობას.

ტრესტებმა და სინდიკატებმა სისწორით უნდა გაატარონ ხსენებული ზომა. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ისინი საქმეს შეხედავენ არა ვიწრო უწყებრივი დროებითი კომერციული თვალსაზრისით არამედ ამაღლდებიან ჩვენს წინაშე საქონლის ნაკლებობის დაძლევის დარგში მდგარ ამოცანების შეგნებამდე.

საჭიროა გაძლიერებულ იქნას კონტროლი სათანადო ორგანოების (ვაჭრობის კომისარიატი, ინსპექცია) და მშრომელთა საზოგადოების მხრით, რათა საქონლის იძულებითი ასორტიმენტის პრაქტიკას ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო.

წერილი ინგლისიდან

კომპარტიის მდგომარეობა

კომუნისტურ პარტიის თორმეტი ბელადის წინააღმდეგ დაწყებულ პროცესის ერთად-ერთ მიზანს ის შეადგენდა, რომ პარტია გამოეცხადებინათ არალეგალურ ორგანიზაციად. როგორც ხედავთ—მისი მოსპობა დღის წესრიგში სდგას. მაშ ინგლისის კომუნიზმისათვის წინდაწინვე უნდა გავითვალისწინოთ ხანა მისი არალეგალური მდგომარეობისა. და ეს იქნება ხანა სხვადასხვა პროცესებისა და, თუ გნებავთ, ოფიციალურ პროპაგანდისაც.

ჯერ დრო არ არის ვიმსჯელოთ, როგორი იქნება ინგლისის კომპარტიის მდგომარეობა, თუ, როგორც მოსალოდნელია, კონსერვატორული მთავრობა ბოლომდის განაგრძობს თავის ძალმომრეობისა და უსამართლობის პოლიტიკას. ჯერ-ჯერობით კი კომუნისტების მდგომარეობა უნდა გაისინჯოს ერთი მხრივ მთავრობის დევნისა და მეორე მხრივ ლივერპულის გადაწყვეტილების თვალსაზრისით.

ცხადია, რომ ამ ორმაგ იერიშის საწინააღმდეგოთ კომუნისტების სიფხიზლე და ენერგია უფრო უნდა გაორკეცდეს როგორც ინდივიდუალურათ, ისე საერთოდაც.

რაც შეეხება მუშათა პარტიას, უფრო მის ბელადებს, რომლებმაც ლივერპულში გაიმარჯვეს, ტყუილათ ნუ გვექნება იმედი, რომ იმათ შესცვალონ თავიანთი გეზი მთავრობის ძალმომრეობის გამო, [illegible] პარტიის მემარცხენე ფრთა კი, რომელიც დღე და დღე იზრდება, სავსებით თანაუგრძნობს მთავრობის ძალმომრეობის მსხვერპლებს.

ტრედიუნიონებზე რომ არ ვილაპარაკოთ, მუშათა პარტიის მრავალი პოლიტიკური სექციები, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ მუშათა პარტიის აღმასკომთან, უარს ამბობენ ცხოვრებაში გაატარონ ლივერპულის გადაწყვეტილებანი. ამიტომაც მუშათა პარტიის აღმასკომმა უკანასკნელ კრებაზე უარი სთქვა თავის გადაწყვეტილებაზე გამორიცხონ ურჩი სექციები პარტიიდან, სცდილობენ, დაჯერებით იმოქმედონ ურჩ სექციებზე, რომ მათ სავსებით დაიცვან კონგრესის გადაწყვეტილებანი. მიუხედავათ ამისა, ბევრი სექცია მაინც უარს ამბობს დამორჩილებაზე მუშათა პარტიის მემარჯვენე ფრთის ბელადები კი ჯერჯერობით ისე შორს არ წავიდენ, რომ ძალით მოახვიონ თავზე თავიანთი გადაწყვეტილება გაჯიუტებულ სექციებს, რადგან ეშინიათ გათიშვისა.

კომუნისტებისათვის სავსებით აშკარაა მათი ქცევა და კიდევ უფრო აშკარა ხდება ეს არალეგალურ მდგომარეობის მოლოდინში. ვინც აქამომდის მუშათა პარტიის გარეთ იდგა, ეხლა ინდივიდუალურათ უნდა შეუერთდეს მას, ისინი უნდა შეიქმნენ აქტიურები, მონაწილეობა მიიღონ ყოველ კრებაზე, ყოველ კონფერენციაზე, რომ გააბათილონ იქ ლივერპულის გადაწყვეტილებანი, რაც წარმოადგენს მუშათა საწინააღმდეგო პოლიტიკას, პოლიტიკას გათიშვისას, რაც არსებითად ეწინააღმდეგება თვით მუშათა პარტიის ინტერესებს.

ცხადზე უცხადესია, რომ თუ გამორიცხვის პოლიტიკამ გაიმარჯვა, ბრძოლა ამით არ უნდა გათავდეს, თუ ვინმე გამორიცხეს, მაშინ მუშათა პარტიაში დარჩენილ კომუნისტების მოვალეობას შეადგენს, გამორიცხვის წინააღმდეგ ხმის მიმცემთა დახმარებით შეაკავშირონ სხვადასხვა ფრაქციებში და გადააქციონ ის ნაციონალურ (ე. ი. მთელი სახელმწიფოს მასშტაბში მომქმედ) ფრაქციათ თვით მუშათა პარტიის წიაღში. ამ ფრაქციებმა თავიანთი მოქმედება არ უნდა განსაზღვრონ მარტო რეზოლიუციების გამოტანით. მათ უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებული აქტიობა, რომ მემარჯვენე ბელადებს თავზე მოახვიონ ის პოლიტიკა, რომელიც მათ მიაჩნიათ სწორათ.

უნდა გაორკეცდეს მუშაობა იმ ტრედიუნიონებში, რომლის დელეგატებმაც ლივერპულში ხმა მისცეს გამორიცხვას—წინააღმდეგ სკარბოროს კონგრესის გადაწყვეტილებისა.

იმ შემთხვევაში, თუ მუშათა პარტიის აღმასკომი გამორიცხავს იმ სექციებს, რომლებიც არ ანხორციელებენ ლივერპულის გადაწყვეტილებათ, მაშინ დაიწყება სასტიკი ბრძოლა, მაშინ მოხდება მუშათა პარტიის ორ ჯგუფად გაყოფა და, თუ ადგილობრივ დაარსდა ახალი მუშათა პარტია, მაშინ ბრძოლა უნდა სწარმოებდეს ორივე სექციის შესაერთებლათ და მთლიანი ფრონტის შესაქმნელად. ეს იქნება საუკეთესო პასუხი მუშათა კლასის გამთიშველებისათვის.

ყველამ უწყის, რომ მუნიციპალურ არჩევნების დროს კომპარტიამ დაიცვა ერთიანი ფრონტის პოლიტიკა და მხარი დაუჭირა მუშათა პარტიის კანდიდატებს. ისიც უწყიან, რომ ურჩ სექციების კანდიდატების წინააღმდეგ, რომლებიც იცავდენ ერთიანი ფრონტის აუცილებლობას, მუშათა პარტიის მიერ წამოყენებული ყველა კანდიდატები დამარცხდენ. ამის მაგალითს იძლევა კოტბრიჯისა და შოტლენდის არჩევნები.

მუშათა პარტიაში შესვლის პოლიტიკამ სრულიადაც არ უნდა დაგვავიწყოს კომპარტიის რიგების გამრავლება და გაძლიერება. ცხადია, რომ მუშათა პარტიაში შესვლას და მის მემარცხენე ფრთის გამაგრებას მხოლოდ მაშინ ექნება ძალა, თუ თვით კომპარტია გაძლიერდება, მიუხედავად მთავრობის დევნისა.

ყველასთვის აშკარაა, რომ ამ პოლიტიკის ნაწილობრივ განხორციელებამ უკვე შესაფერისი ნაყოფი გამოიღო. პირველი ნაბიჯისთვის ესეც საკმარისია.

ქ. დავიდ.

ლონდონი, 27 ნოემბერი.

ამერიკის ვაჭრები საბჭოთა კავშირს სესხს აძლევენ

საბჭოთა კავშირმა ამერიკაში შეისყიდა 10 ათასი ტრაქტორი

ინგლის-საბჭოთა მოქმედების კომიტეტის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს

საფრანგეთის მთავრობა აპირებს თამბაქოს მონოპოლიის გაყიდვას

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

10.000 ტრაქტორი.

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო საზოგადოებამ შეიძინა ამერიკაში 10.000 ტრაქტორი ფორდის სისტემის. ტრაქტორები შავი ზღვის ნავთსადგურებში უნდა იქნენ მოტანილი 1926 წლის 1 იანვრისთვის ტრაქტორები შეძენილია რუსეთისა და უკრაინის რესპუბლიკების სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის დავალებით.

დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ტრაქტორების შესაძენათ ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო საზოგადოებას გაეხსნა კრედიტი. ეს ფაქტი წარმოადგენს ფორდის კომპანიის ჩვეულებრივი პოლიტიკის რადიკალურ შეცვლას, ვინაიდან ეს კომპანია დღემდე არავის არ აძლევდა კრედიტებს.

პროფკავშირთა ინგლის-საბჭოთა კომიტეტის თათბირი.

ბერლინი, 9 დეკემბერი. 8 დეკემბერს სწარმოებდა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის კომიტეტის თათბირი. თათბირის გაგრძელება გადადებულია.

სარწმუნო ცნობების თანახმად ორივე მხარე უაღრესად კმაყოფილია მოლაპარაკების მიმდინარეობით.

კომპარტიის დევნა

ნიუ-იორკი, 9 დეკემბ. გავანიდან მიღებული ცნობებით, იქ დააპატიმრეს კუნძულ კუბის კომპარტიის ლიდერი მელლა. დაპატიმრებულს ბრალად ედება აფეთქების მომზადება მუშათა მღელვარების დროს სექტემბერში.

მელლა არა სცნობს თავს დამნაშავედ. იტყობინებიან, რომ მელლამ შიმშილობა გამოაცხადა.

საბჭოთა მედიცინა

ამხ. სემაშკოს მოხსენება საუბნო ექიმთა ყრილობაზე

მოსკოვი. 10 დეკ. საუბნო ექიმების საკავშირო ყრილობაზე სასოფლო მედიცინის ქსელის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სემაშკომ.

სემაშკომ აღნიშნა, რომ მიუხედავათ სასოფლო მედიცინის ქსელის გაფართოებისა, ის ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. 1924 წელში საბჭოთა რუსეთში იყო 3.208 საექიმო უბანი, მიმდინარე წელს არის 3.595 მაზრების ექიმთა რიცხვი გაიზარდა 10 პროც., სოფლებში 23 პროც. შემდეგ სემაშკო ამბობს, რომ სასოფლო მედიცინის ქსელის განვითარების საქმეში მომავალში ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

ეხება რა სასოფლო მედიცინის პუნქტების ქსელის მდგომარეობას ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში სემაშკო აღნიშნავს, რომ აქ ჩატარებულია დიდი მუშაობა.

სოფლებში მომუშავე ექიმების შესახებ სემაშკო ამბობს, რომ საბჭოთა რუსეთს ჰყავს 29.779 ექიმი და მიმდინარე წელს კურსი დაამთავრა კიდევ 5.200 ექიმმა. ის ამბობს, რომ ექიმები არაპროპორციონალურად არიან განაწილებული ქალაქსა და სოფელს შორის.

თავის მოხსენების დასასრულს სემაშკო მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია ექიმის მუშაობას ჰქონდეს პროფილაქტიური შინაარსი, რათა შევასრულოთ ლენინის ანდერძი—გავხადოთ სოფელი განათლებული, კმაყოფილი და ჯანმრთელი.

სემაშკოს მოხსენების დამთავრების შემდეგ დაიწყო კამათი. ყველა საუბნო ექიმები თავის სიტყვებში აღნიშნავდენ სოფელში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას და გლეხობის ინტერესის ზრდას ჯანმრთელობის საქმისადმი.

საქონლის მომარაგება

ბაქო, 10 დეკემბ. ამიერ-კავკასიის საშინაო ვაჭრობის კომისარის რწმუნებულთან გამართულ თათბირზე სახელმწიფო მრეწველობისა და კოოპერაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით გამომუშავებულ იქნა საქონლის განაწილების წესი საქალაქო და სასოფლო კოოპერატივებს შორის. პირველს საქონელი მიაქვს უშუალოდ ბაქოს სინდიკატებისა და ტრესტებისაგან, მეორეს კი—აზკავშირისგან და მისი ადგილობრივი ფილიალებისგან.

თათბირზე საბოლოოდ განსაზღვრულ იქნა პირველ მოთხოვნილების საქონლის ნორმები აზერბეიჯანის სოფლისათვის. სოფელს ეძლევა საშუალოდ ფაქტიურად შემოტანილ საქონლის 50 პროც. შაქარი—50 პროც., მინა—25 დან 30 პროცენტამდე, ასანთი—50 პროც., სახურავი რკინა—15 პროც., ლურსმანი და სხვა რკინეულობა—60-დან 100 პროცენტამდე. მანუფაქტურა მაზრებს ეძლევათ 50 პროც., აქ არ შედის ამიერ-კავკასიის ბამბის კომიტეტის მიერ ბამბის სამრეწველო რაიონებისათვის შემოტანილი მანუფაქტურა.

სოფლისათვის მარილს, ტყავეულობის და ნავთის მიწოდების საკითხი უკვე მოგვარებულია. ეს საქონელი განსაკუთრებულ საჭიროებას არ წარმოადგენს სოფლად და ამიტომ არ არის საჭირო მისი განაწილება გეგმის მიხედვით.

1925—26 საოპერაციო წლის პირველ კვარტალში აზერბეიჯანში შემოტანილი უნდა იქნეს: პური 2.125 ათასი ფ., აქედან ბამბის სამრეწველო რაიონებში 605.000 ფ., შაქარი—195 ვაგონი, მანუფაქტურა 86 ვაგონი, სხვადასხვა ლითონის ნაწარმოები—530.000 ფ., მარილი—535 ათასი ფ., ასანთი—27 ვაგონი, კალოში—235.000 წყვ., ქაღალდი—60.000 ფ.

ბრიანის საფინანსო პროექტი

ორი პროექტი

პარიზი, 9 დეკემბ. საფრანგეთის მთავრობამ შეიტანა დეპუტატთა პალატაში ორი პროექტი: გადასახადების გადიდებისა და საამორტიზაციო ფონდის შექმნის შესახებ. პირველ პროექტს მიზნად აქვს გამორკვევა შემოსავლის იმ რაოდენობის, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება ბიუჯეტში სრული წონასწორობის უზრუნველყოფა და ხაზინის შევსება. მეორე კანონპროექტი ითვალისწინებს ავტონომიური, ესე იგი ხაზინისაგან დამოუკიდებელი საამორტიზაციო სალაროს შექმნას შინაურ ვალების დასაფარავად.

თამბაქოს მონოპოლიის გაყიდვის პროექტი.

პარიზი, 9 დეკ. გაზ. „პტი პარიზიენ", ეხება რა ფინანსიურ დაბრკოლებებს, წინადადებას აძლევს მთავრობას გაყიდოს საფრანგეთის თამბაქოს მონოპოლია. მონოპოლიის გაყიდვით მიღებულ 20 მილიარდ ფრანკის საშუალებით, გაზეთის აზრით, შესაძლებელია საბოლოოდ მოწესრიგდეს ფინანსიური საკითხი საფრანგეთში.

„მშვიდობიანობის" ჯილდო

ლონდონი 9 დეკ. დეპ. სააგენტოს „ეკსჩენჯის" ჟენეველი კორესპონდენტის ცნობით, გადაწყვეტილია ნობელის პრემია მიეცეს, ჩემბერლენსა და ბრიანს. პრემიის ჩვეულებრივი თანხა უმნიშვნელოდ არის ცნობილი იმისათვის, რომ ორ კანდიდატს შორის იქნეს განაწილებული; ამისათვის გადაწყვეტილია წელს საერთოდ არ იქნეს გაცემული პრემია, ხოლო მომავალ წელს ჩემბერლენსა და ბრიანს შორის სამი წლის პრემია ერთბაშად გაჰყონ.

პრემია მიესჯება ორივე მინისტრს მათი „მუშაობისათვის" ლოკარნოს ხელშეკრულების განხორციელების საქმეში.

უკანასკნელი ცნობები

კიდევ მოსულის შესახებ.

პარიზი, 9 დეკ. ხალხთა ლიგამ ერთხმად მიიღო ჰააგის ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რომ ორივე მხარეთათვის სავალდებულოა ხალხთა ლიგის დადგენილება მოსულის საკითხზეო. ოსმალეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ოსმალეთს არ შეუძლია ხალხთა ლიგის არბიტრაჟს დათანხმდეს პარლამენტის შეუკითხავათო, რის შემდეგ დელეგაციამ სხდომა დასტოვა.

გაერთიანების კომიტეტის სხდომა.

ბერლინი, 9 დეკ. ინგლის-საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პროფმოძრაობის გაერთიანების კომიტეტის სხდომა გრძელდება. ბერლინში აგრეთვე ჩავიდა ნორვეგიის პროფკავშირთა დელეგაცია.

შორეული აღმოსავლეთი დასავლეთი ევროპა.

მოსკოვი, 10 დეკ. 9 დეკემბერს შესდგა საერთაშორისო სარკინიგზო კონფერენცია. მოსმენილ იქნა კომისიის მოხსენება პირდაპირი დამოკიდებულების შესახებ შორეულ აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპას შორის. კომისიამ განაცხადა, რომ შორეულ აღმოსავლეთში დღესდღეობით მხოლოდ ერთი მიმართულებით შეიძლება მიმოსვლა ხაბაროვსკ-ვლადივოსტოკით და შემდეგ იაპონიამდი ზღვით. განზრახულია კვირაში ორი მატარებლის მიმოსვლა, პლენარულმა სხდომამ კომისიის გადაწყვეტილება დაამტკიცა.

ჭორები

ლონდონი, 9 დეკ. ამ უკანასნელი ორი კვირის განმავლობაში ინგლისის პრესა დიდ მუყაითობას იჩენს საბჭოთა კავშირის შესახებ ჭორების გავრცელებაში. გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი იუწყება რიგიდან თითქოს საბჭოთა მთავრობა გაფაციცებით ემზადება ომისთვის.

სამხედრო ქარხნები დღე და ღამ მუშაობენ. საბჭოთა ჯარები ჩინეთის საზღვრებს უახლოვდებიან.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საგლეხო სესხის ტირაჟი

სამარყანდი, 10 დეკემბ. საგლეხო სესხის ტირაჟი სამარყანდში დიდ ყურადღებას იპყრობს. მრავალ კიშლავებიდან (სოფლებიდან) ჩამოდიან დეხკანთა (გლეხების) დელეგაციები. ქალაქში ობლიგაციების გაყიდვის საქმე წარმატებით მიდის. ეროვნული პრესა ტირაჟს დიდ ყურადღებას აქცევს.

პურის პროდუქტების დამზადება

მოსკოვი, 10 დეკემბ. საშინაო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით კამპანიის დაწყებიდან 1 დეკემბრამდე დამზადებულ იქნა 275 მილ. ფუთი სხვადასხვა პურის პროდუქტი.

ციმბირის მშრომელთა ჰაეროპლანები

ნოვო-ნიკოლაევსკი, 10 დეკემბ. ჰაეროდრომზე დიდის ზეიმით გადაეცა არმიას მუშების და გლეხების ხარჯზე აშენებული ჰაეროპლანები.

გაფლანგვისათვის

დონის-როსტოვი, 10 დეკემბერი. ტაგანროგის საოლქო სასამართლოს სესიამ სასამართლოს აღმასრულებელს ვოიჩენკოს 3.000 მანეთი სახაზინო ფულის გაფლანგვისათვის, დახვრეტა მიუსაჯა.

ყაზანი, 10 დეკემბ. არსკის კანტონის აღმასკომის წევრს სულეიმანოვს კოოპერატივის კუთვნილ 2.000 მან. გაფლანგვისათვის და ყალბი დოკუმენტების დამზადებისათვის მისჯილი აქვს დახვრეტა.

რონოდების ქარხანა ტვერში

ტვერი, 10 დეკემბ. ამას წინად მუშაობა დაიწყო ტვერის რონოდების ქარხანამ. ქარხანამ მიიღო 870 რონოდების დაკვეთა.

ბაქო-ჯულფას რკინის გზა

ბაქო, 9 დეკემბ. ვინაიდან ჯულფა-ბაქოს რკინისგზა 1 იანვრიდან გადადის გზათა სახ. კომისარიატის განკარგულებაში, ამ გზის ხარჯები შეტანილია გზათა სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვაში. მიმდინარე წელს გზათა სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილია კრედიტი უკვე დაწყებულ ხაზის—(12.000 ვერსის მანძილზე) დასამთავრებლად. კრედიტი ნავარაუდევია 39 მილიონ მანეთის რაოდენობით; აქედან ალიათ-ჯულფას რკინისგზის გასაყვანად—4,5 მილიონი მანეთი. ბიუჯეტის განხილვის დროს სექციებში და პრეზიდიუმში კრედიტები გზების გასაყვანად შემცირებული იქნა. კერძოდ ჯულფის რკინისგზის გასაყვანად გადადებული იქნება 3 მილიონი მანეთი.

სამმართველოს მიერ შედგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია: 1) მტკვარზე ხიდის დამთავრება, 2) ლიანდაგის დამთავრება სადგ. ხუდაფერინამდე, 3) ლიანდაგის დამზადება მეჯივანის ნახევარ სადგურამდე ბაქოს და ჯულფის მხრივ.

გარდა ამისა, სამმართველო საბინაო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რკინისგზაზე აპირობს დაახლოვებით 750 კვ. საჟ. შენობების აგებას და მგზავრებისათვის შენობის აგებას სად. გორადიზში.

არაქსზე ხიდის აშენება გადადებულია მომავალ წლამდე, წელს კი შესრულებული იქნება წინასწარი მუშაობა. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტი გადიდებული იქნა 4,5 მილიონ მანეთამდე, რკ. გზ. სამმართველოს განზრახული აქვს ააშენოს 12 გვირაბი მეჯივანსა და ორდუბადს შორის.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

მოსამზადებელი კურსები.

ქუთაისი, 10 დეკემბ. ქუთაისში იხსნება მოკლევადიანი კურსები პირველი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო აპარატის აქტიურ მუშაკთა მოსამზადებლად ანგარიშების წარმოების ამერიკულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. განზრახულია კურსებზე მოიწვიონ დასავლეთ საქართველოს საკრედიტო ამხანაგობათა 50 მუშაკი.

თხილი.

ქუთაისი, 10 დეკემბ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილება შეუდგა იმ თხილის გასაღებას, რომელიც ზაფხულის დამლევს დააგირავა ზუგდიდის და ქუთაისის მაზრების გლეხობამ; თხილი არის სულ 30.000 მანეთის. სესხის მიცემის დროს ფუთი თხილი ფასობდა 2 მან. ეხლა კი ფუთი საღდება 6 მან. 50 კაპეიკად. ამავე დროს ბანკი შეუდგა გლეხებისათვის განსხვავების მიცემას.

დახმარება შინამრეწველებს

ქუთაისი, 10 დეკემბ. ხონის საკრედიტო ამხანაგობამ მიიღო კრედიტის სახით 6.000 მან., რომელიც დაურიგდება ხონის რაიონის მატყლის დამმუშავებელ შინა მრეწველებს.

ბამბის მოწევა

ქუთაისი, 10 დეკემბ. ქუთაისის ბამბის საწმენდი ქარხნის საწყობში მიღებულია უკვე 15,000 ფუთი ბამბა ეს ქარხანა პირველია მთელს დასავლეთ საქართველოში. მან უნდა გადაამუშაოს დასავლეთ საქართველოს მთელი ამ წლის ბამბის მოსავალი.

ქარხნის საალმშენებლო მუშაობა ახლო მომავალში დამთავრდება. უკვე ამუშავებულია 70-ძალიანი დიზელი. ქარხანა ამუშავდება დეკემბრის დამლევს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

ქუთაისი, 10 დეკემბ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა თრიად წარმატებით სწარმოებს. გაწერილ 118.000 მანეთიდან აკრეფილია უკვე 32.244 მ. საჩივრებს ადგილი არ ჰქონია.

შაქარი

ქუთაისი, 10 დეკ. შაქრის ტრესტის ქუთაისის განყოფილებამ მიიღო 8000 ფ. შაქარი. ქალაქში შაქარი საკმარისია, მაზრაში კი ნაკლებია; ზოგიერთ სოფლებში ერთი თვეა, რაც შაქარი ბაზარზე აღარ იშოვება.

გლეხობის სასახლე

ოზურგეთი, 10 დეკემბ. რადგან უარყოფილ იქნა საგანგებო ლატარეის მოწყობა ოზურგეთში გლეხთა სასახლის ასაგებათ, ამიტომ გლეხკომის სამაზრო პლენუმმა დაადგინა, საკუთარი ძალ-ღონით შეიძინოს ამ დანიშნულებისათვის მზამზარეული სახლი ოზურგეთში.

პოლიტგანათლებითი მუშაობა მაზრაში

ახალქალაქი, 10 დეკემბ. სამაზრო პოლიტგანათლების განყ. ცნობით ქალაქში ამჟამად არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო და თეატრი. რაიონში არსებობს 22 ქოხ სამკითხველო, აქედან: რუსული—1, ქართული—2, თურქული—2, ქართულ-სომხური—1, სომხური—16. ქოხ-სამკითხველოები იღებენ გაზეთებს და ჟურნალებს. განათლების დარგში ისინი ყოველნაირ დახმარებას უწევენ ადგილობრივ გლეხობას. აგვისტოში მოწყობილ იქნა ქოხ-სამკითხველოების ხელმძღვანელთა კურსები. აგრეთვე მოწყობილ იქნა პოლიტგანათლების მუშაკთა კონფერენცია.

15 ქოხ-სამკითხველოსთან დაარსდა დრამატიული წრეებიც. მიმდინარე წელს იმოქმედებს „წერკუმსის“ 90 პუნქტი. ყველა პუნქტებში ჩაწერილია 1,800 გლეხი, მუშაობას რამდენიმეთ აფერხებს ის, რომ საკმაოთ არ მოიპოვებიან მომზადებული მუშაკები.

აჭარისტანი

აჭარლის სახლში

ბათომი, 10 დეკემბ. საქ.-კომპარტიის აჭარისტანის კომიტეტის საагიტაციო საპროპაგანდო განყოფილებამ გამოიმუშავა მუშაობის გეგმა აჭარლის სახლისათვის. მოწყობილი იქნება სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო კუთხე, წაკითხული იქნება ლექციები სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე. განზრახულია წარმოდგენების გამართვა მუშათა დრამატიულ წრეების მიერ.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

ბათომი, 10 დეკემბ. აჭარისტანის პოლიტ-განათლების მთავარი სამმართველო ხსნის მიმდინარე წელს მაზრებში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 106 ახალ სკოლას. ბათომში გახსნილია უკვე ექვსი ახალი სკოლა და 3 მაღალი საფეხურის სკოლა; რომლებშიაც მეცადინეობა სწარმოებს სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე. ქალაქში სულ გახსნილი იქნება 20 სკოლა. სკოლები უზრუნველყოფილი იქნებიან ყველა საჭირო სახელმძღვანელოებით.

სამალარიო სადგურის გაფართოება

ბათომი, 10 დეკემბ. ჯანსახკომის კოლეგიამ დაამტკიცა სამალარიო სადგურის შტატი. ახალი შტატით დამატებული იქნება ორი ექიმი.

მესაქონლეობის განვითარებისათვის

ბათომი, 10 დეკემბ. აჭარისტანის ეკონომიურმა საბჭომ ნება დართო სასოფლო-სამეურნეო ბანკს მისცეს საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობებს სესხის სახით 20 მილიონი მანეთი სამუშაო საქონლის შესაძენად. ამ თანხიდან 5.000 მანეთი გადადებული იქნება ჯიშიან საქონლის მოსაშენებლად.

აჭარისტანის წარმოკავშირში

ბათომი, 10 დეკემბ. აჭარისტანის წარმოკავშირი შეუდგა ხილის დამზადებას და გასაღებას. უმთავრესად მზადდება ვაშლი, რომლის მოსავალი ძალიან კარგია და უდრის 100.000 ფუთს. აჭარისტანის წარმოკავშირი აძლევს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობებს ხილის ჩასაწყობ მასალას. ავანსები მიეცა ქობულეთის, კინტრიშის, ჩაქვის და ჭოროხის კოოპერატიულ ამხანაგობებს. დამზადებული ხილი გაიგზავნება საბჭოთა რუსეთში და უკრაინაში. უკვე გაიგზავნა ოდესაში 3 ვაგონი ვაშლი კინტრიშის რაიონიდან.

ბათუმის ნავსადგურში

ბათომი, 10 დეკემბ. ნიკოლაევიდან მოვიდა გემი „შაუმიანი“, რომელიც წაიღებს 1,600 ტონა ნავთს სტამბოლში. გავიდა ჰამბურგში გემი „ჰამლეტი“ 6,984,698 კილო გაზოლინით.

ქობულეთის ჭაობების ამოშრობა

ბათომი, 10 დეკემბ. ქობულეთის ჭაობების ამოსაშრობ გეგმის მიხედვით ამჟამად კეთდება მთავარი არხი და გაჰყავთ ქსელი დამხმარე არხებისა. წყალი ჩავა შავ მდინარეში, რომლის კალაპოტიც უკვე სავსებით გაწმენდილია. არხის გაყვანაზე მუდმივათ მუშაობს 100 კაცი.

ბერძენ-ლტოლვილთა გამგზავრება

სოხუმი, 10 დეკემბ. გემ „ხარლამპოზე“, რომლითაც საბერძნეთში მიემგზავრებოდა 3,000 ლტოლვილი ბერძენი, გამოცხადდნენ აფხაზეთის ცაკის, სახ. კომისართა საბჭოს და საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები, რომლებსაც განუწყვეტელი ტაშით და „ვაშას“ ძახილით შეხვდენ ლტოლვილები.

მისულმა ამხანაგებმა უსურვეს ლტოლვილებს მშვიდობიანი მგზავრობა და გამოსთქვეს იმედი, რომ სამშობლოში ჩასვლის შემდეგ ისინი კარგად მოაწყობენ თავის ცხოვრებას.

საპასუხო სიტყვაში ლტოლვილების რწმუნებულმა ბურგაზიმ მადლობა გადაუხადა აფხაზეთის მთავრობას.

მეურნეობათა კვების გამოკვლევა

ახალქალაქი, 10 დეკემბ. სამაზრო სტატისტიკური ბიურო ათავებს მოსახლეობის კვების გამოკვლევას. გამოსაკვლევ პუნქტებათ არჩეულია სოფ. ბოგდანოვკა და სოფ. არაგვა. იკვლევენ 10—10 მეურნეობას თვითეულ სოფელში.

აზერბეიჯანი

მაზუთი საფრანგეთის საზღვაო სამინისტროსათვის.

ბაქო, 10 დეკ. საფრანგეთის საზღვაო სამინისტროსთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, ბათომიდან ბიზერტში გაიგზავნა 14,242 ტონა მაზუთი.

საგადასახადო შეღავათი კოოპერაციას.

ბაქო, 10 დეკ. აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაადგინა მიუღებლად ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის ფინსახკომის დადგენილების პროექტი კოოპერაციისათვის საგადასახადო შეღავათის შესახებ. ამის მიზეზია ის არახელსაყრელი პირობები, რომელშიაც უხდება მუშაობა აზერბეიჯანის კოოპერაციას.

მეხალიჩეობა.

ბაქო, 10 დეკ. მეხალიჩეობის განვითარებისათვის და ხალიჩის მქსოველებთან კავშირის დასაჭერად, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაადგინა მოეწყოს აზერბეიჯანში შინამრეწველობის კოოპერაცია, უკანასკნელის მოწყობამდე კი დაევალოს ხალიჩის დამმზადებელ ორგანოებს აწარმოონ მუშაობა უშუალოდ, ან სასოფლო-სამეურნეო სამომხმარებლო კოოპერაციის პირველ საფეხურის იაჩეიკების საშუალებით,

ერთიანი სავაჭრო აპარატი.

ბაქო, 10 დეკ. საბჭოთა აზერბეიჯანის მრეწველობის და სახელმწიფო ორგანოებისათვის მძლავრ და მთლიან სავაჭრო აპარატის შესაქმნელად იმ და მიზნით, რომ თავიდან აცილებულ იქნეს ზედმეტი ზედნადები ხარჯები, რომელსაც იწვევს საწარმოო ორგანოების და სახ. კომისარიატის დამოუკიდებელი გამოსვლა მოსკოვის და საბჭოთა კავშირის სხვა ცენტრების ბაზარზე, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო აზერბეიჯანის ორგანოების სავაჭრო ოპერაციები მოსკოვში და კავშირის სხვა ცენტრებში გააერთიანოს და გადასცეს ხელშეკრულებით აზერბ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს.

სადგურისათვის სახელწოდების გამოცვლა.

ბაქო, 10 დეკ. აზერბეიჯანის ცაკის დადგენილებით სადგურ დალიარს ეწოდა შამქორი, სადგურ შამქორს—სეიფალო.

პარტიული ცხოვრება

მშრომელი ქალი პროფორგანოების აქტიურ სამუშაოზე

ჩვენს პროფორგანოებში იშვიათად შეხვდებით მუშა-ქალებს აქტიურ სამუშაოებზე. თუ გაყავეთ ფაბ-ქარხკომებში, ადგილკომებში, ცალკე პროფკავშირების გამგეობებში ან სამპროფბიუროებში ქალები! აქ მხოლოდ ფორმალურ მხარეს ასრულებენ, რომ დაანახვონ ქვეყანას, რომ უმაღლესი ორგანოების დირექტივები სრულდება. უკეთეს შემთხვევაში ქალებს მხოლოდ ქალთა შორის მუშაობას ანდობენ. სხვა თანამდებობაზე ქალს იშვიათად შეხვდებით. თითქოს ქალი მხოლოდ ქალთა შორის უნდა მუშაობდეს და მას უნარი არ ქონდეს საერთო პროფესიონალური ხაზით აწარმოოს მუშაობა. ამ მდგომარეობას ისე შევეჩვიეთ, რომ ერთ ხანს ვერც ვამჩნევდით ამ არანორმალურ მდგომარეობას. ზოგიერთი ამხანაგები წინათაც ამბობდენ და ნაწილობრივ დღესაც იმ აზრის არიან, რომ ქალებში არ არიან ისეთი მომზადებულნი, რომელთაც შესაძლებელი იყოს მივანდოთ საპასუხისმგებლო სამუშაო. მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება. ვერავინ ვერ უარყოფს, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არა ერთი და ორი აქტიური მომუშავე მუშა და გლეხი-ქალი შეემატა ჩვენს რიგებს, რომლებიც მამაკაცებზე ნაკლებათ არ უხელმძღვანელებენ პროფესიონალურ მუშაობას. გარდა ამისა, ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ ჩვენი მუშები და გლეხები არასოდეს არ ყოფილან სახელმწიფოს მეთაურნი, არც დიპლომატები, მაგრამ ძალა-უფლებას ხელში აღების შემდეგ არა ნაკლებად უძღვებიან მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, და არა ნაკლები დიპლომატები გვყავნან ვიდრე ასი წლობით გამოწვრთნილ ბურჟუაზიული სახელმწიფოებს.

შეიძლება პირველათ ქალი გამოცდილების მიხედვით დაბალ თანამდებობებზე წამოვაყენოთ, შემდეგ კი, როდესაც შეეჩვევა მუშაობას, გამოიბრძმედება სხვა უფრო პასუხსაგებ სამუშაოებზეც გადავიყვანოთ.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა უარვყოთ ის შეხედულება, რომ ქალის ამა თუ იმ ორგანოში გაყვანით ჩვენ ვასრულებთ ფორმალურ მხარეს. თუ ჩვენ გვინდა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ, ქალთა შორის მუშაობა გავაცხოველოთ, მუშა და გლეხ-ქალებზე ჩვენი გავლენა გავაძლიეროთ, მათში საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი ავსწიოთ, საჭიროა მშრომელი ქალები მასიურ სამუშაოებზე წამოვაყენოთ. მეტი აქტივობა ამ მხრით პროფესიონალურმა კავშირებმა უნდა გამოიჩინონ. ამას ეხება ჩვენი პარტიის უმაღლესი ორგანოების ცირკულიარიც. ეს წაახალისებს, გაათამამებს ჩვენს მუშა და გლეხ-ქალებს, მეტ აქტივობას და ენერგიას შემატებს მათ საზოგადოებრივ მუშაობისთვის.

პროფმუშაობის საერთო ხელმძღვანელობის დროს კომფრაქციებმა მხედველობიდან არ უნდა გაუშვან ქალთა წამოყენების საქმე პროფორგანოების საერთო სამუშაოებზე.

ცარიელ სიტყვებს ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა საქმეზე გადავიდეთ.

ა.

მოჯამაგირეები და საბჭოთა არჩევნები

რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყება საქართველოში საბჭოთა არჩევნები. წინასწარი კამპანია ამის შესახებ უკვე სწარმოებს. კომკავშირის ორგანიზაციამ ამ მუშაობაში, რასაკვირველია, ცოცხალი მონაწილეობა უნდა მიიღოს, რომ სოფლის გლეხურ ახალგაზრდობამ ნამდვილად შეიგნოს საბჭოთა სისტემის მნიშვნელობა და პრაქტიკულად ჩაებას სოფლის საბჭოების საქმიანობაში. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ამ კამპანიის დაკვირვებით ჩატარება და მისი პოპულიარიზაცია ახალგაზრდა გლეხების და მოჯამაგირეების მასებში.

განსაკუთრებით საჭიროა ამ მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა ახალგაზრდა მოჯამაგირეთა შორის. ის მდგომარეობა, რომ საქართველოში 7000 ახალგაზრდა მოჯამაგირეა, კომკავშირის ორგანიზაციას ამოცანას უსახავს გააძლიეროს კომუნისტური გავლენა მათ შორის. კერძოთ კი მათი საბჭოებში ჩასაბმელად ენერგიული მუშაობაა საჭირო. წარსულ წელს, საბჭოებში მთელ საქართველოში მხოლოდ 70-დე მოჯამაგირე გვყავდა, შეიძლება ეს ნაკლი მაშინ ნაწილობრივ მით აიხსნებოდა, რომ მოჯამაგირეთა რიცხვი 3000 არ აღემატებოდა. დღეს კი ეს რიცხვი ორჯერ გაიზარდა; ამიტომ საბჭოებში ჩაბმული მოჯამაგირეთა რიცხვი აუცილებლად უნდა გადიდდეს.

რამდენათ მოჯამაგირეთა დიდი უმრავლესობა ახალგაზრდები არიან, იმდენათ ეს მუშაობა სოფლად მთლიანად კომკავშირის ორგანიზაციამ უნდა იკისროს. კომკავშირის ორგანიზაციის სოფლის უჯრედებში უნდა დასმულ იქნეს ამის შესახებ საკითხი, დამუშავებულ იქნეს სერიოზულათ და მომავალი არჩევნების დროს სოფლის მოჯამაგირეთა აქტივი წამოყენებულ იქნეს სოფლისა თემის საბჭოებსა და აღმასრულებელ კომიტეტებში.

ჩვენის აზრით, უკვე დრო არის სოფლის ულარიბესი ნაწილი, მოჯამაგირეთა მასა, ჩაებას საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკულ მუშაობაში სოფლად.

ვალ. ბუაჩიძე.

შავი ზღვის რკინის გზის სამმართველოს კომუჯრედი

ნოემბრის დამლევს შესდგა შავი ზღვის რკინისგზის სამმართველოსთან ახლად დაარსებულ კოუჯრედის პირველი სხდომა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. სამუშაოთა უფროსის—ამხ. კაციტაძის მოხსენება გზის შენების შესახებ.
2. დელეგატების არჩევნები, რაიონის სადელეგატო კრებაზე და
3. მიმდინარე საკითხები.

გზის შენებაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა სამუშაოთა უფროსმა ამხ. კაციტაძემ. ის შეეხო გზის შენების ისტორიას, აღნიშნა თუ რა მნიშვნელოვანია ეს გზა ეკონომიურ და პოლიტიკურ თვალსაზრისით და მისი უპირატესობანი არსებულ გზებთან შედარებით. მრავალი შეკითხვებისა და კამათის შემდეგ კრებამ ამხ. კაციტაძის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. ამასთანავე კრებამ გაითვალისწინა რა ამ გზის მნიშვნელობა, დაადგინა—ეთხოვოს პარტიის უმაღლეს ორგანოებს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ მის დამთავრების საკითხს.

შემდეგ არჩეულ იქნა დელეგატები სარაიონო კრებაზე.

მიმდინარე საკითხებში გაირჩა სხვადასხვა განცხადებები და წაკითხული იქნა რაიონის მიერ გადმოგზავნილი ინსტრუქციები.

ა. ბახტაძე.

პოლიტ-ცოდნის ასამაღლებლად

(ბორჩალო)

ბორჩალოს მაზრაში პარტ-ამხანაგების პოლიტ-ცოდნის ასამაღლებლად ს. კ. პ. ცეკას მიერ გამოგზავნილი იყო ერთი ამხანაგი მოძრავ პოლიტ-სკოლის ხელმძღვანელად. პირველად პოლიტსკოლა გაიხსნა შაუმიანის რაიონში. პარტ-ამხანაგები და მათთან ა. ლ. კ. კავშირის წევრებიც დიდი ინტერესით ეკიდებოდენ საქმეს. შაუმიანის რაიონში მუშაობის დამთავრების შემდეგ, პოლიტ-სკოლა გადატანილ იქნა ლიუქსენბურგის რაიონში, რომელმაც მუშაობა დაიწყო 5 დეკემბერს. ამხანაგები ძლიერ დაინტერესებული არიან და სისტემატიურად მეცადინეობენ. მხოლოდ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, ბორჩალოს მაზრის სიდიდესთან შედარებით მარტო ერთი მოძრავი პოლიტ-სკოლა ვერაფერს გააწყობს. საჭიროა ამ გარემოებას ს. კ. პ. ცეკამ მიაქციოს ყურადღება და გამოგზავნოს კიდევ ერთი ხელმძღვანელი მოძრავ—პოლიტ-სკოლისა, სათანადო თათრული ლიტერატურით.

პლატონ ჩიქოვანი

საჭიროა ახალი ხელმძღვანელი

(ს. ასურეთი)

პარტია დღეს დიდ ყურადღებას აქცევს მოჯამაგირეთა შორის მუშაობას, რომ ისინი არ იყვნენ ძველებურად დაჩაგრულნი დამქირავებლების მხრით. მოჯამაგირეთა შორის მუშაობისთვის გამოყოფილი არიან მიწა-ტყის კავშირიდან მომზადებული ამხანაგები, რომლებიც ხელს უწყობენ მოჯამაგირეთა გათვითცნობიერებას და მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ ზოგან ეს ასე არ ხდება და მოჯამაგირენი ისევ აუტანელი მდგომარეობაში ცვივდებიან.

ასურეთში და მის რაიონში მრავლათ არიან მოჯამაგირენი; მათ შორის არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. აქაურ მოჯამაგირეთა შორის მომუშავე ამხ. მელიქაშვილი სრულებით არ არის გაცნობილი მუშაობას, მან არც კი იცის, თუ რამდენი მოჯამაგირე ყავს, მოჯამაგირეთა და რწმუნებულების კრებები სრულიად არ ხდება, თვითონ ამხ. მელიქაშვილი ორ კვირაში ერთხელ გამოცხადდება თავის კანცელარიაში და 5-თი წუთის შემდეგ სადღაც გაქრება. კულტურულ მუშაობაზე ზედმეტია ლაპარაკი. ერთი სიტყვით მუშაობა დიდათ მოისუსტებს.

საჭიროა მიწ-ტყის კავშირის ცენტრალურ გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამას და გამოგზავნოს ახალი მომუშავე, რომ მთლად არ დაიკარგოს პროფკავშირის ნდობა მოჯამაგირეთა თვალში.

ა. დ. მათხოშვილი.

პარტმუშაობის გამოსწორებისათვის

თელავის მაზრაში დღემდე პარტიული მუშაობა სუსტი იყო. ეს დამტკიცდა სამაზრო კომიტეტის მიერ მოხდენილ გამოკვლევის დროს. გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ სოფლის უჯრედები და მათი მდივნები ვერ არიან მომზადებული. კრებები უჯრედებში იშვიათად ხდებოდა, და, თუ ხდებოდა, დღის წესრიგში უმთავრესად ისმებოდა საერთაშორისო ხასიათის საკითხები, სოფლის საჭირბოროტო საკითხებს კი ნაკლები ყურადღება ექცეოდა. უჯრედის დადგენილებები ნაკლებად ტარდებოდა ცხოვრებაში.

სამაზრო კომიტეტმა მიიღო ეს მხედველობაში და მთელი რიგი დადგენილებები მიიღო სოფლის უჯრედებში მუშაობის გასაუმჯობესებლათ.

გადაწყდა თემ-კომების ჩამოყალიბება, სოფლის უჯრედებისთვის ორთვიანი სანიმუშო სამუშაო გეგმას შემუშავება, უჯრედების მდივნების თათბირის მოწვევა თემებში, ქალაქის უჯრედისათვის კომისიების გამოყოფა და სხვა.

პარტკომის პრეზიდიუმის წევრები და პასუხისმგებელი ამხანაგები შეუდგნენ საინსტრუქციო მოხსენებების ჩატარებას ყველა თემკომებში. თემკომებთან ცოცხალი კავშირის დაკავების მიზნით გადაწყდა პარტკომის წევრებმა და პასუხისმგებელ ამხანაგებმა ხშირ-ხშირათ შემოიარონ და გაეცნონ ადგილებზე პარტმუშაობას.

ზოგიერთ უჯრედზე პარტკომმა მიამაგრა მომზადებული ამხანაგები. მათ ევალებათ თავის უჯრედში მუშაობა გამოასწორონ.

თვით თელავის უჯრედთან დაარსდა 4 კომისია:

1) საორგანიზაციო, 2) საагიტაციო-საპროპაგანდო, 3) ქალთა შორის მუშაობის და 4) ახალგაზრდობაში და პიონერებში მომუშავე კომისია.

იმედია, რომ სამპარტკომის მიერ მიღებული ზომები მალე გამოიღებს ნაყოფს.

ქრ. კოხტაშვილი.

დელეგატ-ქალთა კრებები

(ლეჩხუმის მაზრა)

ლეჩხუმის მაზრაში დელეგატ-ქალების არჩევნებმა ბევრი რამ მოგვცა ახალი და საყურადღებო; მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ჩოლურ-ლაშხეთის თემების დელეგატ-ქალთა ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ ჟამათ აკავშირებენ 50 დელეგატ-ქალს.

ახლად დაარსებული დელეგატ-ქალთა ორგანიზაციები თავიანთ სადელეგატო კრებებზე პირველ რიგში აყენებენ საკითხს წერა-კით. უცსალიკვიდაციო სკოლების დაარსების შესახებ.

შემდეგ სვანის გლეხი-ქალები კრებებზე მოითხოვენ, რომ უმაღლეს ორგანომ მისცეთ მათ მუდმივი მომუშავე ქალი, მოითხოვენ ლიტერატურას განსაკუთრებით ქალთა საკითხზე, ქალთა კუთხეების მოწყობას ჩოლურ-ლაშხეთის თემებში.

სწორედ დასაფასებელი და განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქვემო-სვანეთის დელეგატი-ქალების კანონიერი მოთხოვნილებანი.

ვისაც დაუნახავს სვანეთის მიუვალი ადგილები, ის აუცილებლად ღრმად უნდა ჩაუკვირდეს სვანეთის მტკივნეულ ადგილებს და ოდნავ მაინც გააშუქოს მათი ჩრდილით მოსილი ცხოვრება.

მეტი ყურადღება ასეთ მივარდნილ კუთხეებს სათანადო ორგანოების მიერ!

მაგნიტი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

მამათის თემის ა. ლ. კ. კ. უჯრედი (ოზურგეთის მაზრა).

ამ თემში ა. ლ. კ. კ. უჯრედი 1920 წელში დაარსდა. უჯრედში 50—55 წევრი ითვლება, რომლებიც უმთავრესად ღარიბი გლეხების შვილები არიან. წევრები დანაწილებულია 4 უჯრედათ. გვაქვს სათემო კომიტეტი, რომელიც სათანადო მუშაობას აწარმოებს. ამდენხანს პარტიასთან კავშირი სუსტი იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს ეს ნაკლიც სწორდება. მასწავლებლობა დახმარებას უწევს ჩვენს უჯრედს.

შ. მ—ლი.

ხოფ. კუხი (ქუთაისის მაზრა).

ახ. კომკავშირმა აქ 1921 წელში დაიწყო მუშაობა, რომელშიც 155 წევრი ითვლება. ამათგან ზოგი უკვე გადაირიცხა პარტიაში და ზოგიც ახლა აპირობს გადასვლას.

პიონერთა ორგანიზაცია კუხში 24 წლის ნოემბერში დაარსდა სულ პიონერთა რიცხვი უდრის 300. სიღარიბის გამო ვერ შევძელით პიონერებისათვის საჭირო დროშების, სურათების და ლიტერატურის შეძენა. მუშაობა ზოგიერთის გამოკლებით როგორც კომკავშირში, ისე პიონერთა შორის დამაკმაყოფილებელია.

პარტკორი ი. ვ—ძე.

შრომის მოწესრიგება

სპეციალისტების დასასვენებელ დღეების შესახებ

ვინაიდან ბევრ დაწესებულებებში გაუგებრობას იწვევს საკითხი იმ პირთა დასვენების და დასასვენებელი დღეების შესახებ, რომელნიც სპეც-განაკვეთებს ღებულობენ, ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა გამოსცა შემდეგი განმარტება:

დაქირავებულ შრომის ყველა პირებისათვის, მიუხედავათ მათი ხელფასის ნორმისა, ნორმალურ სამუშაო დღეს განსაზღვრავს შრომის კანონების კოდექსი.

თუ ვინიცობაა იმ პირებს, რომელნიც სპეც-განაკვეთებს ღებულობენ, თავის მოვალეობის ასასრულებლად დასჭირდათ ნორმალურ სამუშაო დღეზე მეტის დახარჯვა, ამისათვის განსაკუთრებული ჯილდო არ ეკუთვნით.

იმ პირებმა, რომელნიც სპეც-განაკვეთებს ღებულობენ, ვალდებულნი არიან ისარგებლონ დასვენებით უქმე დღეებში თავის წარმოების ან დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ მუშაობის ხასიათისა და პირობების გამო უქმე დღეებში შეუძლებელი ხდება ამა თუ იმ პირის დასვენება, უქმე დღეებში მუშაობისათვის მას ჯილდო არ ეძლევა (იმ შემთხვევის გამოკლებით, რომელიც შრომის ხელშეკრულებაში არის შეტანილი), რადგან სპეც-განაკვეთი წარმოადგენს გაწეულ შრომის ერთგვარ კომპენსაციას.

ამ განმარტების გამოქვეყნების შემდეგ გაუქმდება ყველა ის დადგენილებები, რომლებიც ამ განმარტებას ეწინააღმდეგება.

უსასყიდლო მუშაობის შესახებ

შრომის სახალხო კომისარიატში შედის მრავალი შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება დართონ უსასყიდლოთ მუშაობისა იმ პირებს, რომელთაც სურთ ამა თუ იმ წარმოებაში შეისწავლონ ხელობა და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილებანი. შუამდგომლობათა განხილვის შემდეგ ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა არავის არ მიეცეს ნება უსასყიდლო შეგირდობის და პრაქტიკანტობისა.

შრომის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

ა.-კ. შრომის სახ. კომის. კოლეგიამ სასურველად სცნო მოეწყოს თბილისში შრომის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, რომლის ორგანიზაციაში სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს საშუალებით მონაწილეობას მიიღებს თვით ა.-კ. შრომის სახ. კომატი.

სახალხო ჯანმრთელობა

ავადმყოფობანი ქ. ბათომში

გასულ საოპერაციო წელს ქალაქ ბათომში აღრიცხული იყო დაავადმყოფების 26,781 შემთხვევა. ამ რიცხვიდან ციებ-ცხელებიანი (მალარია) იყო 5.514 კაცი, გადამდებიან ავადმყოფობით—1.612 კაცი, ტუბერკულიოზიანი 434 კაცი. ვენერიული სნეულებით—736 კაცი, კუჭის ავადმყოფობით—2.549 კაცი. შემდეგ ხშირი შემთხვევები სასუნთქი-ორგანოების, ჭაჭების და სხვა ავადმყოფობისა. გასული საოპერაციო წელი ხასიათდება ვენერიული ავადმყოფით და ჭლექით დაავადმყოფებულთა რიცხვის ზრდით, სამაგიეროდ წელს დაუკლია მალიარიით დაავადმყოფებულთა რაოდენობას.

ჯანმრთელობის დაცვის საქმე გორის მაზრაში

გასულ საოპერაციო წელს სათანადო სიმაღლეზე იქნა დაყენებული სახალხო ჯანმთელობის დაცვის საქმე. თვით ქ. გორის ამბულატორიასთან ამჟამად მოქმედობს რვა კაბინეტი—სხვადასხვა ავადმყოფობისათვის, მოწვეულია კბილის ტეხნიკი, კბილის სამკურნალო კაბინეტები მოწყობილია სურამსა და წითელ ქალაქში. 1925 წლის დასაწყისში გორის მაზრაში იყო 13 საექიმო პუნქტი, ახლა კი არის 19 პუნქტი. მუშაობა გააფართოვა აგრეთვე წითელი ჯვრის საზოგადოების საავადმყოფომ, სადაც 10 საწოლი უფასოდ დათმობილი აქვს გლეხობის ულარიბესს ნაწილს. ამ მოკლე ხანში განზრახულია მოწყობილი იქნეს 10 საწოლი, საავადმყოფოები სურამსა, წითელ ქალაქსა და მეჯვრის ხევში.

ყველა თემების ცენტრებში მოწყობილია სანიტარული კომისიები, რომელთაც თავის მხრივ წარმომადგენლები ჰყავთ ყველა სოფლებში.

გასულ საოპერაციო წლის განმავლობაში ჩატარებულ იქნა ყვავილის ასაცრელი კამპანია. აცრას აწარმოებდენ სამკურნალო პუნქტები და სპეციალურად საამისოდ მოწყობილი რაზმი. სულ მაზრაში ყვავილი აუცრეს 15.000 კაცს.

მიმდინარე წელს ბრძოლა სწარმოებდა აგრეთვე მალიარიასთან, რომელიც მაზრაში მეტად გავრცელებულია. მოსახლეობას ქინაქინი უფასოდ ეძლეოდათ, ჭაობები ირწყვებოდა მაზუთით.

ნოემბრის დასასრულს ცხინვალში გაიხსნა ჯანსახკომის მიერ აგებული სანიტარული აბანო სადეზინფექციო კამერით.

ჯილდო „დამსახურებისათვის“

ლონდონი, 9 დეკემბერი. სააგენტო „ექსჩეინჯის“ ჟენეველი კორესპონდენტის ცნობით ნობელის [illegible] ჯილდოს მშვიდობიანობისათვის მიიღებენ ჩემბერლენი და ბრიანი.

ჯილდო მიეცემა ორივე მინისტრებს ლოკარნოს ხელშეკრულების დადებისათვის.



საფოსტო ქსელის გაფართოება

ა. კ. საოლქო კავშირმა გამოიმუშავა პროექტი საფოსტო ქსელის (ტელეგრაფ-ტელეფონის ქსელზე საფოსტო მიმოსვლის) გასაფართოებლად. ამ ჟამად სამმართველო აწარმოებს ამ პროექტის გატარებისათვის ფინანსიური გეგმის დამუშავებას.

პროექტის მიხედვით სამი უახლოესი წლის (1926—27—28 წლებში) განმავლობაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ყველა მაზრები და რაიონები დაქსელილი უნდა იქნეს ტელეფონებით, ამასთანავე უნდა გაუმჯობესდეს ტელეფონის არსებული ქსელი.

გეგმაში შედის აგრეთვე ხარჯები ამიერ-კავკასიაში საფოსტო მიმოსვლის გასაუმჯობესებლად და გასახშირებლად. უახლოეს სამ წელში ფოსტა უნდა მოეწყოს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ფოსტის ყოველდღიური მიწოდება დაშორებულ რაიონებში.

გეგმა შეიცავს ამასთანავე ხარჯებს ჰაერო-ფოსტის მოსაწყობად, განზრახულია შეძენილ იქნეს ორი ჰაეროპლანი, რომლის დანიშნულება იქნება ფოსტის გადმოზიდვა ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რაიონებში.

პროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე საფოსტო მეურნეობის მექანიზაცია და ჟურნალ-გაზეთების სწრაფი მიწოდება.

ფინანსიური გეგმის მიხედვით გაუმჯობესებული იქნება სახალხო კავშირის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიც, რომელიც 1926—27 წლისათვის აყვანილ იქნება ომის წინა დროინდელ დონემდე. შემდეგ წლებისათვის ხელფასი ყოველ წლიურად 10—15 პროცენტით იმატებს.

სამთო-მადნო მრეწველობა

ქვანახშირის ამოღება

მიმდინარე სამეურნეო წლის დასაწყისში—ოქტომბრის განმავლობაში ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა ა. წ. სექტემბერთან შედარებით, ქვანახშირის ამოღება 16,3 პროცენტით გადიდდა, ხოლო 1924—25 წლის საშუალო თვიურ ამოღებასთან შედარებით 24.4 პროცენტით. ამასთანავე გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, თუ სექტემბერში თვითეულ მუშა—დღეზე მოდიოდა 26,6 ფუთი ოქტომბერში მუშა საშუალოდ დღეში ამზადებდა 28,3 ფუთს. ქვანახშირის პროდუქციის გადიდება და ნაყოფიერების ზრდა ოქტომბრის განმავლობაში აიხსნება იმ გარემოებით, რომ საანგარიშო პერიოდში მუშა ხელი გამოყენებული იქნა პირდაპირი დანიშნულებით, რაც გასულ თვეებში სხვადასხვა მიზეზების გამო არ ხერხდებოდა. ქვანახშირის მრეწველობის ზრდისათვის ერთ-ერთ ხელისშემწყობ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ტყიბულის ქვანახშირზე მოთხოვნილების გადიდება, რომელიც გამოიწვია ტყიბულის ქვანახშირის ღირსების გაუმჯობესებამ.

შავი ქვა

რაც შეეხება შავი ქვის მრეწველობას, შავი ქვის ამოღებამ სექტემბერთან შედარებით დაიკლო ოქტომბრის განმავლობაში ამოღებულ იქნა სულ 3.908.000 ფუთი ანუ სექტემბრიდან შედარებით 6,8 პროცენტით ნაკლები. შრომის ნაყოფიერებამ შავი ქვის მოპოვების დარგში სექტემბერთან შედარებით თვითეულ მუშა დღეზე 7,8 პროცენტით არის შემცირებული, ამავე საანგარიშო პერიოდში გარეცხილ იქნა 2.523 ათასი ფუთი შავი ქვა. თვითეულ მუშა დღეზე მოდის 257,6 ფუთი გარეცხილი შავი ქვა; სექტემბერში კი თვითეული მუშა დღიურად საშუალო რეცხდა 253,3 ფუთს.

სპილენძის მრეწველობა.

შესამჩნევად წაიწია წინ სპილენძის მადნის მოპოვებამ და დამუშავებამ. ოქტომბრის განმავლობაში მოპოვებულ იქნა სულ 14.496 ფუთი სპილენძის მადანი ანუ ოქტომბერთან შედარებით 149,2 პროცენტი. ამავე ხნის განმავლობაში დამუშავებული არის 6.347 ფუთი წითელი სპილენძი წინა თვესთან შედარებით სპილენძის დამუშავება 137,5 პროცენტით გადიდებულია.

ამასთანავე დამუშავებულია 39.150 ფუთი რუხი კოლჩედანი სექტემ. შედარებით (76,4 პროცენტი, და 686 ფუთი კარბიტი (სექტემბ. შედარებით 115,1 პროცენტი). ამგვარად ოქტომბრის განმავლობაში სპილენძის მრეწველობის ყოველ დარგში პროდუქტი და შრომის ნაყოფიერება საგრძნობლათ გადიდებულია.

ხელფასის მდგომარეობა საბიუჯეტო წლის დასაწყისში

სამეურნეო წლის პირველ თვეში ოქტომბრის განმავლობაში საქონლის ფასებს დაეტყო ოდნავი გადიდება, რამაც ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებში გამოიწვია საბიუჯეტო ინდექსის გადიდება, მაგალ. ოქტომბრის განმავლობაში სექტემბრთან შედარებით საბიუჯეტო ინდექსი გადიდდა ბაქოში 5,2 პროცენტით, თბილისში 2,6 პროცენტით, ერევანში 11,6 პროცენტით. ამ მიზეზების გამო მუშათა ხელფასის ზრდის ტემპი, რომელიც გასულ თვეებში აჩქარებულ იყო, ოქტომბრის განმავლობაში ნელდება. ხელფასის ზრდის ოდნავი შეჩერებით ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე წარმოებათა ნაყოფიერების ზრდის შენელება საანგარიშო პერიოდში.

ხელფასის მდგომარეობის დახასიათდება ოქტომბრის განმავლობაში მხოლოდ საქართველოს და სომხეთის მიხედვით, რადგან აზერბეიჯანიდან ოქტომბრის ცნობები ჯერ მოსული არ არის საქართველოში, ცნობები ხელფასის შესახებ, შეკრებილია 13 სხვადასხვა წარმოებაში. ამ ცნობების მიხედვით მუშის საშუალო ხელფასი ოქტომბერში უდრიდა 31,97 საბიუჯეტო მანეთს ანუ 57,07 ჩერვონეცის მანეთს, რაც შეადგენს სექტემბრის ხელფასის 104,5 პროცენტს, თუ საბიუჯეტო მანეთით ვიანგარიშებთ, ანუ 106,45 პროცენტს, ხელფასს ჩერვონეცის მანეთებში გამოვხატავთ.

სომხეთში, ცნობები მიღებულია 3 სხვადასხვა წარმოებიდან. ამ ცნობების მიხედვით მუშის საშუალო თვიური ხელფასი ოქტომბერში ავიდა 27,62 საბიუჯეტო მანეთამდე ანუ 58,98 ჩერვონეცი მანეთამდე. ჩერვონეცის მანეთებში ხელფასი ოქტომბერთან შედარებით 9 პროცენტით არის გადიდებული.

მუშა-ხელის მომზადება

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა რესპუბლიკების შრომის სახ. კომისარიატებს დაუგზავნა ცირკულიარი, სადაც წინადადებას იძლევა, რომ კომისარიატები დაუყოვნებლივ შეუდგენ მუშა ხელის მომზადებას იმ წარმოებებისათვის რომელთ მუშაობა მომზადებულ მუშა ხელის უყოლობის გამო შეფერხებულია.

მუშა ხელის მოსამზადებლად მოწყობილი უნდა იქნეს ექვსთვიანი პროფტეხნიკური კურსები, სადაც მსმენელებად ჩარიცხული უნდა იქნენ ის უმუშევარნი, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ დახმარება სოციალური დაზღვევის ორგანოებიდგან.

პირველ ხანებში კურსები არ იქნება მრავალრიცხოვანი. საქართველოში კურსები გაიხსნება 80 მუშისათვის, აზერბეიჯანში 100 მუშისათვის; სომხეთში 30-სათვის. კურსებზე გავლილი იქნება 2—3 სპეციალობა, განსაკუთრებით ისეთი, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება არის.

რეზოლიუცია

ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ

მიღებული საქართველოს კომ. პარტ. III-IV ყრილობის მიერ

ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობის განვითარებისა და ნაყოფიერების გაძლიერებისათვის და შემდგომი შემდეგში შენიშნულ დეფექტების თავიდან ასაცილებლათ როგორც საბჭოთა, ისე პარტიულ ხაზზე, და იღებს რა მხედველობაში წარსული მუშაობის გამოცდილებას, ყრილობას საჭიროდ მიაჩნია შემდეგი:

1) უმაღლეს სასწავლებლებისა და საბჭოთა უჯრედების გადასინჯვა ჩაითვალოს სწორად და წარმატებით დამთავრებულად.

2) ყრილობა ამტკიცებს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ღონისძიებებს, დაავადებული ორგანიზაციების გადათვალიერების შესახებ და აუცილებლათ სცნობს განაგრძოს ეს მუშაობა საჭიროების და მიხედვით.

3) ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას ყველა დეფექტები და ცალკე ავადმყოფური მოვლენები, რომელნიც გამოაშკარავდა უმაღლეს სასწავლებლებისა და საბჭოთა უჯრედების გადასინჯვის და აგრეთვე ორგანიზაციების ნაწილობრივ გადასინჯვის დროს დაწვრილებით შეისწავლოს სათანადო ხელმძღვანელ და პარტიულ ორგანოებთან ერთად, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, სულ მოკლე ხანში გამომუშავებულ იქნას საჭირო ღონისძიებანი და გაატაროს ისინი ცხოვრებაში პარტკოლეგიის ხაზით ამ ღონისძიებათა მის გეგმიან მუშაობაში მოქცევით.

4) დამტკიცდეს ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილებანი ყველა სამაზრო ორგანიზაციებთან რწმუნებულთა ინსტიტუტის შექმნის შესახებ ცენტრის მიერ უკვე წინად გამოცემულ ინსტრუქციების საფუძველზე, მათთან ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მხრივ მჭიდრო კავშირის დამყარების და ამ მუშაობისათვის მიმართულების მიცემით და სწორად მოწესრიგებით.

5) გაძლიერებულ იქნას კავშირი და უშუალო ხელმძღვანელობა ცენტრალური კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულებთან ავტონომიურ რესპუბლიკებში და მიღებულ იქნას ყოველივე ზომები ამ რწმუნებულების ავტორიტეტის ასამაღლებლად და ნაყოფიერი მუშაობის გასაძლიერებლად.

6) სწორი ხაზის გატარების უზრუნველსაყოფათ ავადმყოფურ მოვლენებთან, პარტიულ წესდებისა და კომუნისტური ეთიკის დარღვევასთან ბრძოლაში მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს საკონტროლო კომისიის, პარტკოლეგიის მუშაობას, რომლის შემადგენლობაში შერჩეულ უნდა იქნან ყველაზე უფრო მტკიცე ამხანაგები.

7) ყრილობას აუცილებლათ მიაჩნია ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პარტიის იმ წევრების აღზრდაზე, რომლებიც მის რიგებში შედარებით გვიან შევიდენ და ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეითვისეს რკინის დისციპლინა, სიმტკიცე, და ქვისებური სიმაგრე ლენინის ბოლშევიკური პარტიისა.

8) ყრილობა ავალებს პარტკოლეგიას იმუშაოს განსაზღვრული პერიოდისათვის წინასწარ დამუშავებულ გეგმიან პროგრამის საფუძველზე.

9) აუცილებლათ იქნეს ცნობილი ფუფუნებასთან ბრძოლა პარტიის წევრთა პირად ცხოვრებაში და ბოროტმოქმედებებთან სამსახურის ბოროტათ გამოყენების წინააღმდეგ.

10) ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას თავის შემდგომი მუშაობის დროსაც ფხიზლად ადევნოს თვალყური რევოლიუციონური კანონიერების ცხოვრებაში გატარებას და ამ დარგში ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს საბჭოთა იუსტიციას.

11) ყრილობას აუცილებლად მიაჩნია გაძლიერდეს და გაგრძელდეს მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიერ უკვე დაწყებული დაუნდობელი ბრძოლა სახალხო ქონების გაფლანგვასთან, მტაცებლობასთან და მითვისებასთან, გულგრილობასთან, ბედოვლათობასთან, ბიუროკრატობასთან, ძალა-უფლების გადამეტებასთან, ბოროტმოქმედებათა და დანაშაულობათა სხვა სახეებთან, რომლებიც აღმოჩენილ იქნენ სახელმწიფო სამეურნეო დაწესებულებების, სავაჭრო წარმოებისა და კოოპერაციის სარევიზიო-საკონტროლო გამოკვლევის დროს.

12) ყრილობა სავსებით იწონებს ცენტრის მიერ 1925—26 წლისთვის გამომუშავებულ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის ახალ გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია წმინდა რაციონალიზატორული (გამაუმჯობესებელი) მუშაობის განსაზღვრული პროცენტი, და დროულად სცნობს აღნიშნულ გამაუმჯობესებელ მუშაობაზე თანდათანობით გადასვლას, და ამ მუშაობის ცხოვრებაში გატარებას ერთ-ერთ პირობათ მიაჩნია მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის აწევა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინსპექტორთა შემადგენლობას.

ამასთან ერთად მუშათა და გლეხთა ინსპექციის სარევიზიო-საგამომძიებლო მუშაობა-მოღვაწეობაში ჯერჯერობით პირველი ადგილი უნდა დაეთმოს გეგმათა გარეშე ინსპექციის მუშაობის გაძლიერებას.

13) ყრილობას აუცილებლათ მიაჩნია საფაბრიკო-საქარხნო კომისიებთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება, და მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის საქმიანობაში მუშათა ფართო მასსების ჩაბმის მიზნით, მიიღოს ამ მიმართულებით საჭირო ზომები პროფკავშირებთან ერთად, როგორც ხსენებულ კომისიების, ისე თვით მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გასაცხოველებლად.

14) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრთა რიცხვი განისაზღვროს 30—35 კაცით და 7 კანდიდატით.

15) აუცილებლათ იქნას ცნობილი ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრების განთავისუფლება, რომლებიც მუდმივად მუშაობენ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში და ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში, და აგრეთვე ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რწმუნებულების, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მსხვილ ორგანიზაციებში მათზე წინად დაკისრებულ მოვალეობათაგან.

16) ყრილობა ავალებს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს და აგრეთვე თვით ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას მიიღონ ყოველგვარი ზომები და ხელი შეუწყონ ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას.

პროფკავშირებში

მუშა-ხელის კვალიფიკაციისათვის

ჩვენი წარმოება დღითი-დღე იზრდება. წარმოების ზრდასთან ერთად იზრდება მუშა-ხელი და მუშათა მასის მოთხოვნილებანი. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უშუალოდ დამოკიდებულია საბჭოთა მეურნეობის კულტურულ და ეკონომიურ სიძლიერე-აღორძინებაზე. ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია მაშინ, როდესაც შრომის ინტენსივობა და ნაყოფიერება ჩვენში იდგომება უმაღლეს დონეზე. მუშაობაში დაცული იქნება შრომის ფოლადისებური დისციპლინა სათანადოთ მომზადებული მუშახელით, კვალიფიციური მუშაკებით და როდესაც ფაბრიკა-ქარხნები უზრუნველყოფილი იქნებიან საუკეთესო სისტემის და ხარისხის მანქანებით.

ჩვენ ამ წერილში შევეხებით მხოლოდ მუშა-ხელის კვალიფიკაციის საკითხს.

როგორც ვიცით, მუშა-ძალის კვალიფიკაციის საკითხი ჩვენში ძალიან მწვავედ სდგას. კვალიფიციური მუშა-ხელი ჩვენ ძალიან მცირე რაოდენობით მოგვეპოვება. მათზე მოთხოვნილება კი დიდი გვაქვს. ამიტომ ჩვენი სამრეწველო-სამეურნეო და პროფორგანოების მთავარი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული აქეთკენ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლებს, რომლების მიზანს შეადგენს კვალიფიციური მუშა-ხელის შექმნა მომზადება, რომელთაც უნდა აავსონ ის დანაკლისი, რაც ჩვენ ამ დარგში გვაქვს.

სამწუხაროდ, საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები ჯერ კიდევ ვერ სდგანან თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე; ისინი ვერ აკმაყოფილებენ მუშა-ხელზე მოთხოვნილებებს.

ამის მიზეზები ბევრია და მათ შორის კი, უმთავრესად საყურადღებოა შემდეგი: 1) აღნიშნული სასწავლებლები ძალიან მცირე რაოდენობით მოგვეპოვება და ისინიც კი, რაც გვაქვს, ძალზე დატვირთულნი არიან იმგვარი საგნებით, რომლებსაც ხშირად თითქმის არავითარი კავშირი არა აქვთ წარმოებასთან. ეს კი იწვევს სწავლის დროის უნაყოფო და უაზრო გაგრძელებას.

ამ სკოლებში თვით სწავლის მეთოდიკაც ვერ არის სწორად დაყენებული: იმის ნაცვლად, რომ ამ სკოლების საქმიანობა უაღრესად მიმდინარეობდეს ფაბრიკა-ქარხნებში, დაზგებზე, მანქანებთან, ჩვენი ძველი გამოცდილი მუშების გვერდით, ისინი მთავარ ყურადღებას ჯერ კიდევ აქცევენ სწავლების თეორეტიულ მხარეს. პრაქტიკული მეცადინეობა კი ვერ სდგას თავის სიმაღლეზე.

ასეთი მდგომარეობა ყოვლად მიუღებელია.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლები სინამდვილეში უნდა იყვნენ იგივე ფაბრიკა-ქარხნები, მხოლოდ ასეთი განსხვავებით, რომ აქ პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად უფრო ნიჭიერი და მოყვარე მუშები იძენენ თეორეტიულ ცოდნასაც იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის ფაბრიკა ან ქარხანა, თუ რა და რა მანქანები მუშაობს ამა თუ იმ ფაბრიკა-ქარხანაში, რას აკეთებს იგი; გატარებულია თუ არა შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. სკოლებში უნდა სწარმოებდეს აგრეთვე შესწავლა მანქანების ნაწილებისა: მათი მოვლა და ხმარების საქმე. აქ მუშები უნდა სწავლობდენ და ითვისებდენ ფაბრიკა-ქარხნის სამეურნეო-ადმინისტრატიულ საქმიანობას და სხ. და სხ.

ლექცია-რეფერატებს უნდა სდევდეს პრაქტიკული მუშაობა-მეცადინეობა.

აი ის მთავარი ამოცანები, რომლებსაც უნდა ისახავდენ და ახორციელებდენ საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები.

ხნივი.

შეღავათი შორეულ ადგილებში სამუშაოდ გადაგზავნილ პირებს

მოსკოვი, 9 დეკემ. საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატმა შეუთანხმა ცენტრალურ პროფკავშირთა საბჭოს დადგენილება შეღავათის შესახებ იმ პირთათვის, რომელნიც იგზავნებიან სამუშაოდ შორეულ ადგილებში სახელმწიფო დაწესებულებებისა და წარმოებების მიერ.

დადგენილების თანახმად ამ პირთ ორმაგათ მიეცემათ ყოველგვარი კომპენსაცია, გარდა სამგზავრო ხარჯებისა, რომელიც ეძლევათ ჩვეულებრივი რაოდენობით.

პირველი სამი თვის განმავლობაში მომუშავეს ახალ ადგილზე თვიური ჯამაგირის გარდა ეძლევა დახმარება ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობით. შორეულ ადგილებში სამი წლის სამსახურისათვის მომუშავეს უნდა მიეცეს ერთ-დროული დახმარება უკანასკნელი სამი თვის ჯამაგირის რაოდენობით. იმ პირთ კი, რომელნიც სამ წელზე მეტს იმსახურებენ, ეძლევათ უფლება უფასოდ ასწავლონ თავიანთ შვილებს ყველა არსებულ სასწავლებლებში. 5 წლის ნამსახურთ კი უნდა მიეცეთ დამატებით სამი თვის შვებულება ჯამაგირის შენახვით. იმ პირთ, რომელნიც აწარმოებენ მუშაობას, რომლისთვისაც საჭიროა სპეციალური სამეცნიერო მომზადება, უფლება ეძლევათ 5 წელში ერთხელ მიიღონ სამეცნიერო მივლინება 8 თვიდან 6 თვემდე ჯამაგირის შენახვით.

შეღავათი არ ვრცელდება შორეულ ადგილებში მუშა ძალის მასსიურ გადაგზავნის შემთხვევებზე.

პროფმუშაობის ქრონიკა

ა.-კ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმში.

— **10.000 მანეთი პროფკურსისათვის.** ა.-კ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა გაიღოს 10.000 მანეთი კავშირის ფონდიდან ს. პ. კ. საბჭოს მიერ დაარსებულ პროფმუშაკების კურსებზე გაგზავნილ კურსანტთა შესანახად. რესპუბლიკებზე ეს თანხა ნაწილდება ასე: საქართველოსთვის—4.545 მან. და 45 კაპ., აზერბეიჯანისთვის—3.636 მან. და 36 კაპ. და სომხეთისთვის—1.818 მან. და 19 კაპ.

— **კვალიფიციურ მუშა-ხელის მოსამზადებლად.** ა.-კ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა მიმართა გზათა სამმართველოს უფროსს თხოვნით, რათა მან მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება იმ არა სწორ ცნობებს, რომლებსაც მას აწვდიან სამსახურები, პროფტექნიკური კურსების საშუალებით მომზადებულ საჭირო კვალიფიკაციის შესახებ, რაც იწვევს სიჭარბეს ერთი კვალიფიკაციისა და ნაკლებობას მეორისას—რესპუბლიკებში.

— **საუბნო კომიტეტების გამოკვლევა.** საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა ინსტრუქტორების მოხსენება საუბნო კომიტეტების და ადგილკომების გამოკვლევის შედეგების შესახებ, რომლებმაც წარუდგინეს ამასთანავე მას მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებებისა მათ მუშაობის გაუმჯობესებისათვის. კომიტეტმა წინადადება მისცა საუბნო კომიტეტებს გაატარონ ცხოვრებაში ეს ღონისძიებები და ამასთანავე დაავალა საორგანიზაციო განყოფილებას, რათა თვალყური ადევნოს მათ გატარებას სისწორით.

— **კომისიის არჩევა.** საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა აირჩია კომისია ამხ. საბაშვილის, გორიანოვის და ენიკოლოპოვის შემადგენლობით, რომელსაც მიანდო ადგილკომებისათვის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

წყალთა მეურნეობა

(საქ. წყალთა სამმართველოს მასალებიდან)

ამჟამად წყალთა მეურნეობის მდგომარეობა ასეთია: 1) მორწყულია არხებით—62.500 დესეტინა, 2) მორწყულია საინჟ. სისტემას არხით ყარაიაზში—15.000 დეს., 3) 1921 წ. და 1924 წ. 1 ოქტომბერს დაწყებულია სამუშაოები, რომლითაც უნდა მოირწყოს—79.700 დეს. სულ მთლად მორწყული მიამოს რაოდენობა უდრის 91.700 დეს. დაწყებული სამუშაოების დამთავრებისას მორწყეს დანარჩენი (69.700 დესეტინიდან 14.200 დეს. გამოკლებით) 55.500 დეს. და 1925 წ. დაწყებული ალაზან-ელდარის არხით—60.000 დესეტინა, ესე იგი სულ მოირწყვის—115.500 დეს. ამის გარდა უნდა ამოიშროს შავი ზღვის ნაპირები 130.000 დეს. რაოდენობით და საქართველოს დანარჩენ სხვადასხვა კუთხეებში 20.000 დეს.

მომავალი საბიუჯეტო წლის მუშაობის გეგმის შედგენას ჯერ კიდევ მაისში შეუდგა საგეგმო კომისია, რომელმაც შეიმუშავა 1925—30 ხუთ წლიანი საპერსპექტივო გეგმა. ხუთწლიური ბიუჯეტის ჯამი გამოიხატება 22.720.000 მანეთში. მომავალი 1925 | 26 საბიუჯეტო წლის ჯამი უდრის—3.490.000 მან.

აღნიშნული ხარჯთაღრიცხვა განხილული იყო ა | კ. საგეგმო კომისიაში სომხეთისა და აზერბეიჯანის წარმომადგენელთა თანდასწრებით. თათბირზე გამონაგარიშებული იყო პროცენტული ხვედრი თვითეულ რესპუბლიკისა იმ საერთო თანხიდან, რომელიც გაღებულია ამიერ-კავკასიის მელიორაციისათვის. საქართველოსათვის ეს ხვედრი პროცენტი უდრის 32,4-ს. თავის მხრით ა | კ. წყალთა სამმართველოს მიერ შედგენილი იყო საპერსპექტივო გეგმა ხარჯთაღრიცხვით სამივე რესპუბლიკისათვის და წარდგენილი მოსკოვში საკავშირო ორგანოებში. ამიერ-კავკასიისათვის გადადებულ იქნა—6.560.000 მან. ეს თანხა სამივე რესპუბლიკათა შორის განაწილდა შემდეგნაირად: 1. საქართველოს საამშენებლო სამუშაოთათვის—1.010.000 მან., გამოკვლევისათვის და პროექტებისათვის—310.000 მან., სულ—1.320.000 მან.

2. აზერბეიჯანის საამშენებლო სამუშაოთათვის—1.760.000 მანეთი, გამოკვლევა-პროექტებისათვის—160.000 მან., სულ—1.920.000 მან.

3. სომხეთის საამშენებლო სამუშაოთათვის—1.565.000 მან., გამოკვლევა-პროექტებისათვის—135.000 მან., სულ—1.700.000 მან.

1925 | 26 წ. კრედიტი განაწილებულია შემდეგი სამუშაოთათვის: 1) ფოთის ჭაობების (ქალადიდის) ამოსაშრობად—200,000 მან. 2) ტირიფონის ველის არხის დასამთავრებათ—685,000 მან. 3) ელდარის ველის მოსარწყავად—125,000 მანეთი, სულ—1,010,000 მან. გამოკვლევა-პროექტებისათვის გადადებული 310,000 მან. განაწილებულია შემდეგი გამოკვლევათათვის 1) ფოთის ჭაობების ამოსაშრობად—80,000 მან, 2) ალაზნის არხისათვის—60,000 მან. 3) ელდარის ველის მოსარწყავად—25.000 მან., 4) ვანი-ტობანიერის რაიონის მოსარწყავად—15.000 მან., 5) დოლლაურის ველის მოსარწყავად—20.000 მან., 6) სამგორის ველების მოსარწყავად—60.000 მან., 7) აფხაზეთის ჭაობების ამოსაშრობად—50.000 მან.

აზერბეიჯანის ს. მ. უ. ს. შუამდგომლობა.

აზერბეიჯანის ს. მ. უ. ს. შუამდგომლობა ბაქოში საქართველოს ს. მ. უ. ს. და საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის სავაჭრო კანტორების გაერთიანების შესახებ უარყოფილ იქნა ეკონომიურ საბჭოს მიერ; რადგან არც ერთი ხსენებული ორგანიზაციის ინტერესები ამას არ მოითხოვს.

მდ. ყვირილის ნაპირებისა და ხიდის გამაგრება.

შორაპნის მაზრის აღმასკომის განცხადების თანახმად საჩხერეში მდ. ყვირილა ემუქრება გზას და ხიდს ხიდი დაზიანებულია კიდეც.

საჭირო სამუშაოთა შესახებ წყალთა მეურნეობის სამართველოს ქუთაისის ქალაქის გამგეს შეუდგენია სათანადო ხარჯთაღრიცხვა 175.000 მანეთის რაოდენობით.

რადგან არც წყალთა მეურნეობის სამართველოს და არც გზატკეცილების სამმართველოს არ მოეპოვება ამისათვის საჭირო სახსარი, აღიძრა სათანადო შუამდგომლობა ეკონომიურ საბჭოს წინაშე საჭირო თანხის გაღების შესახებ.

საკითხი გადაეცა დასკვნისათვის საგეგმო კომისიას.

ს. მ. უ. ს. შუამდგომლობა.

ეკონომიურმა საბჭომ ნება დართო ს. მ. უ. ს. გაგზავნოს ტყავტრესტის საწარმოო ნაწილის გამგე ამხ. ადელხანოვი ტყავეულობის შესაძენად გერმანიაში, ვინაიდან საქართველოს ბაზარი ვერ აკმაყოფილებს ტრესტის მოთხოვნილებას.

სას.-სამეურნეო გადასახადის თანრიგების მიცემის გარშემო

ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველომ წარადგინა ეკონომიურ საბჭოში სია იმ მაზრების, თემების და სოფლებისა, რომელთაც უნდა მიეცეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დაბეგვრის განსაკუთრებული თანრიგი. სია დაამტკიცა ეკონომიურმა საბჭომ.

სპეციალური ფონდის განაწილება მაზრებს შორის

არჩეულია კომისია ამხ. ლ. გამყრელიძისა (თავმჯდომარე), კაკაბაძისა და ათაბეგოვის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს, თუ რატომ არ მიიღო საქართველოს სახ.-სამეურნეო ბანკმა სპეციალური ფონდის 161.250 მან. ანგარიშში 40.000 მ.

წყალსადენის მოწყობა სიღნაღის მაზრის ქედის რაიონში.

სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა, რათა გაღებულ იქნეს სახსარი ქედის თემში წყალსადენის გასაყვანად.

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველო განმარტავს, რომ ქედის თემის წყლით უზრუნველყოფისათვის არის ორი გამოსავალი: ან უნდა მოიძებნოს შირაქის ველზე ნიადაგის წყალი, რომელიც სასმელად გამოდგება, ან წყალი უნდა მიეცეს ალაზნიდან ტუმბებით 900 საჟ. სიმაღლეზე. ამ ორი შესაძლებლობიდან უფრო მისაღებად მიაჩნია მას მეორე ვარიანტი ე. ი. ალაზნის წყლის მიწოდება, მით უფრო, რომ ალაზნის არხზე ნავარაუდევია ჰიდროელსადგური, რომლის ენერგიის გამოყენება გააიაფებს სატუმბავი სადგურის მოწყობას. უკეთუ ხსენებულ სოფელს წყალი არ მიეცა მოსალოდნელია მოსახლეობის იმ ადგილიდან აყრა (როგორც ეს მოხდა ნაწილობრივ შარშან). წყალის გამოყვანა სამმართველოს ანგარიშით დაჯდება 50—60 ათას მანეთამდე.

ეკონომიურმა საბჭომ განიხილა ხსენებული საკითხი და საჭიროდ სცნო წყალსადენის გაყვანა. ამ მიზნით დაევალა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს აღნიშნული წყალსადენის სამუშაოები შეასრულოს წყალთა მეურნეობის გასაუმჯობესებლად გადადებული ორი მილიონიან გრძელვადიან საკრედიტო ფონდის ანგარიშში.

ოზურგეთის მაზრაღმასკომის შუამდგომლობა.

ოზურგეთის მაზრაღმასკომის შუამდგომლობა დვაბზუს თემში საკრედიტო ამხანაგობის დაარსების შესახებ ჯერჯერობით უარყოფილ იქნა უსახსრობის გამო.

ს. მ. უ. ს. ცენტრალური სატრანსპორტო განყოფილების ლიკვიდაცია

ეკონომიურმა საბჭომ დააკმაყოფილა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილება ცენტრალურ სატრანსპორტო განყოფილების ლიკვიდაციის შესახებ.

დაარსებულია სალიკვიდაციო კომისია ამხ. ჯაფარიძის (თავმჯდომარე), ჯანელიძის და კანდელაკის შემადგენლობით.

წარწერა ჩაის ეტიკეტებზე.

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გასასყიდათ გამოშვებული ჩაის ეტიკეტზე წარწერა იქნეს სახელმწიფო ენაზე.

ეკონომიური ცხოვრება

შემნახველ სალაროების ქსელის გაფართოებისათვის

14 დეკემბრისათვის თბილისში მოწვეულია ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოების წარმომადგენელთა და საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის, აჭარისტანის და აფხაზეთის შემნახველ კასების პასუხისმგებელ მუშაკთა ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემნახველი კასების აქტუალური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც შემნახველი კასების უკვე არსებული ქსელის განმტკიცებასთან და გაფართოებასთან, ისე ახალი კასების გახსნასთან სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსთან, ა | კ. საბამბო კომიტეტთან, გზათა სახალხო კომისარიატთან და სხვა ორგანიზაციებთან.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის ფინსახკომის შემნახველ კასების მთავარ სამმართველოს უფროსი ამხ. გოლდბერგი, რომელიც ამ მიზნით ჩამოდის თბილისში.

ეკონომიურ საბჭოში

შავი-ქვის სამართველოში.

შავი-ქვის საგანგებო სამართველოს მიერ ს. მ. უ. ს. „სახელმწიფო სათბობი"-სათვის გადაცემული 36 რონოდას ღირებულება 5.616 მან. რაოდენობით ჩამოეწერა შავი-ქვის სამართველოს და ჩარიცხულ იქნა ს. მ. უ. ს. ძირითად კაპიტალში.

ს. მ. უ. საბჭოს შუამდგომლობა.

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შუამდგომლობა აჭარაში და დასავლეთ საქართველოში გარდა თავისი ტრესტების ნაწარმოებისა სხვა საგნებითაც ვაჭრობის ნებართვის მიცემის შესახებ, ეკონომიურმა საბჭომ არ დააკმაყოფილა.

სახელმწიფო ქონებათა რესპუბლიკანური კომისიის დაარსება.

დაარსებულ იქნა სახელმწიფო ქონებათა რესპუბლიკანური კომისია ა. კ. ფინსახკომის რწმუნებულის (თავმჯდომარე), ს. მ. უ. საბჭოს, მიწათმოქმედების და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატებისა და თბილისის აღმასკომის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

საშუამავლო ბიუროების შტატების დამტკიცება.

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა შრომის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი საშუამავლო ბიუროების შტატები.

ეკონომიური ქრონიკა

— **მანუფაქტურა აჭარისტანისათვის.** საფეიქრო სინდიკატის ბათომის განყოფილებამ მოსკოვიდან მიიღო რამოდენიმე ვაგონი მანუფაქტურა აჭარისტანისათვის.

— **თამბაქოს ქარხნის გაფართოება.** ბათომის თამბაქოს ქარხანაში დაიდგა დამატებით ერთი საგილზო მანქანა, რომელიც გამოიმუშავებს დღიურათ 20.000 გილზს.

— **შაქარი მაზრებისათვის.** ა | კ. კოოპერატიულ კავშირის ბათომის განყოფილებამ მიიღო სამი ვაგონი შაქარი მაზრებში კოოპერატივებზე გასანაწილებლათ.

— **ჩაის გასაღება.** ა.-კ. კოოპ. კავშირმა მოსკოვში და როსტოვში გასასაღებლად გაგზავნა 85,000 გირვანქა ჩაი.

— **თამბაქოს დამზადება.** აჭარის წარმოკავშირი წელს დაამზადებს 6000 ფუთ თამბაქოს.

— **კოოპერატიული პურის საცხობი.** ამჟამად ბათომის მუშკოოპი დღე-ღამეში აცხობს 2000 ფუთ პურს, ხოლო უმუშევარ პურის მცხობელთა კოლექტივები—300 ფუთს, ეს შეადგენს 40 პროც. იმისაც, რაც სჭირდება მთელ ბათომს.

— **გამოფენები.** აჭარისტანის მიწათმოქმედების კომისარიატს განზრახული აქვს მომავალ წლიდან მოაწყოს მეხილეობა-მებოსტნეობის გამოფენები.

— **სეპარატორები.** აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მაზრებში სარძეო კოოპერატიულ ამხანაგობებს დაუგზავნა 50 სეპარატორი (რძის დამამზადებელი მანქანა).

— **ჩაის გაგზავნა.** ამიერ-კავკასიის კოოპერატიულმა კავშირმა როსტოვსა და მოსკოვში გასასყიდათ გაგზავნა 85.000 გირვანქა ჩაქვის ჩაი.

ჩვენი შინა-ვაჭრობა

ბირჟებზე.

თბილისის და ბათომის ბირჟების საერთო ბრუნვა ოქტომბერში ახლო მატებას იძლევა; ბრუნვა გაიზარდა 1,9 პროცენტით. მატულობს აგრეთვე სახელმწიფო ორგანოთა საბითუმო [illegible] ვაჭრობა.

ოქტომბერში ბათომის და თბილისის ბირჟების ბრუნვა უდრიდა 9,9 მილიონ მანეთს, წინააღმდეგ 9,6 მილ. მანეთისა სექტემბერში. მიმდინარე წლის ოქტომბრის ბრუნვა 49,8 პროცენტით მეტია 1924 წლის ოქტომბრის ბრუნვაზე.

საბითუმო ვაჭრობა

ჩვენში მიმდინარე თვე სახელმწიფო ორგანიზაციების საბითუმო გაყიდვა გაიზარდა 9,3 პროცენტით. ყველაზე უფრო საგრძნობლათ იზრდება ს. მ. უ. ს. ტრესტების საბითუმო გაყიდვა. ხოლო დანარჩენ ორგანიზაციათა საბითუმო გაყიდვა შემცირდა.

სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ გაყიდულ საქონლის მყიდველთა შორის პირველი ადგილი ეკუთვნის კოოპერაციას, მეორე-სახელმწიფო ორგანოებს და უკანასკნელი—კერძო პირებს.

ცალობრივი ვაჭრობა

რვა სახელმწიფო ორგანიზაციის საცალო ვაჭრობა 829.300 მანეთიდან 927.300 მანეთამდე ავიდა; სექტემბერთან შედარებით საცალო ვაჭრობა გაიზარდა 11,8 პროცენტით.

კოოპერატიული ვაჭრობა

17 დაბალი კოოპერატივის ყიდვა უდრის 311.4000 მანეთს, სექტემბერთან შედარებით ყიდვა შემცირდა 27,8 პროცენტით, ხოლო 19 კოოპერატივის გაყიდვა შეადგენს 606,900 მანეთს.

ოქტომბრის განმავლობაში სამრეწველო საგნების ფასმა საერთოდ საგრძნობი მატება მოგვცა და უმთავრესათ კი ფართალმა და ლითონის ნაწარმოებმა.

ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში

საკონტროლო განყოფილებათა გამგეთა თათბირი.

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს ა. კ. ფინსახკომის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოსთან შედგება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფინსახკომების საკონტროლო-განყოფილებათა გამგეების პირველი თათბირი.

თათბირი მოწვეულია იმ მიზნით, რომ უფრო მჭიდრო კავშირი შეიქმნეს რესპუბლიკების ფინსახკომების საკონტროლო აპარატებს შორის; ამასთანავე თათბირზე განხილული იქნება ამ აპარატების შემდგომი მუშაობის გეგმა.

საურავის დარიცხვის წესი.

ამიერ-კავკასიის ფინსახკომმა დაადასტურა საბჭოთა კავშირის ფინსახკომის ცირკულიარი საურავის დარიცხვის შესახებ წარსული წლების დარჩენილ თანხებზე; ცირკულიარის თანახმად, საურავი დარჩენილ თანხებზე 1925 წლის 1-ლ ოქტომბრამდე დაირიცხება ძველი კანონის მიხედვით, პირველი ოქტომბრიდან კი ახალი წესით, ე. ი. 6 პროც. თვეში კერძო პირებისათვის და 3 პროც. სახელმწიფო წარმოებებისათვის და სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე.

ბაჟის გადახდის წესი.

ა. კ. ფინსახკომმა აცნობა ადგილებს ის წესები, რომელთა მიხედვით შეიძლება ბაჟის გადახდის გადადება, ინსტრუქციის თანახმად, ბაჟის გადახდის გადადების უფლება აქვთ ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებებს და დაწესებულებებს, და აგრეთვე სააქციონერო საზოგადოებებს, რომლებშიაც სჭარბობს სახელმწიფო კაპიტალი.

შინა-მრეწველობის სარეწაოები.

საკავშირო ფინსახკომმა შეიმუშავა შინამრეწველი სარეწაოების სია (ქალაქებში და სოფლებში), რომლებსაც წარმოების ხასიათის მიხედვით შეუძლიათ ისარგებლონ ერთი მუშის შრომით, ამავე დროს ისინი არ კარგავენ საგადასახადო შეღავათებს, რომლებიც მინიჭებული აქვს შინა-მრეწველებს და ხელოსნებს.

პროვინციის ბაზარი

თბილისის ბირჟაში მოსულ ცნობების თანახმად, უკანასკნელ ხანებში პროვინციის ბაზარზე შემდეგი მდგომარეობაა:

წნორის წყალი

ბაზარზე პურეული საკმაო რაოდენობით შემოაქვთ, მაგრამ მიუხედავად ამისა მოთხოვნილება მაინც დაუკმაყოფილებელი რჩება. წელს ღვინის მოსავალი აქ საშუალოდ ითვლება. მაზე ფასები თანდათან იზრდება, ღვინის დამზადებას დიდძალი რაოდენობით აწარმოებენ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები. ბაზარზე ძვირდება დაკლული საქონელი, ამის მიზეზი საქონლის ჭირია.

ამხანაგობა—„თაფლის წყარომ" შეისყიდა თავის წევრებისაგან 600 ფუთი თაფლი, ფუთი 12—14 მანეთად. დიდძალი რაოდენობით შემოაქვთ ბაზარზე მხალი და ვაშლი. წარმოკავშირის ადგილობრივი განყოფილება შეუდგა ხელეულის დამზადებას; მას განზრახვა აქვს დაამზადოს: 40.000 გრადუსი არაყი, 200.000 ცალი ტყავი, 1.000 ფუთი ბრინჯი, 1.000 ფ. თხილი, 70.000 ფ. თამბაქო, 2.000 ფ. ბამბა და 2.000 ფ. ხორცი.

ბაზარზე დიდია მოთხოვნილება სეზონურ, ზამთრის ფართალზე.

ფოთი

ბაზარს გამოცოცხლება ეტყობა. ამას ხელი შეუწყო აქ სახელმწიფო ბანკის განყოფილების გახსნამ. მუშკოოპმა მიიღო დიდი პარტია შაქრის ფხვნილისა, რომელსაც იგი ანაწილებს, როგორც კოოპერატივებზე, ისე კერძო პირებზე. კოოპერატივებს შაქარი ეძლევათ—10 მან. და 40 კაპ. ფუთი, ხოლო კერძო პირებს არ ეძლევათ 1—2 ტომარზე მეტი და ისიც 11 მანეთად—ფუთი. გარდა ამისა მუშკოოპმა, კომუნალური ბანკიდან შეიძინა ერთი რონოდა ასანთი და მასაც იგი ანაწილებს კოოპერატივების საშუალებით.

სახელმწიფო ბანკის ადგილობრივმა განყოფილებამ მიიღო ყუბანის ფქვილი; ამ ფქვილს იგი აძლევს მუშკოოპს—3 მან. და 37 კ. ფუთს.

მუშკოოპმა მიიღო ახალი პარტია ფართლისა და ზამთრის გალანტერეისა, ფეხსაცმელები და სხვა.

ბაზარზე არ მოიპოვება: ფანელი, ბაიკა, ბოზრიკი, მატყლის ქსოვილები და კალოშები—საკმაო რაოდენობით.

საგრძნობლად გაძვირდა შავი რკინა. თხილი ძვირდება, მასზე მუშტარი ბევრია; ახლო ხანად მუშკოოპმა გაგზავნა თხილის ახალი პარტია.

სიმინდი იაფდება.

დიდია მოთხოვნილება მინაზე და მინის ჭურჭელზე. ბაზარი მასზე მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. დიდია მოთხოვნილება რუსეთიდან სხვადასხვა ხარისხის ღვინოებზე.

სიღნაღი

ბაზარზე დაიწყო პურის შემოტანა ჩრდილო-კავკასიიდან, მასზე ფასები მტკიცეა. ადგილობრივმა კოოპერატივმა მიიღო ფართლეულის დიდი რაოდენობა, რომელსაც მყიდველები პირდაპირ იტაცებენ. ბაზარზე არ მოიპოვება მზა ტანსაცმელი რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა. კერძო ბაზარზე ფართლის ფასები თანდათან იზრდება.

სამტრედია

ბაზარზე ძალიან ცოტაა ზამთრისათვის საჭირო ფართალი; ამის გამო მის შესაძენად განუწყვეტელი რიგები სდგას. კერძო ვაჭრებმა თავი დაანებეს მეტრობით ვაჭრობას და დაუბრუნდენ არშინებს. არშინი დაბალი ხარისხის ბამბაზია კერძო ბაზარზე ფასობს შვიდ აბაზათ. კოოპერატივებში ეს საქონელი სრულიად არ მოიპოვება; კერძო ვაჭრები კი ახერხებენ მის შოვნას. ამ ბოლო დროს კოოპ. „წინსვლამ" მიიღო ფანელის მცირე რაოდენობა და მას იგი სცვლის ბამბაზე. „ზაკტეპო"-მ მიიღო 12 ყუთი კალოშები და ამის გამო ფასებმა მასზე 5 მანეთიდან დაიწია 3 მან. და 45 კაპ. 4 მან. 50 კაპეიკამდე. ბაზარზე სიმინდი გაძვირდა 20 პროც.

ბაზარზე დიდია მოთხოვნილება: საძირე ტყავზე, სხვადასხვაგვარ ტყავეულზე, ლურსმანზე, სახურავ თუნუქზე, მარსელის კრამიტზე, სპილენძის მავთულზე, ფანელზე, ბამბაზე, მზა პალტოებზე, კოსტიუმებზე, ფეხსაცმელზე, პლაშებზე და ნაბდებზე.

მუშა ახალგაზრდობის ჯანმრთელობისათვის

(გამოკვლევათა შედეგები)

1925 წლის განმავლობაში სწარმოებდა ამიერ-კავკასიის სხვადასხვა წარმოებებში მომუშავე ახალგაზრდების ჯანმრთელობის გამოკვლევა. შემოწმებული იქნა სულ 4,186 ახალგაზრდის ჯანმრთელობა. აქედან ვაჟია—3,424, ხოლო ქალი—762.

ჯანმრთელობის გამოკვლევასთან ერთად სწარმოებდა ახალგაზრდების საბინაო პირობების და კვების გამოკვლევა.

გამოკვლევით მიღებული მასალების დამუშავების შემდეგ გამოირკვა, რომ ახალგაზრდებს ცუდ ბინებში უხდებათ ცხოვრება. ახალგაზრდების 50 პროც. ცხოვრობს ვიწრო ბნელ და ნესტიან ბინებში. არ არის დაკმაყოფილებული აგრეთვე ახალგაზრდების კვება. მოზარდების დიდი უმრავლესობა მოკლებულია ნოყიერ-ცხიმოვანი საჭმლების სათანადო რაოდენობას.

4,186 ახალგაზრდიდან, რომელთა ჯანმრთელობაც შემოწმებულ იქნა, დაავადმყოფებული აღმოჩნდა 1904 ახალგაზრდა. აქედან საქართველოზე მოდის 808 ახალგაზრდა, აზერბეიჯანზე 986, რკინის გზაზე მსახურ ახალგაზრდობაზე—115 კაცი. ახალგაზრდებს შორის გავრცელებულ ავადმყოფობათა შორის სჭარბობს სისხლნაკლებობა და მალარია.

პროფესიის მიხედვით საქართველოში დაავადმყოფებულთა ყველაზე დიდ პროცენტს იძლევიან თამბაქოს წარმოების მუშები და ფეიქრები. საქართველოში და აზერბეიჯანში მკურნალობას საჭიროებს 2,322 მოზარდი

საბჭოთა სასამართლო

„ვინ შეჭამა შეშა"

10 დეკემბერს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყო ალექსანდრე ლორთქიფანიძის საქმის გარჩევა.

ლორთქიფანიძეს მფლანგველებს შორის უსათუოდ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან თუ სხვები უმეტესად ფულს სჭამდენ, ლორთქიფანიძე, რომელიც ითვლებოდა სატყეო ტრესტის შეშის ცენტრალურ საწყობის გამგეთ, მთელი ერთი წლის განმავლობაში „სჭამდა" სატყეო ტრესტის შეშას.

როგორ ხდებოდა ეს?

ლორთქიფანიძე, ვსთქვათ, ჰიღებდა რკინის გზიდან რამოდენიმე საჟენ შეშას. გადმოალაგებდა, დააწყობდა ისე ლამაზად, ისე ოსტატურად შეაკოწიწებდა საჟენებს, რომ ერთი მეოთხედი საჟენისა ყოველთვის მას რჩებოდა „სახრავად".

ხალხი პირდაპირ განცვიფრებაში იყო.

— შეშას რაღაც მავნე შეუჩნდა და ხრავს, სად იკარგება ამდენი შეშა?—ეუბნებოდენ ერთმანეთს საწყობის მოსამსახურეები.

საჭირო გახდა რევიზია. სარევიზიო კომისიამ ერთხმად დაადგინა: „მოდი ვნახოთ შეშა, ვინ შეჭამა შეშა?

მივიდენ ნახეს, რომ ალექსანდრე ლორთქიფანიძეს შეუჭამია 43 კუბიკური საჟენი შეშა, რომელიც შეფასებულია 2,500 მანეთად.

„მოდი ვნახოთ ფული",—სთქვა კომისიამ. მივიდენ ნახეს, რომ ლორთქიფანიძემ შეშას გარდა „შეჭამა" კიდევ ნაღდი ფული 456 მანეთი.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. ცინცაძე.

დასრულდა საბრალმდებლო დასკვნის კითხვა და დაიწყო მოწმეების დაკითხვა.

ლო.—ძე.

სასოფლო მეურნეობა

მევენახეობის და მეღვინეობის საცდელი სადგურები ჩვენში

მევენახეობა და მეღვინეობა დიდ როლს თამაშობს ჩვენს სახალხო მეურნეობაში; ღვინის შემოსავლით თითქმის ასი ათასი მოსახლე სცხოვრობს.

ამისათვის მთავრობა მეურნეობის აღნიშნულ დარგს სათანადო ყურადღებას აქცევს და საჭირო ზომებს იღებს მის განსავითარებლად: დაარსებულია და ფართოვდება ამერიკული ვაზის სახალხო სანერგეები, მევენახეთა კოოპერატივებს ეძლევათ სესხათ საჭირო თანხები, ხალხს ასწავლიან ვაზის მყნობას და სხვა.

მევენახეობასა და მეღვინეობაში რომ შეცდომები არ მოხდეს, ამისათვის მთავრობამ დაარსა მევენახეობის და მეღვინეობის საცდელი სადგურები—ერთი დასავლეთ საქართველოში, სოფელ საქარაში, და მეორე—კახეთში, სოფელ ურიათუბანში—ორივე მევენახეობის საუკეთესო ცენტრებში. ჩვენი პატარა ქვეყნისათვის ორი საცდელი სადგური ცოტა არ არის; არც ისე ადვილია საცდელი სადგურის მოწყობა: უპირველეს ყოვლისა საჭიროა გამოცდილი, მეცნიერებით აღჭურვილი ხელმძღვანელები და სპეციალისტები, მევენახეობის და მეღვინეობის ლაბორატორიების მოწყობა დიდ ხარჯებს მოითხოვს; იქვეა საჭირო საცდელი ღვინის სარდაფი, საცდელი ვენახი, ნიადაგის საანალიზო ლაბორატორია და ბევრი სხვა მოწყობილება; ყველა ეს დიდ ხარჯებს ითხოვს. მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც გვაქვს ორი საცდელი სადგური, რომლების სავსებით მოწყობა ახლო მომავალში დამთავრდება; სადგურები კი ამთავიდანვე უკვე ეწევიან მუშაობას. ურიათუბნის სადგურს გლეხობა უკვე იცნობს: იქ მიაქვთ საანალიზოთ ნიადაგის ნამუშები და ანალიზის შემდეგ გლეხები რგავენ თავიანთ მიწა-წყალზე შემოწმებულ ამა თუ იმ ჯიშის ნამყენ ვაზს.

საცდელი სადგური წინასწარათ გამოსცდის ამა თუ იმ მუშაობის წესრიგს, როცა დაადასტურებს რომელიმე მუშაობის ვარგისობას, შემდეგ ის გადააქვთ ხალხში განსახორციელებლად. მხოლოდ საცდელ სადგურში გამოცდილს და დადასტურებულ მუშაობას შეუძლია გლეხობამ მოკიდოს ხელი იმედიანათ. საცდელი სადგური გლეხის მუშაობის ერთგული დარაჯია; ის ააცდენს გლეხობას ყოველგვარ შეცდომებს მუშაობაში.

ჩვენი საცდელი სადგურები გამოიკვლევენ ჩვენი ღვინოების შემადგენლობას, გამოაცალკევებენ ადგილობრივი ღვინის მოდუღების საუკეთესო რასას (ჯიშს), შეიმუშავებენ ყურძნის ტკბილის დუღილის წესრიგს, გამოარკვევენ ღვინოების კუპაჟების და დაძველების წესებს, ღვინის ავადმყოფობებს და წამლობას, შეიმუშავებენ ვენახების წამლობის წეს-რიგს და გამორკვევენ რომელ რაიონში როდის უნდა უწამლოთ ვენახებს, რა წესზე უნდა დაირგოს სხვადასხვა ჯიშის ვაზი, როგორი წესით გასხლა აჯობებს ამა თუ იმ ტიპის ღვინის მისაღებათ, სად რა სიღრმეზე სჯობს ნამყენი ვაზის დარგვა, გამოიყვანენ ახალი ჯიშის ვაზებს (იბრიდებს), მოაწყობენ ვენახეობის დამუშავების მეხანიზაციას, შეიმუშავებენ ვენახების გასანოყიერებელ სასუქების ნორმებს, გამოსცდიან სუფრის ყურძნის საუკეთესო ჯიშის ვაზებს და სხვა.

ჩვენ მევენახეობის და მეღვინეობის საცდელ სადგურებს აუარებელი სამუშაოები აქვთ გათვალისწინებული, რომელთა შესრულება დიდათ წასწევს წინ ჩვენს მევენახეობას და მეღვინეობას.

ქ. ბირეკაშვილი.

ვენახების სივრცე ჩვენში

ომამდის საქართველოს ვენახების სივრცე უდრიდა დაახლოვებით 50 ათას დესეტინას; ომების და დიდი რევოლიუციის დროს ჩვენში ვენახები თითქმის არ დაზიანებულა, ძალიან იშვიათი იყო შემთხვევები ვენახების გაკაფვის ან მოუვლელობით გაფუჭების; დიდი სახალხო მამულები გადარჩენ და კერძო მამულების დამუშავებასაც ახერხებდენ. ბევრი არ ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა პურის სიძვირის გამო ვენახებს სპობდენ და მის ალაგას ხორბლეულს სთესავდენ.

მაგრამ, მიუხედავათ ყველა ამისა, ვენახების სივრცე თითქმის განახევრდა. სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ჩვენი ვენახების სივრცე დავიდა დაახლოვებით 30 ათას დესეტინამდის; 15-20 ათასი დესეტინა ვენახის მოსპობა დიდ ზარალს შეადგენს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის; ვენახების სივრცე შემცირდა ფილოქსერის გაჩენის გამო ჩვენს საუკეთესო ღვინის მოსავალ რაიონში—კახეთში.

მაგრამ ჩვენ გულზე ხელდაკრეფილი არ შევჰყურებთ უბედურებას: გლეხობა მთავრობის დახმარებით განსაკუთრებულის ენერგიით აწარმოებს რთულ მუშაობას და ვენახების სივრცე ჩქარის ტემპით ფართოვდება.

საფრანგეთში და ესპანეთში რომ ფილოქსერამ ვენახები მოსპო, იქ საოცარის ენერგიით დაეწაფენ ვენახების აღდგენას და კიდევ მეტი გააშენეს: ისეთ ალაგებზედაც კი გააშენეს ვენახები, რომლებიც ქებული იყვენ მაგალითად პურეულის მოსავლით; ამას მოჰყვა ღვინის ჭარბეული მოსავალი.

ჩვენს ღვინოებს საბჭოთა კავშირში ძალიან ფართო ბაზარი აქვს; ვენახები უნდა გავაშენოთ ფერდო ალაგებზე და გორაკ სერებზე, თიხნარ-ქვიშნარებში და კირნარ-წვრილ რიყიან ნიადაგებზე, სადაც სხვა ნათესი დიდ მოსავალს არ მოგვცემს. ამავე დროს ღვინო მაღალი ხარისხის დადგება.

საქართველოში სავენახე ალაგები აუარებელია: ჩვენში წინათ თუ იყო 50 ათას. დესეტინა ვენახი, მომავალში ორი და სამი იმდენის გაშენება შეიძლება და გაშენდება კიდეც, თუ ასეთი ენერგიით განვაგრძობთ მუშაობას.

ეხლა მთავარი მუშაობა სწარმოებს კახეთში: იქ, თელავის მაზრაში, ვენახები ფილოქსერისაგან განახევრდა და სიღნაღის მაზრაშიაც თანდათანობით ნადგურდება. მაგრამ დიდი მუშაობაა გამართული და კახელები ახლო მომავალში ვენახებს განაახლებენ.

მხოლოდ ისინი უნდა ერიდონ ალაზნის ნაპირებზე ვენახების გაშენებას, რადგან იქ მეურნეობის სხვა დარგის წარმოება უფრო ხელსაყრელია:

ვენახების აღდგენა სწარმოებს აგრეთვე ქართლში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში და გურია-სამეგრელოში. ნამყენი ვაზის მოთხოვნილება ყველგან დიდია. ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენი ვენახების სივრცე მალე იქნება აღდგენილი.

—ლი.

საგეგმო კომისიაში

ცინკის და ბიდონის ქარხნების აღსადგენად

აჭარისტანის სამრეწველო ხასიათის ყველა წარმოებებიდან, რომლებიც მოითხოვენ ძირითადი კაპიტალის აღდგენას და გადიდებას, და აგრეთვე საბრუნავი თანხების გაფართოებას, საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის აზრით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია: ცინკის და ბიდონის ქარხნები.

ცინკის ქარხანა ბათუმში ერთადერთია მთელს კავკასიაში და მისი ძირითადი საწურავის ცინკავადკრული ფირფიტა.

ბიდონის ქარხნები კი ამზადებენ ჭურჭლებს ბათომიდან საზღვარგარეთ გასატან ნავთისათვის.

ცინკის და ბიდონის ქარხნების ძირითადი კაპიტალის აღსადგენად და საბრუნავი თანხების გასადიდებლად აჭარისტანის სამრეწველო-სავაჭრო სამმართველოს მიერ გამოთვლილა იყო 82.640 მანეთი, რომელიც მთლიანათ დამტკიცებული იქნა საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მიერ.

სახალხო მამულების ტრესტში

სახალხო მამულების ტრესტი წელს აწარმოებს არა მარტო საკუთარ მამულებში, არამედ გლეხების მამულებში მოსული ყურძნის ღვინოდ გადამუშავებას. ტრესტი გლეხებისაგან ყურძნის შეყიდვას თანხების უქონლობის გამო გვიან შეუდგა. ამ გარემოებით ისარგებლეს კერძო ვაჭრებმა, რომელთაც ფუთი ყურძნის ფასი ექვს შაურამდე დაიყვანეს.

მას შემდეგ, რაც მამულების ტრესტმა ღვინის დასამზადებელი კამპანიის ჩასატარებლად სახელმწიფო ბანკიდან სესხი მიიღო, ყურძნის შესყიდვის ოპერაციები გაფართოებულ იქნა, რასაც შედეგათ მოჰყვა ფასების ზრდა ყურძენზე. დაახლოებით ფასი ფუთზე ავიდა 1 მან.—1 მან. 40 კაპიკამდე.

საოპერაციო გეგმის მიხედვით ტრესტს განზრახული აქვს მიმდინარე სეზონში დაამზადოს 200,000 ვედრო წმინდა ღვინო. აქედან პირველ დეკემბრამდე უკვე დამზადებულია 160 ფუთი. სეზონის დამთავრებამდე დამზადების გეგმა შესრულებული იქნება სავსებით.

საქართველოს ღვინოზე მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება. ღვინის გასაღება სწარმოებს დაუბრკოლებლად და წარმატებით. აქციზების შემცირებამ ღვინოს ბაზარი გაუხსნა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებში. მოთხოვნილება ქართულ ღვინოზე გაადიდა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ საბჭოთა კავშირის სხვა მევენახეობის რაიონებში წელს ღვინის ცუდი მოსავალი იყო.

ტრესტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ღვინის ღირსებას. და ცდილობს დაამზადოს გემრიელი და ისეთი თვისების ღვინო, რომ შესძლოს მგზავრობის ატანა. მოკლე ხანში ტრესტი ამიერ-კავკასიის ბაზრისათვის გამოუშვებს კახურ მაღალ ღირსების ღვინოს. ამასთანავე ერთად დამზადებული იქნება იაფასიანი გემრიელი ღვინოები.

ჯერ-ჯერობით ტრესტის ღვინოები შეიძინეს უკრაინის, ბელორუსიის და ჩრდილოეთ-კავკასიის ღვინის ფირმებმა.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ამ უკანასკნელ ხანებში ტრესტს დაუკვეთა 85 ათასი ვედრო ღვინო. აქედან ახალი მოსავლის ღვინო იქნება 60 ათასი ვედრო, დანარჩენი კი ძველი ღვინო.

იმდენად დიდია მოთხოვნილება ღვინოზე, რომ შესაძლებელია ტრესტმა ვერ დააკმაყოფილოს იგი.

კოოპერაცია

სამეურნეო იარაღები სოფლად

სოფლისათვის სამეურნეო იარაღების მიწოდების შესახებ ჩვენს თანამშრომელს წარმოკავშირში აცნობეს შემდეგი:

— წარმოკავშირი თავიდანვე თავის მთავარ ამოცანათ ისახავდა გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მიწოდების საქმის სწორათ დაყენებას. საკმაო თანხების უქონლობის გამო, წარმოკავშირი იღებდა ზომებს, რომ საჭირო საქონელი მიეღო ნისიათ სახელმწიფო ორგანიზაციებიდან და ტრესტებიდან, და აგრეთვე საბანკო კრედიტის გზით, მაგრამ, სამწუხაროთ, დიდ შედეგებს ვერ მიაღწია ამ საქმეში.

წარმოკავშირმა ერთი წლის განმავლობაში შეისყიდა და გაანაწილა კოოპერაციაში ჩაბმული გლეხთა შორის 1 მილიონი მანეთის სხვადასხვა მანქანები, წარმოების იარაღები და ყოველგვარი ინვენტარი, მათ შორის 500 გუთანი, რამოდენიმე სალეწავი მანქანა, ტრიერები, საწამლი მასალები და სხვა.

უკანასკნელ ხანებში წარმოკავშირმა შეიძინა და გლეხებს გადასცა ერთი ფორდზონის ტრაქტორი და სათანადო ორგანიზაციას შეუკვეთა კიდევ ერთი ტრაქტორი; თითო ტრაქტორი ღირს 1.700 მანეთი.

წარმოების იარაღებს შორის აღსანიშნავია საწამლი მასალების (შაბიამანი, გოგირდი) მიწოდება მევენახეთათვის. ასე, მაგალითად, 1923-24 წელში 24 წლის სეზონისათვის გაცემული იქნა 59.000 ფუთი შაბიამანი და 15.000 ფუთი გოგირდი.

მუშკოოპის რწმუნებულთა გადარჩევა

თბილისის მთლიანი მუშკოოპის რწმუნებულთა ხელახალი გადარჩევა წარმატებით მიმდინარეობს. უკვე დამთავრდა არჩევნები: ორთაჭალის, ავლაბრის, ნავთლუღის და მოედნის რაიონებში. ამ რაიონებში საერთოდ მოწყობილ იქნა შვიდი სხდომა, რომლებზედაც დაესწრო მუშკოოპის 1.222 წევრი; ამ რაიონებში ითვლება სულ 2.383 წევრი. ამგვარად არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 31,8 პროცენტს.

ამ სხდომებზე არჩეულია 24 რწმუნებული და 7 კანდიდატი. ამათგან—11 რწმუნებული და 3 კანდიდატი კომპარტიის წევრებია, 1 რწმუნებული კომკავშირელია, 5—პარტიის კანდიდატი და 7 რწმუნებული, 3 კანდიდატი—უპარტიო.

ეროვნების მიხედვით: 8 რწმუნებული და 3 კანდიდატი—ქართველებია, 12 რწმუნებული და ორი კანდიდატი—სომხებია, 3 რწმუნებული—რუსი, დანარჩენი სხვა ეროვნებისაა.

ამ არჩევნებში 3 რწმუნებული და 2 კანდიდატი ქალია.

არჩევნები მიმდინარეობს ამჟამად მეორე რაიონში. ამ რაიონში არჩევნები ჩატარდა პლეხანოვის პროსპექტის, სადგურის ქუჩის და სხვა მიდამოებში.

ჯერ-ჯერობით ჩატარებულია 10 სხდომა; წევრთა მონაწილეობა გამოიხატება 60—65 პროცენტში. ყოველი სხდომის შემდეგ იმართება წარმოდგენა.

ამ რაიონში არჩევნები საერთოდ დამთავრდება 12 დეკემბერს. 14 დეკემბრიდან დაიწყება არჩევნები მეოთხე რაიკომის რაიონში.

ყოველ სხდომაზე ახლადარჩეულ რწმუნებულებს ეძლევა ნაკაზი.

საბჭოთა აღმშენებლობა

რაჭის მაზრა

გზების გაყვანა და შეკეთება

მიმდინარე წელს რაჭის თემაღმასკომებმა გამოიჩინეს უნარი საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში. მაზრისათვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს უგზობა, რომელიც შეუძლებელს ხდის მიმოსვლას განსაკუთრებით მთის სოფლებში.

წელს რამოდენიმე თემში თვითონ გლეხებმა იკისრეს გზების გაყვანა და შეკეთება. მაგ. მიმდინარე წლის შემოდგომაზე სოფელ აბარის გლეხებმა დაიწყეს გზატკეცილის გაყვანა ოსეთის სამხედრო გზატკეცილიდან აბარამდე. მუშაობის დაწყებიდან დღემდე გაყვანილია 4 ვერსი. აქედან გზა ერთი ვერსის მანძილზე გაჭრილია კლდეზე.

დაწყებულია და ამჟამადაც მიმდინარეობს გზის გაყვანა სოფელ ხოტევიდან წკადისამდე და კვირიკე წმინდიდან სოფელ ხოტევამდე; ამ გზების საერთო სიგრძე 10 ვერსს აღემატება. გზა გაჰყავთ აგრეთვე ქ. ონიდან სოფელ საკაომდე. ყველა ამ გზების გასაყვანად რაჭის სამაზრო აღმასკომის მიერ გადადებულია 14 ათასი მანეთი. მიწის სამუშაოებს უსასყიდლოთ თავის ნებით აწარმოებენ ადგილობრივი სოფლების გლეხობა, მაგრამ ყველაზე უფრო დიდ საქმედ უნდა ჩაითვალოს ტყვიბულ-ნიკორწმინდა-ამბროლაურის გზა, რომლის გაყვანაც დაიწყო 1922 წელს და დამთავრდა მიმდინარე წლის ნოემბერში. ახლად გაყვანილი გზა-ტკეცილის სიგრძე უდრის 30 ვერსს. ეს გზა-ტკეცილი ქ. ონს აერთებს რკინისგზის სადგურ ტყვიბულთან.

სკოლების შენობათა აგება და შეკეთება

სასოფლო შენობათა მდგომარეობა თემების მეტ ნაწილში უნუგეშოა. ზოგიერთ სკოლებში პირდაპირ მოუხერხებელია მეცადინეობა. ალაგ სკოლას სრულიად არ მოეპოვება სკოლის შენობა და მოწაფეებს ჯგუფების მიხედვით სხვადასხვა ქოხებში უხდებათ მეცადინეობა. ზოგიერთ სოფლებში გლეხები მთავრობის დაუხმარებლად შეუდგენ თავისი ძალებით სკოლების შეკეთებას და აგებას. მაგ. სოფ. ნიკორწმინდის გლეხები სკოლისათვის აგებენ ახალ შენობას, 9 წლედის ახალ შენობას საძირკველი ჩაუდგეს აგრეთვე სოფელ ხოტევში და ბაჯიხევში. ამბროლაურის გლეხებმა გააფართოვეს სკოლის შენობა, მოუმატეს რამდენიმე თვალი ოთახი.

ახალი სასკოლო შენობა შენდება აგრეთვე სოფელ შქმერაში. გამოანგარიშებით, რაჭის ყველა თემების სკოლების აგებისა და შეკეთებისათვის, საჭიროა მიმდინარე წელს არა ნაკლები 25 ათასი მანეთისა. სამაზრო აღმასკომის 1924—26 წლის ბიუჯეტის მიხედვით ამ დანიშნულებისათვის გადადებული აქვს მხოლოდ 5 ათასი მანეთი. მეტის გადადების საშუალება სამაზრო აღმასკომს არა აქვს.

ჯაჭვის ხიდები

ამ ჟამად რაჭის სამაზრო აღმასკომი აწარმოებს მდ. რიონზე (რომელიც ყოველწლიურად იტაცებს ხიდებს და ბორანებს) მთელ რიგ ჯაჭვის ხიდების აგებას.

ხიდის აგება დაბა ჭრებალოსთან ამ დღეებში იქნა დასრულებული.

უმუშევრობა

(სამეურნეო წლის დასაწყისში)

სასოფლო მეურნეობის საშემოდგომო სეზონის დასრულების შემდეგ უმუშევრობა თანდათან იზრდება ამიერკავკასიის ყველა რაიონებში. მუშა-ხელი, რომელიც თავისუფლდება საშემოდგომო მუშაობისგან, უქმად რჩება და ეძებს სამუშაო ბაზარს უმთავრესად ქალაქებში, სადაც სამუშაოს მაძიებართა რიცხვი ოქტომბრიდან დაწყებული თანდათან მატულობს. განსაკუთრებით ეს ითქმის ბაქოზე, რომელიც აზერბეიჯანის მეზობლობის რაიონების ცენტრს წარმოადგენს და რომელიც მრეწველობის ზრდის გამო ყველაზე მეტად იზიდავს თავისუფალ მუშა-ხელს. ზამთრის დადგომისთვის, როცა საყოველთაო ყოველგვარი მუშაობა შეწყვეტილია, მოსალოდნელია სამუშაოს მძებნელ მუშა-ხელის რაოდენობის ზრდა ამიერ-კავკასიის მთავარ სამრეწველო ცენტრებში. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისაგან მიღებული ცნობებით: პირველ ნოემბრისათვის უმუშევართა საერთო რიცხვი ამიერკავკასიაში უდრიდა 27 ათას კაცს. უმუშევართა შორის სჭარბობს, რასაკვირველია, სოფლიდან ჩამოსული მუშა ხელი. სამრეწველო დარგის უმუშევართა რიცხვი კი უდრის დაახლოვებით 5.400 კაცს, ანუ უმუშევართა მთელი რაოდენობის 20 პროცენტს, უმუშევართა დანარჩენი მასა კი არიან უმთავრესად შავი მუშები და გონებრივი შრომის არაკვალიფიცირებული პირები. სამრეწველო დარგის უმუშევართა შორის კვალიფიცირებული მუშა-ხელი ფრიად მცირე პროცენტს შეადგენს, მთავარ მასას კი წარმოადგენს არაკვალიფიცირებული მუშები. [illegible] ამცირებს მოთხოვნილებას მუშა ხელზე, მოსალოდნელია, რომ უახლოეს დღეებში მოხდეს უმუშევართა რაოდენობის სტაბილიზაცია.

რკინის გზებზე

სამტრედია–ხონი–ქუთაისის ხაზი

ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველომ გადასდვა 8 ათასი მანეთი სამტრედია–ხონი–ქუთაისის ხაზის გამოსაკვლევად. ხაზის სიგრძე იქნება 25 ვერსი.

საქალაქო სადგურები

ა/კ. რკ. გზების ეკონომიურმა განყოფილებამ შეიმუშავა მთელ ამიერ-კავკასიაში ქალაქის სადგურების გახსნის გეგმა.

გეგმა ითვალისწინებს ქალაქის სადგურების ოპერაციების გაფართოებას და მათ დაახლოებას მოსახლეობასთან (განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო რაიონებიდან).

ამ გეგმის თანახმად 15 დეკემბერს ქალაქის სადგურები იხსნება: ლაგოდეხში, ზაქათალაში, ხაჩმასში და ლენინაკანში, ხოლო ამ მოკლე ხანში ასეთივე სადგურები გაიხსნება: ოზურგეთში, [illegible] და სხვაგან.

სარენტო გადასახადი თბილისში

სარენტო გადასახადის კამპანია დამაკმაყოფილებლად ტარდება. დეკემბრის 1-ლ რიცხვებისათვის შემოვიდა 12006 მან. 80 კ., რაც შეადგენს მთელი გადასახადის 35 პროც.

აღმასკომის საგადასახადო განყოფილების ცნობით, მთელი გადასახადი შეიძლება აკრეფილი იქნას ამ თვის პირველ რიცხვებისათვის.

სოფლის მასწავლებლების ცოლქმარ შარაშიძეების იუბილე

ეს იუბილე გაიმართება 12 დეკემბერს ქ. ოზურგეთში.

იუბილიარებია არიან ნინო შარაშიძე და მისი მეუღლე გიგო შარაშიძე. პირველმა იმასწავლებლა სოფლის სკოლაში ოცდაჩვიდმეტი წელიწადი, ხოლო მეორემ ორმოცდაცამეტი

ეს ხანგრძლივი მოღვაწეობა ჩვენი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ უსათუოდ უნდა დაფასებულიყო და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ გურიის მშრომელი ხალხი მართლაც შესაფერად დააფასებს ამ ცოლქმრის უანგარო მუშაობას.

სოფლის მასწავლებელი და მისი მდგომარეობა [illegible] რა არის, თითქოს [illegible] სულ რა იქნებოდა! ღარიბ-ღატაკი, უუფლებო და არად მიჩნეული არსება—ასეთი იყო იგი იმ ხანებში.

გიგოსა და ნინოს ძალიან ადვილად შეეძლოთ სხვა საქმეში მოწყობა: იქ უფრო უზრუნველჰყოფდენ თავიანთ ცხოვრებას, ახალგაზრდობაც ტკბილი ექნებოდათ და მოხუცებულობის დღეებიც უკეთ მოგვარებული, მაგრამ დაბალი ხალხის სიყვარულმა ისინი თავიდანვე გაიტაცა და ამიტომ უარჰყვეს თავიანთი პირადი კეთილდღეობა და დღემდის ერთგულად ემსახურებოდენ სახალხო განათლების საქმეს.



ნინო შარაშიძე დაიბადა 1855 წ., იგი ძმისწული იყო გაბრიელ ეპისკოპოზის და თავის დროის კვალობაზე განათლებაც შესაფერი მიიღო. მასწავლებლობა დაიწყო ახალციხეში 1874 წლიდან. 1876 წელში ის უკვე თავისი სოფლის ბავშვების მასწავლებელია. აქ ის დაინიშნა გაბრიელის მიერ გახსნილ სამრევლო სკოლაში. აქ [illegible] ემასწავლებლა ნინომ და ყველას სიყვარული დაიმსახურა. ის მოსიყვარულე დედა იყო ბავშვებისათვის და მოზარდი თაობის აღზრდის ქალური ნაზი შარავანდედით მოსავდა. 1906 წლიდან ნინოს ვხედავთ ჭიათურაში, სადაც მან დაარსა ოთხკლასიანი ქალთა სასწავლებელი.

ამჟამად იგი ღრმა მოხუცია, მასწავლებლობა, მართალია, არ შეუძლია, მაგრამ სახალხო განათლების საქმეს მაინც სულითა და გულით ემსახურება.

გიგო შარაშიძე დაიბადა 1848 წ. გურიაში, მასწავლებლობა დაიწყო ს. ძიმითში 1869 წ., ხუთი წლის შემდეგ იგი ინიშნება გურიის სოფელ ბახვის სკოლაში, რომელიც გაბრიელმა დაარსა. ამის შემდეგ გიგოს ვხედავთ ახალციხეში და ჭიათურაში. გიგოს მუშაობა ყველგან ნაყოფიერი იყო. ბევრი სიღარიბე და დაბრკოლება გადალობია მას ამ ეკლიან გზაზე, მაგრამ არასოდეს მასწავლებლის წმინდა მოვალეობისათვის მას არ უღალატნია.

ცოლქმარი შარაშიძეები გარდა მასწავლებლობისა სხვა საზოგადო საქმიანობასაც ეწეოდენ: მაგ., გურიაში ხელს უწყობდენ მეაბრეშუმეობის უკეთ დაყენების საქმეს, მონაწილეობას იღებდენ სხვადასხვა სასოფლო საქმეებში, თანამშრომლობდენ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და სხვა.

თავიანთი ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს ისინი ჩუმად და შეუმჩნევლად ემსახურებოდენ ხალხის გათვითცნობიერების დიად საქმეს და დღეს კიდეც მოსწრენ თავიანთი შრომის ნაყოფს. მადლიერი საზოგადოება დღეს ღირსეულად იგონებს მათ და ქედს იხრის მათ წინაშე.

ჩვენც ვუერთებთ ჩვენს ხმას გურიის მშრომელებს და სულითა და გულით ვესალმებით ღვაწლით მოსილ მოხუცებს.

აქაური,

წითელ ჯარში

პოლიტგანათლების საქმე ქართული დივიზიის ნაწილებში

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას საკადრო ნაწილებში აწარმოებენ ლეგიონის მასწავლებლები და მათ ამ საქმეში ეხმარებიან მაზრების პოლიტგანათლების განყოფილებათა მიერ სპეციალურად დანიშნული ამხანაგები. ესევე შემადგენლობა აწარმოებს მუშაობას წ.-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად ცვალებადთა ნაწილებშიაც.

ამასთანავე წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია სწარმოებს წვევამდელებთან, მაგრამ ამისთვის მუშაობა სწარმოებს სამოქალაქო სალიკვიდაციო პუნქტებში.

თუ როგორ კარგათ არის დაყენებული ეს საქმე ჯარის ნაწილებში, ამტკიცებს ის ფაქტი, რომ 1902 წელში დაბადებული, შევსებული წითელ-არმიელებიდან, შინ არ დაბრუნებულა არცერთი წ.-კითხვის უცოდინარი.

პოლიტმეცადინეობა.

საკადრო ნაწილებში პოლიტმეცადინეობისათვის შემოღებულია სავალდებულო ორი საათი.

ცვალებად ნაწილებში კი ამ მხრივ დაწესებულია თითო სავალდებულო საათი. ეს მუშაობა ტარდება პოლიტხელების საშუალებით.

ამჟამად სავალდებულო თითო საათი ტარდება წვევამდელებს შორის. მუშაობას აწარმოებენ: კადრის პოლიტხელები და კომკავშირის მიერ მიმაგრებული ამხანაგები. ამ უკანასკნელთა საშუალებით ჩატარდა ამ დარგში სემინარიები, რომლებიც გრძელდებოდა რვა დღის განმავლობაში. მიმაგრებულ კომკავშირელთა რიცხვი დაახლოებით უდრის ამჟამად 70 კაცს.

საბიბლიოთეკო მუშაობა.

საბიბლიოთეკო მუშაობას ქართული ჯარის ნაწილებში აძნელებს ერთი გარემოება: ეს არის ჯარის შემადგენლობის ნაციონალური სიჭრელე.

საერთოდ წიგნები ბიბლიოთეკებს ძალიან განსაზღვრული რაოდენობით მოეპოვებათ და განსაკუთრებით ეს საგრძნობი ხდება ნაციონალურ უმცირესობისათვის. ამის გამო დივიზიამ მიმართა სამოქალაქო ბიბლიოთეკების და ნაციონალურ დივიზიების აზერბეიჯანში და სომხეთში, რათა მათ მიეწოდებიათ ლიტერატურა ნაციონალურ ენებზე.

საერთოდ ქართული დივიზიის ბიბლიოთეკებში ირიცხება 24.616 ცალი წიგნი, რომელთაგან 40 პროცენტს შეადგენენ ქართული წიგნები, ხოლო დანარჩენს—რუსული. ამ წიგნებით ჯერ-ჯერობით უსარგებლიათ 2.086 კაცს და ერთი თვის (სექტემბრის) განმავლობაში წაუკითხავთ 7.561 წიგნი.

ახალწვეულობის დროს ფართოდ აყენებენ ე. წ. „წიგნმტარებლებს“.

ქოხ-სამკითხველოებში, მომუშავეთა მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობდენ წითელ-არმიელები, როგორც საკადრო, ისე ცვალებად ნაწილებიდან.

განზრახულია, საბიბლიოთეკო მუშაობაში წვევამდელების ჩაბმაც.

ამიერ-კავკასიის მხარეთა შესწავლა

ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების თაოსნობით ნაწილებში ეწყობა ამიერ-კავკასიის მხარეთა შემსწავლელი წრეები.

წრეების ხელმძღვანელების მოსამზადებლათ უკვე დაარსდა კურსები, სადაც წრეების მომავალ ხელმძღვანელებს ასწავლიან ა.-კავკასიის სახელმწიფოების ისტორიას, გეოგრაფიას, მოსახლეობის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებას და სხ. კურსებზე მეცადინეობა დაიწყო 1 დეკემბრიდან. კურსებზე ლექციებს კითხულობენ სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები.

ამ კურსებზე მომზადებულ შემადგენლობას დაევალება ნაწილებში წითელარმიელებისაგან ა.-კავკასიის შემსწავლელი წრეების მოწყობა.

ასეთ წრეების დაარსება ნაწილებში უსათუოდ მისასალმებელია და მეტად დროული. გარდა [illegible] შემადგენლობისა, რომლებიც აქამდე, ნაკლებათ იცნობდენ ამიერ-კავკასიას, აღნიშნულ წრეების საშუალებით წითელ-არმიელები შეისწავლიან საკუთარი ქვეყნის გარდა, მეზობელ რესპუბლიკების წარსულს და ეხლანდელ ცხოვრებას და ამავე დროს საბჭოთა აღმშენებლობას მთელ ამიერ-კავკასიაში.

რ.

მიწათმოწყობა ჩვენში

გურია და სამეგრელო

მიწით სარგებლობის ფორმის მხრივ გურია-სამეგრელოს საქართველოში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამ კუთხის მიწით სარგებლობა რამდენიმეთ უახლოვდება განცალკევებულ მეურნეობის ფორმას, თუ უწოდებთ ასე იმ ფორმას მიწის სარგებლობისას, რომელსაც რუსეთში „хутор“-ს ეძახიან: გარდა ამისა მიწის დაქუცმაცებაც გურია-სამეგრელოში შედარებით სხვა მაზრებთან ნაკლებია. კომლზე ორთაშუა მოდის არა უმეტეს 5 ნაჭერისა და ხშირათ გურულის ან მეგრელის მიწაწყალი ეზო-გარემოთი და კიდევ რამდენიმე სახნავი ნაკვეთით განისაზღვრება. ჩემის აზრით, ეს „ეზო-გარემო“ მეტათ დამახასიათებელია გურია-სამეგრელოს მიწით სარგებლობის ფორმისა და რამდენიმეთ ის უახლოვდება „хутор“-ს, თუმცა მასა და „ხუტორს“ შუა საკმაო განსხვავებაც არის. „ხუტორი“ აუცილებლად მოითხოვს სრულ განცალკევებას, მან რომ იარსებოს მას უნდა ჰქონდეს ყოველგვარი საჭირო მიწა ერთ ფარგალში. „ხუტორი“ ხშირათ სრულიათ მოწყვეტილია სოფელს, ცხოვრობს თავისი საკუთარი ცხოვრებით, რაც ამ ფორმის ერთ უდიდეს ნაკლათ ითვლება.

მთავარი ღირსება „ეზო-გარემოს“ ფორმისა მიწით სარგებლობაში არის მიწის სიახლოვე საცხოვრებლო ადგილიდან და ცალკე ნაკვეთების ნაკლები რიცხვი; აქ ეზოს ზედ აკრავს ბოსტანი, ბაღი, ვენახი, სათიბი, ტყე, საყანე, აქვს წყარო ან ჭა; გარდა ამისა, მეურნეს აქვს კიდევ ორი ან სამი ნაკვეთი სახნავი, საყანე ადგილებში და მთელი მისი მიწა-წყალი ამით ამოიწურება. ნაკვეთების სივრცეც ამის გამო ზომიერია. ქცევა ან ორი ქცევა ნაკვეთი (900-1800 კვ. საჟ.) აქ ჩვეულებრივია. ამ გარემოებათა გამო გურია და სამეგრელო თითქმის არ საჭიროებენ არც ერთ იმ სამიწათმოწყობო მუშაობას, რომელიც გამოიხატება დიდი სოფლებიდან ცალკე სოფლების გამოყოფაში (выселки), მიწის სიშორის (дальноземелье) მოსპობაში და გადასახადების ან სოფლის გეგმით მოწყობაში. ამის მიხედვით მიწის მოწყობა აქ უფრო მარტივია და თითქმის ნაკვეთების გამიჯვნა-აზომით ამოიწურება. როგორც გამონაკლისზე უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა აღმოსავლეთ გურიის მთებში გაფანტულ სოფლების შესახებ, სადაც იმდენათ საგრძნობია სახნავ-სათესის სიცოტავე (როგორც საერთოდ მთიან ადგილებში), რომ ამ სოფლებს წლის სარჩო რიონისა და ფიჩორის ჭალებში მოჰყავთ და თითქმის მთელ ზაფხულს ამ ციებ-ცხელებიან ადგილებში ატარებენ. ეს უკვე აღარ არის მიწის სიშორე, ეს მიწით ორ სხვადასხვა რაიონში სარგებლობა, მეურნეობის შუა გაჭრა, ნახევარი წელიწადი ერთ ადგილზე და ნახევარი მეორეზე. ამ ჭალებში ხშირათ ცოლშვილით ცხოვრობენ და ნამდვილი სამოსახლოები აქვთ გამართული.

სოფლის მოსახლეობის და მიწა-ადგილის რაოდენობა და სხვადასხვაობა გურია-სამეგრელოში შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

მაზრები	სოფლების რაოდენობა			კომლი	მცხოვრებთა რიცხვი (სულობით)	მოდის სულზე მიწა (დესეტ.)	[illegible]	მოდის ორთაშუა მიწის ნაკვეთი კომლზე	დესეტინებში										
	პატარა	საშუალო	დიდი						სამოსახლო	ბაღი	ვენახი	სარწყავი სახნავი	ურწყავი სახნავი	ველ-ბუჩქნარი	საზაფხულო საძოვარი	საზამთრო საძოვარი	ტყე	უვარგისი ადგილები	მაზრის ტერიტორია
სენაკის	14	142	27	24622	124611	0.5	34188	5	11004	41	117	2002	41648	9488	10428	—	52980	31170	158878
ზუგდიდის	15	89	54	26329	129162	0.6	25607	5	10194	2246	105	9979	47860	9828	54540	3709	80841	56586	275285
ოზურგეთის	15	111	52	21086	117298	0.4	44529	5	9489	854	48	1420	20488	7516	21453	—	122223	19919	203410
სულ	44	342	133	72037	371121	0.5	104324	5	30687	3141	270	13401	109496	26829	86421	3709	256044	107675	637573

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ გურია-სამეგრელოს ერთი მეხუთედი სასოფლო მეურნეობისათვის გამოუსადეგარ მიწებს უჭირავს, უმთავრესად ჭაობებს, მიუვალ ფერდობებს, კლდეებს და სხვ., ნახევარზე მეტი (56 პროც.) ველ-ბუჩქნარს, ტყეებს და საძოვრებს, ხოლო სახნავ-სათესს და უფრო მაღალ კულტურას რჩება მხოლოდ 24 პროც. მთელი ტერიტორიისა. მიუხედავათ ასეთი სიმწიროვისა, გადასახლების მსურველი ამ მაზრებში თითქმის არ არის; ეს რა თქმა უნდა, მიეწერება აქაური მიწის უხვ ბუნებას და ნიადაგის გამოულეველ სიმდიდრეს, რაც ერთიათად დააჯილდოვებდა მიწის მუშას, რომ ძველის ძველი კულტურა ლობიო სიმინდისა შეიცვლებოდეს უფრო ძვირფასი კულტურით.

მომავალი აქაური მიწათსარგებლობის ბრწყინვალეა; დაწყებულია დიდი მუშაობა შავი-ზღვის ჭაობების ამოშრობათ, რაც შემატებს სამივე მაზრას 40.000 დესეტინა საუკეთესო მიწას; ეს იქნება უდიდესი მიღწევა მთელი რესპუბლიკისათვის და არა მარტო გურია-სამეგრელოსათვის.

მიწათმოწყობა ამ კუთხეში ნელათ ნელა ნაბიჯით მიდის. მიუხედავათ იმისა, რომ თვითეული მაზრა მოითხოვს არა ნაკლებ 10—15 მიწისმზომელისა, ცენტრა აძლევს მაზრას მხოლოდ ერთ მიწისმზომელს, რომლის მუშაობა, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებს თუნდაც მხოლოდ მიწის დავების საქმის გამორკვევას; ამას უნდა დაუმატოს ის გარემოება, რომ თითქმის მესამედი მთელი ტერიტორიის, უმთავრესად დასახლებული ადგილები, გაუმიჯნავი დარჩა, მამასადამე, არ მოიპოვება გეგმები, რომლებიც აადვილებენ მიწათმოწყობის მუშაობას.

ვ. გ—ძე.

მიწის საკითხი ახალქალაქის მაზრაში

(წინადადების სახით)

გაზ. „კომუნისტი“-ს № 287-ში ამხ. ვ. გ—ძე ეხება ახალქალაქის მაზრაში მიწის საკითხს და ამბობს, რომ ყოვლად შეუძლებელია და მიზანშეუწონელი იქაურ გლეხების მოთხოვნილება, მიწის სულობრივ მიზომვის შესახებ და ამას ასაბუთებს მით, რომ ეს ხელს შეუწყობდა კულაკების ხელში მეტი წილი მიწის გადასვლას; გარდა ამისა ეს ეწინააღმდეგება საქართველოს მიწის კოდექსს, რომელიც გულისხმობს მიწის რეფორმის საოჯახო ნორმით.

მე ჩამოვიარე ახალქალაქის მაზრის თითქმის ყველა სოფლები და, მართლაც, გლეხების აბსოლიუტური უმრავლესობა მოითხოვს მიწას სულობრივ და ამას სჩადიან სწორედ იმ მოსაზრებით, რომ მიწების მეტი წილი არ ჩაუვარდეთ მართლაც კულაკებს და სხვა [illegible] კომბინატორებს.

საქმე შემდეგშია: ვსთქვათ, ამ მაზრისათვის დაინიშნა ოჯახზე 5 დესეტინა მიწა; ვინ ისარგებლებს ამით?—სწორედ ის, ვინც მოხერხებული კომბინატორია, ამბობენ გლეხები. იგივე გლეხები ამბობენ,—არიან ოჯახები, რომელთაც ყავთ ექვსი შვილი, 5 წლიდან 12 წლამდე, მათში 4 ვაჟი, ორი ქალი. ამ ბავშვებს რთავენ ცოლებს, რომელთაც ზოგი თავისთავ აცხოვრებს ამ ბავშვ ცოლ-ქმრებს და ზოგი ახერხებს მოსაჩვენებლად ცალკე მოუმზადოს ხუხულა სახლები, ვითომც ცალკე ოჯახი იყოს, და ამ რიგად ერთი მამა და ითსიც ცოლშვილიანი შვილები გამოდის მიწას 5 დეს. გამრავლებული ხუთჯერ, ე. ი. 25 დეს. სინამდვილეში კი ერთი ოჯახია. არიან ოჯახები, რომელთაც რვა შვილი ყავთ, ხუთი ვაჟი და სამი ქალი, სულ 10 სული ვაჟები 28 წლიდან 35 წლამდე, მაგრამ უცოლშვილონი და მათ, როგორც ერთ ოჯახს ხუთი დესეტინა უნდა მიეზომოთ. რა თქმა უნდა, ეს არაა სამართლიანი და იწვევს გლეხებში უკმაყოფილებას.

გარდა ამისა, ახალქალაქის მაზრაში კერძო საკუთრება არ ყოფილა, იქ მიწები ან თავად-მემამულე-აღალარების, ან სახელმწიფოს ხელში იყო. ამიტომ იქ მიწებით გლეხები სულობრივ უნდა დაკმაყოფილდნენ.

იქ მხოლოდ ეხლა მიიღებს მიწას მთავრობისაგან, რომელიც მას თავის დღეში არ ქონია. მიწის კოდექსი გულისხმობს, ჩემის აზრით, საერთოდ საქართველოს მიწებს, რომლების აბსოლიუტური უმრავლესობა გლეხობის წვრილ კერძო საკუთრებას შეადგენდა და რომლისათვისაც მიწის კოდექსი ზედმიწევნით მიზან შეწონილია. არ არის საბუთი, რომ სხვა მაზრის გლეხობამაც მოითხოვოს ის, რასაც მოითხოვს ახალქალაქის მაზრის გლეხობა. მე არ მგონია, მიზანშეწონილი იქნეს, რომ ერთ გლეხს, რომელმაც ხელოვნურად შექმნა ექვსი ან შვიდი სულისაგან ხუთი ოჯახი, მიეცეს 25 დესეტინა და იმ ოჯახს კი, რომელიც 12 სულისაგან შესდება,—5 დესეტინა.

ამიტომ ვიმეორებ, რომ ჩემის აზრით, მიზანშეწონილი იქნება მიწა გლეხებს იქ მიეზომოთ სულობრივ.

ფ. ქუბრაშვილი.

მუშათა ცხოვრება

დაუდევრობის მსხვერპლი

8 დეკემბერს, დილის შვიდ საათზე, თბილისის საქონლის სადგურის ბაქანზე ჩქარის ნაბიჯით მიეშურებოდა რკ. გზის ექიმი ამხ. სიხარულიძე მთავარ სახელოსნოში.

— ამხ. ექიმო, ამხ. ექიმო! უძახის ექიმს ამავე სადგურის მუშა.

ექიმი შეჩერდა და მიიხედა იქითკენ, საიდანაც ხმა ისმოდა.

— რა გინდოდათ? შეეკითხა ექიმი მუშას.

— აგერ იქ მატარებელმა კაცი დაასახიჩრა და საჭიროა სწრაფი დახმარება ექიმისა. ხელი და ფეხი აქვს მოწყვეტილი. სისხლისაგან იცლება.

ექიმი გაეშურა დასახიჩრებულისაკენ, იქვე მოგროვილიყვნენ რამდენიმე დარაჯი და მუშები, მაგრამ შველით კი ვერაფერს შველიან.

— აბა ჩქარა, საკაცე! დაიძახა ექიმმა, მუშები ერთმანეთს შესცქეროდნენ. ალბად ვერ გაეგოთ თუ რას ნიშნავს საკაცე.

— „ნასილკა", კაცო „ნასილკა"! შესძახა კვლავ ექიმმა.

ყველა დაფაცურდა და, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, თუ სად ინახებოდა „ნასილკა".

— ჩვენ „ნასილკა" არა გვაქვს; მძიმედ და მედიდურად წარმოსთქვა იქვე მდგომმა (როგორც ეტყობოდა) დარაჯების უმფროსმა მოინტლიგენტო ვინმემ, თითქოს აქ კაცი კი არ იცლებოდეს სისხლისაგან, არამედ ვიღაც რაიმე კუნძი.

— კაცო, ფიცარი მაინც გქონდეთ! იგი მაინც მოიტანეთ. კვლავ დაიძახა ექიმმა.

— ჩვენ არც ფიცარი გვაქვს და არც სხვა რამ,—იყო პასუხი.

გაჯავრდა ექიმი: როგორ შეიძლება ესეთი გულცივობა უბედურ შემთხვევაში და ისიც მუშებისადმიო, და თითონ მივარდა იქვე დალაგებულ ყუთებს სახურავების ასაგლეჯად.

— არ შეიძლება არც მაგ ხუფის წაღება. გაისვრება სისხლით ბძანებდა—№-ი.

ამ დროს ზედზე გამოჩნდა ანტონ კიკნაძე, მიეშველა ექიმს სახურავის გამოლებაზე. დააწვინეს დასახიჩრებული და გადაგზავნეს რკ. გზის საავადმყოფოში.

საავადმყოფოს მორიგმა ექიმმა დასახიჩრებული შეიყვანა საქირურგიო განყოფილებაში, სადაც სწრაფ მიიღეს ყოველგვარი საშუალებები, მაგრამ დასახიჩრებული უკვე სისხლისაგან დაცლილიყო და ის რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ამხ. ექ. სიხარულიძე, ამხ. კიკნაძე, ის მუშები და მორიგი ექიმი, რომლებიც თანაგრძნობით შეხვდნენ დასახიჩრებულ მუშას. ასეთ „მოინტლიგენტო" (დარაჯების) უფროსებს კი ადგილი არ უნდა ქონდეთ მუშებში.

მუშკორი ცნობისმოყვარე.

სახლის პატრონმა აგვიკლო

(მთავარ მილიც. საყურადღებოდ)

თაიროვის ქ., № 2, სახლის პატრონი ნინა ტყემალაძისა პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში აყენებს მდგმურებს. ამის შესახებ კიდეც იყო წერილი მოთავსებული „კომუნისტის" № 278 ნომერში. მიუხედავით ამისა, სახლის პატრონი თავისას არ იშლის. მდგმურები კი იტანჯებიან.

როდის მიაქცევს ამას ყურადღებას მილიცია?

ხელს აწერს ექვსი კაცი.

გინახავთ ჯოჯოხეთი?!

(ალმასკომის საყურადღებოდ).

ვის უნახავს ჯოჯოხეთი?

ვის აინტერესებს მისი ნახვა?

თუ არის სადმე ისეთი ცოდვილი ცნობისმოყვარე, რომელსაც საიქიოს არ ასცდება ჯოჯოხეთი, და სურს სიცოცხლეშივე ნახვა მისი, ვერის დაღმართიდან ჩაუხვიოს არტილერიის ბალკას, გაიაროს უსახლო ქუჩა, რომელიც ბალკიდან ხიდისკენ მიიმართება, და ნახავს, თუ რა არის ჯოჯოხეთი!..

უსწორმასწორო, მოუკირწყლავი ქუჩა.

ღამე საშინელი სიბნელე...

ლაფი...

ლაფი, მაგრამ რა ლაფი!

წარსულ შაბათს ორი კამეჩი ჩაიჭრა ამ ლაფში და ერთიც მეურმე.

ამბობენ, ალმასკომი ძალიან ამშვენებს ქალაქის განაპირა უბნებსაო.

კარგია! ვაშა, მას.

ამას მეც ვხედავ, რომ ამშვენებს განაპირა უბნებს, მაგრამ ქალაქის შუა გულმა რა დააშავა? რად აითვალწუნა ალმასკომმა ეს უბედური ბალკა, სადაც თითქმის სულ მუშები სცხოვრობენ.

მუშა ნიკო ახ—ლი.

მხეცური მოქმედება

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ)

ვაგზლის ქუჩაზე, № 17, სახლის პატრონი არის ბიქტორ ზოლქვაძე. ხსენებული ვაჟბატონი ძველი ვაჭარია და დაჩვეულია მუშების სისხლის წოვას. მაგრამ, როდესაც დღეს მას ცოტა ხელი შეეშალა, სამაგიეროდ მუშის ცოლშვილის ცემით მან იჯერა გული. მას ჰყავს მდგმურად რკ. გზის მემუხრუჭე ამხ. ჭოხონელიძე. ჭოხონელიძის შინ არყოფნის დროს სახლის პატრონი შეუვარდა ბინაში ჭოხონელიძის ავადმყოფ ცოლს და შვილს და სცემა.

ეს გაიგო მე-10-ე უბნის მილიციამ და „მიიღო ზომები". სამაგიეროდ იმისა, რომ ენუგეშებიათ გალახული მუშის ცოლშვილი, უფროსმა თანამშრომელმა სასამართლოს გარეშე გამოყარა ბინიდან მუშის ავეჯეულება და კარებზე „მიარტყა ლუქი".

განა სახლის პატრონებს იმდენი უფლება მიეცათ, რომ მუშებს სცემონ? არა მგონია. და, თუ ეს ასეა, მოიყვანეთ ეს თავხედი „მელავაძე" ჭკუაზე.

მუშკორი ხა—ქვაძე.

სახლის პატრონების თავგასულობას საზღვარი უნდა დაედვას.

ამ უკანასკნელ ხანებში სახლის პატრონთა თავგასულობამ ყოველგვარი საზღვარი გადალახა და უსაშინელესი ფორმა მიიღო. რას გინდა, რომ არ მიმართავდნენ ისინი თავიანთ მდგმურების, საბჭოთა მოსამსახურეების წინააღმდეგ, მათთგან თავის „დასაზღვევათ" და საბოლოოთ მოსაშორებლათ.

ყოველივე ეს ხდება იმისათვის, რომ კარი გაუღონ თავის სახლებში—ჩარჩ-ვაჭრებს, სპეკულიანტებს ნეპმანებს, რომელთაც შეუძლიანთ ბაჯაღლო ოქროთი ჯიბე გაუსქელონ.

რა ქნას, სად და როგორ მოეწყოს ის დაბალი ხელის მოსამსახურე, რომლის ჯამაგირი 25—30—40 მანეთამდე ძლივს აღწევს; იმათ ხელი უნდა აიღონ (მინიმუმი) თავიანთ ჯამაგირის ნახევარზედ, რომ სადმე ფეხის მომაგრება იფიქრონ.

დღეს ხომ ბინის ყოველი მაძიებელი სახლის პატრონის სრულ განკარგულებაშია, რომელსაც სურს მას გაუღებს თავისს „სახლის" კარებს, ნებავს ურდულით გამოუკეტავს მათ.

მისი უნებართვოდ სადმე „გაპაჰკნებაც" შეუძლებელია; ხოლო მათი „ნებართვა-დასტური" თუ რა გამოსია და რა სუნი უდის—ეს ყველამ ვიცით.

სხვა რომ არა-იყოს რა, იღი, სულ მცირე რომ ვსთქვათ, 15—20 მან. მაინც უდრის.

ეს ჯამი თუ ვაჭარ-სპეკულიანტთათვის, ანდა 190—150 მან. მქონეთათვის შედარებით ბევრი არ არის. პირიქით, არაფერი—30—40 მანეთიანებისათვის ჯამაგირის ნახევარია და აბა გასინჯეთ, მეორე ნახევრით ვინ რა უნდა ქნას და ოჯახი რა რიგ არჩინოს. დღეს სახლის პატრონები, გრძნობენ რა ფეხთ-ქვეშ ერთგვარ უფლების ნიადაგს, ბოროტად იყენებენ მას.

უბინაოთა (ანუ ამხანად ბინის მაძებართა) მდგომარეობა პირდაპირ გამოუვალია.

უკეთესს შემთხვევაში—მათთვის ბინის შოვნა ნახევრათ სიმშილს მაინც უდრის, ხოლო უარესს შემთხვევაში ხვედრი—სრული უბინაობაა. ყოველ ზომებს სჩადიან, რომ არა-სასურველი მდგმურებისაგან (ესენი ხომ საბჭ. მოსამსახურეებია ან ღირიბი, პროლეტარული სტუდენტობა) განთავისუფლდნენ: მინების ჩამტვრევა, სახურავების მოშლა, გინება, ცილისწამება და სხვა ყოველივე ეს მათი ღონისძიებათა საშუალებანია.

საჭიროა სახლის პატრონების თავხედობას საზღვარი მაინც დაედვას.

კონი.

ვაშა ასეთ მუშაკს

(წერილი ჩაქვის მამულიდან)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩაქვის სახალხო მამულს სამეურნეო ეზოს გამგის სახით მოევლინა ამხ. კ. იოსავა. მისი ენერგიული მუშაობით ამ ცოტახნის განმავლობაში გაკეთდა იმდენი (სულ 3-4 თვეა), რამდენიც 3-4 წლის განმავლობაში არ გაკეთებულა: გზებზე ყველგან ჭაობები იდგა. მის გაწმენდაზე და არხების გაყვანაზე არავის უფიქრნია. ამხ. იოსავამ კი, როგორც კი შეამჩნია ეს, მაშინვე შეუდგა მის გაკეთებას და ეხლა გზები სარკესავით გამოიყურებიან, რაზედაც ყოველი მუშა და გარეშე გამვლელიც კი მადლობას უხდის მას, განათებული იქნა გზები მის მიერ ელექტრონის განათებით. წინათ კი ამ გზებზე გავლა ღამით საშიში იყო. აუცილებლად გამვლელი არხში გადაიჩეხებოდა და მისი გადარჩენა საეჭვო იყო.

შეკეთებული იქნა მუშების საცხოვრებელი ბინები, რის შეკეთებაზეც 3 წლის განმავლობაში არავის უზრუნვია.

ჩაქვის სამეურნეო ეზო ირგვლივ შემოკავებული იყო მავთულით, და ჭიშკრების გაკეთებაზე კი ალარავინ ფიქრობდა მთელი 10 წლის განმავლობაში. ეზოში ეწყო აუარებელი სახაზინო მასალა. ამხ. იოსავამ კი, როგორც შენიშნა ეს მაშინვე მიიღო ზომები მის მოსაწესრიგებლად და გააკეთა კიდევაც მშვენიერი ჭიშკრები.

ამ მუშაკის მოქმედება სწორედ შესაბამისია.

მუშკორი ვ. ცხუნკურელი.

კოოპერატიული კურსები

პირველ ნოემბრიდან დაიწყო მეცადინეობა ცეკავშირისა და წარმოკავშირის მიერ გახსნილ ექვსთვიან კურსებზე. კურსების მნიშვნელობა განუზომელია იმდენად, რამდენადაც ის მოამზადებს ახალ კოოპერატორებს. კურსებზე გადიან უმთავრესად პრაქტიკულ საგნებს. მსმენელთა საერთო რაოდენობა უდრის სამოც კაცს. ამათგან პანსიონში არის ოცი. კურსებზე ქალთა საერთო რაოდენობა უდრის შვიდს. ამათგან სამი პანსიონშია.

მდგომარეობა პროვინციიდან გამოგზავნილი ამხანაგების, რომლებიც არიან პანსიონში, კარგია. საცხოვრებელი საერთო ბინა მოწყობილია თვით კურსებთან.

დღემდის პანსიონში გათბობის საკითხი არ იყო მოგვარებული. ეხლა კი დადგმულ იქნა ღუმელები როგორც პანსიონში, ისე საკლასო ოთახეში. საერთოდ კურსების მოწყობისათვის და პანსიონის სხვადასხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ენერგიულად მუშაობს კურსების სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. მ. ანჯაფარიძე.

პანსიონერების ინიციატივით ახლო ხანში გამოვა კედლის გაზეთი სახელწოდებით „ახალგაზრდა კოოპერატორი". არჩეულია სარედაქციო კოლეგია.

კურსებთან არის სამკითხველო, სადაც მოდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „კომუნისტი", „ზარია ვოსტოკა" და ჟურნ. „კავშირი".

სამკითხველოს აქვს აგრეთვე წიგნთსაცავი, სადაც არის სხვადასხვა კოოპერატიული წიგნები.

კურსებთან არის საექიმო პუნქტი, სადაც ხდება მსმენელების გასინჯვა კვირაში ორჯერ. პანსიონერებს როგორც გასინჯვა, ისე წამლები აქვთ უფასოდ.

კურსების მსმენელთა შემადგენლობაში არიან როგორც პარტიის, ისე კომკავშირის წევრები. მაგრამ დღემდის ვერ მოხერხდა ვერც ერთი უჯრედის დაარსება!

თ

მუშათა კლუბი მუშაობს

(წერილი სენაკიდან)

სენაკის მუშათა კლუბი აშენებული სენაკის მუშა და მოსამსახურეების მიერ, თანდათან აფართოვებს მუშაობას და თავის გარშემო კრებს მთელ მუშა-მოსამსახურეებს

უკვე არჩეულია კლუბის გამგეობა. გამგეობამ გამოჰყო სხვადასხვა სექციები: ლიტერატურული, პოლიტიკური, პროფესიონალური, ხელოვნების, რადიოს და სხვა. სექციები უკვე შეუდგენ მუშაობას და აწყობენ მეცადინეობას. დაარსებულ წრეებში სწავლობენ და მუშაობენ მუშა-მოსამსახურეები.

კლუბში უკანასკნელ დროში იკითხება ლექციები სხვადასხვა საკითხებზე. იმართება ლიტერატურული გასამართლება, იდგმება წარმოდგენები, უჩვენებენ კინოს და სხვა.

საჭიროა მხოლოდ შემუშავებულ იქნა შეღავათის წესები კლუბის წევრებისათვის, რომელნიც საწევრო ანარიცხებს იხდიან და მატერიალურად ეხმარებიან კლუბს, რათა ამით მათ ვაგრძნობინოთ, რომ საჭიროა კლუბის გარშემო შემოკრებილ იქნას მთელი მუშათა და მოსამსახურეთა აქტივი.

მუშკორი ბ. უჩანეიშვილი.

ბრძოლა ექსპლოატატორებს

(წერილი დ. აბაშიდან).

დ. აბაშას ყავს ღამის დარაჯები და ბაზრის ზედამხედველი.—ღამის დარაჯებს უხდებათ მუშაობა ყოველდღე 15 საათის განმავლობაში და კიდევ მეტი ზედამხედველს. რვა საათის სამუშაო ჰდღე მათთვის არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ დაქირავებულნი იშრიტებიან ენერგიისაგან. ყოველ კვირაში 1 დღის დასვენება ბაზარში მომუშავეთათვის არ არის მიღებული. ეს 4-კაცი ჩაუგდიათ ხელში ვაჭრებისათვის, რომელნიც უნამუსოდ მათზე ეწევიან ექსპლოატაციას. ერთის სიტყვით ღამის დარაჯნი, ზედამხედველი და მეველი არ არიან ბაზრის მიერ ეკონომიურად დაკმაყოფილებულნი. მათ არ აძლევენ ზედმეტი შრომის ქირასაც და დასასვენებელ დღეს.

სად არის პროფ-კავშირი, სად არის ადკომი, რომ დაიცვას ეს ხალხი ვაჭრების მონობიდან.

მუშკორი მეხი.

ეს უბანიც გამოცოცხლდა

საბურთალო-ახალშენს გამოცოცხლება დაეტყო. მომრავლდა იქ, შედარებით წინანდელთან, სხვადასხვა დაწესებულებები როგორიცაა: სკოლები, თეატრი, სამკითხველო, მილიციის სკოლა, ამბულატორია და სხვა.

ამ ორი წლის წინად ბავშვებს ძალით ვიჭერდით და ისე მოგვყავდა სკოლაში. დღეს კი ადგილსაც ვერ ვშოულობთ, იმდენია მოთხოვნილება, თუ ეს ერთმა გარემოებამ არ დააფრთხო ისედაც გალარიბებული საზოგადოება.

ამ რამდენიმე წლის წინად მალარიის ეპიდემიამ წელში გაწყვიტა აქაური მცხოვრებნი, როგორც მატერიალურად, აგრეთვე მორალურადაც მაგრამ ქალაქის ალმასკომის მზრუნველი მონაწილეობით უბნის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება.

საბურთალოს მცხოვრებთ სურთ, რაც შეიძლება მალე, დაუახლოვდნენ მდგომარეობით ცენტრის მცხოვრებთ. მათაც სურთ ჰქონდეთ ახლოს სასმელი წყალი, კანალიზაცია, აბანო, სინათლე, ტრამვაი, გზები და სხვა ასეთები.

საჭიროა ალმასკომმა ამაზედაც იზრუნოს.

საბურთალოელი.

გამოგზავნილ წერილებიდან

— **რისთვის დასაჯეს ეს პატიოსანი მუშა?** ტრამვაელი ამხ. თედო გვრიტიშვილი მუშაობდა ტრამვაის ხაზზე მე-10-ე რაიონში მესირედ. ეს ამხანაგი თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. მაგრამ, დახეთ უბედურებას! გადაეკიდა მას ვინმე ლიჩერი, რომელმაც მას დაუკარგა დღიური ხელფასი მისი ერთი დღის სამუშაოდან მოხსნით.

შავიზღვისპირელი.

— **ამ მუშას ქალზე ავიწროებენ** ეჩმიაძინის ქ., სახ. № 41-ში ცხოვრობს უმუშევარი, განათლების მუშაკთა კავშირის წევრი ამხ. მოსიევი ერთ პატარა და საშინლად ნესტიან ოთახში. ოთახის ჭერი ჩამონგრეულია. სახლს სახურავი არ უვარგა და წვიმა ჩამოდის. სახლის პატრონს—შახიანცს არ სურს სახლის შეკეთება. პირიქით, ის ლანძღვა-გინებით იკლებს ამხ. მოსიევს.

საჭიროა ჭკუა ასწავლოთ სახლის გათავხედებულ პატრონს.

მუშა კარგი.

— **საშინელ სიბინძურეში დავიტანჯეთ.** მე-5-თე უბანში ახპატის ქ. სახლი № 6-ის კარ-მიდამო საშინლად გაბინძურებულია. ქათმებით ღორებით და ძაღლებით ეზო სავსეა, რომელნიც საშინლად აბინძურებენ იქაურობას. თავხედმა მოქალაქემ ძროხებიც მოგვიყვანა.

ვინმე ორბი.

— **რკ. გზის სამმართველოს საყურადღებოდ.** თანახმად რკ. გზათა სამმართველოს ბრძანებისა, რამდენიმე თვის წინეთ იყო განკარგულება, რომ სადგურის შემოსავლიდან სადგურებს შეენახათ დასახურდავებელი ფონდი, ვინაიდან ხურდა ფული არ მოიპოვებოდა, ამჟამად კი, ხურდა ფული მეტია, ვინემ სხვილი ნიშნები და ეს დასახურდავებელი ფონდი სრულიად უსარგებლოდ არის სადგურებზე და საერთოდ დიდ თანხას წარმოადგენს,—საჭიროა სამმართველომ სათანადო ზომები მიიღოს.

ქვალი.

— **საბურთალოს სახალხო სახლს გამგეე უმტყუნა.** იმის შემდეგ, რაც ამ სახლის გამგეთ დაინიშნა ამხ. ლომიძე, აქ კულტმუშაობა ძალიან გამოცოცხლდა და იმედიც გვქონდა, რომ იგი უფრო გაძლიერდებოდა, მაგრამ, დახეთ უბედურებას! აგერ ორი კვირაა და სახლის გამგე სრულებით აღარა სჩანს და არ ვიცით, ის დაგვემალა, თუ დაგვეკარგა... ამას გარდა კლუბში სრულიად უნაყოფოდ გვეხარჯება ელექტრო-ენერგია;—იგი ცაუზოგავად იწვის დღე და ღამე.

მუშკორი ა. არეელაძე.

— **ეს მოიჯარადრე მაინც ვერ მოარჯულეს.** ბევრი იწერება სასტ. „ორიანტის" მოიჯარადრე აბაშიძეზე, რომ იგი მუშებს ძალიან უხეშად ეპყრობა, ზედმეტ საათებში ამუშავებს და გასამრჯელოს კი არ აძლევს და სხ. ეხლა ყველა ამ უბედურებებს დაემატა კიდევ ერთი. ბ-ნი აბაშიძე მუშებს ხელფასს დროზე არ ურიგებს. მის გაცემას ძალიან აგვიანებს, რის გამო მუშები დიდ გაჭირვებას განიცდიან.

როდის მოარჯულებთ ამ ურჯულოს

მუშკორი ციქურა.

— **კიდევ ქუჩაში მოხეტიალე ბავშვებზე.** უკვე ზამთარი დადგა. ყინვები დაიჭირა. ქუჩებში დასისინებს ზამთრის სუსხიანი ცივი ქარი. აი ამ ცივ ქუჩებში დილიდან-დილამდე დაწანწალობენ—დაძრწიან უპატრონო, ტიტველ-შიშველი ბავშვები.

ალმასკომო, მიხედე ამათაც, როგორც სხვა მათ ამხანაგებს.

მუშა გამვლელი.

მუშათა ქრონიკა

ტრამვაი

— **სპეც-ტანსაცმელი მიიღეს.** ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებმა მიიღენ სპეცტანსაცმელი.

— **პრემია მუშებს.** ტრამვაის სახელოსნოში მუშები და ხელოსნები ჯამაგირს გარდა ღებულობენ პრემიას ხელფასის 50 პროცენტის რაოდენობით.

— **კონდუქტორებს და ვატმანებს ეძლევათ პროცენტი.** ტრამვაის კონდუქტორებს და ვატმანებს დღიურ შემოსავალში დადებულ ნორმაზე ზედმეტად შემოსულ ფულზე ეძლევათ პროცენტი—მანეთზე სამი კაპეიკის რაოდენობით.

— **შტატის გადიდება.** ტრამვაის შტატი საგრძნობლად გაფართოვდა: თუ წარსულ წლებში ტრამვაიში მსახურებდნენ არა უმეტეს 900 კაცისა, დღეს უკვე აქ მსახურობს ათას შვიდასი კაცი.

— **საკუთარი კლუბი.** ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებს აქვთ საკუთარი კლუბი, ჩოდრიშვილის და კეცხოველის სახელობაზე.

— **სამი პოლიტწრე.** ტრამვაის ადგილკომთან არსებულ კულტკომისიას აქვს საუცხოვოდ მოწყობილი სამი პოლიტწრე.

წერილები სოფლიდან

ტელეფონი სვანეთის მთებში

30 ნოემბერს ზემო-სვანეთის ცენტრში დ. მესტიაში მოთავდა ტელეფონის ხაზი. ამ დღეს დაიდგა ტელეფონი და ამ დღესვე გადიგზავნა ცენტრში დეპეშები ტელეფონოგრამის სახით. ეს სვანეთისათვის დიდი მიღწევაა, სვანეთის გლეხობის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ეს დღე პირდაპირ იდღესასწაულეს მესტიის მცხოვრებ სვანებმა. სვანეთის ჩამორჩენილი კუთხე ბედნიერია დღეს იმით, რომ მას შეუძლია უგზოობის დროს ტელეფონის მავთულით მაინც დაუკავშირდეს ცენტრს და მახლობელ მაზრებს.

დღეს სვანეთს საშუალება აქვს თბილისიდან გამოგზავნილი დეპეშა სამ საათში მიიღოს და ყოველგვარი სასწრაფო საქმე დროულათ გააკეთოს. ამის გამო სვანეთის გლეხობა ულრმეს მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას და ყველა მათ, ვინც ხელი შეუწყო ტელეფონის ხაზის გაყვანას ზემო სვანეთში.

გრ. ჭილ—ე.

მეეტლე შალამბერიძის ოინები

(ბაღდადი ქუთ. მაზ.)

ბაღდათი დაშორებულია ქუთაისიდან 25 ვერსით. ერთ დროს ქუთაისსა და ბაღდათს აერთებდა მშვენიერი გზა-ტკეცილი. ეხლა გზა ნახევრათ მივიწყებულია და ბორანი მდ. ყვერილაზე ხშირათ უმოძრაოთ სდგას.

ეს არის მიზეზი რომ ავტომობილებმა შესწყვიტეს ამ გზაზე მიმოსვლა და ეს საქმე მთლიანად ჩაუვარდა ხელში მიხეილ შალამბერიძეს. ის ამუშავებს დილიჟანებს და ლინეიკებს. არავითარ წესს არ ემორჩილება: აძლევინებს რამდენიც სურს, მიყავს ის, ვინც მას მოსწონს, მიდი-მოდის მაშინ, როცა მას სურს, რის გამო მგზავრებს შუა გზაზე აღამდებათ. მოვიყვან ერთ მაგალითს:

შალამბერიძემ 5 დეკემბერს დასტოვა გზაში 5 მგზავრი, რომელთაც დელიჟანი წინა დღით ჰქონდა დაზევებული. შემდეგ ეს მგზავრები წაიყვანა საღამოს, როცა კარგათ ილოდა, რომ მდინარეზე ბორანის მოძრაობა შეწყვეტილიყო. წყალის პირას, აჯამეთის ტყეში, დაღამდა. მეეტლე სადღაც გადიკარგა და მგზავრები დარჩენ უმწეოთ გამოლმა. აღსანიშნავია, რომ მგზავრებში იყო 5 ქალი: 1 ბავშვიანი, 2 ავათმყოფი ექიმთან მიმავალი და 2 მოსწავლე. კიდევ კარგი, რომ ვარციხის მამულმა მიიღო ისინი და ბინა დაუთმო. მეორე დღეს საღამოს შემთხვევით გამოვლილ დელიჟანმა უკანვე დააბრუნა მშიერ-მწყურვალნი მგზავრები. ამისთანა მაგალითი პირველი არ არის, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს.

ვარციხელი.

პასუხათ კორესპონდენტ „დამსწრეს"

გაზეთ „კომუნისტი"-ის № 254 მოთავსებულია ს. ქვალონიდან წერილი ჩემ შესახებ, ვინმე „დამსწრეს" ავტორობით. აქ მე ბრალდებას მიყენებენ იმაში, რომ ქვალონში ჩასვლისას ღვინის სმას შევექცეოდი და სასამართლოს სხდომაზე ჩამოსული გლეხები ერთი დღით მოვაცდინე.

საქმე ასე იყო: 19 ოქტომბერს მე ჩავედი ქვალონში მდივან ისიდორე შონიასთან ერთად, საქმეების გასარჩევად. მივედი ადგილობრივ თემ-ალმასკომის თავმჯდომარე ჭანტურიასთან, რომელსაც შევეკითხე მსაჯულების გამოცხადების შესახებ. მან მითხრა: დაბარებული მსაჯულები არ გამოცხადებულანო. გაცხარებული ჭირნახულის დალაგების მუშაობა დაწყებული იყო. მე მსაჯულების მოლოდინში შევედი იქვე დუქანში სასაუზმოდ. მედუქნემ მითხრა პურის მეტი არაფერი მაქვსო. მე ვუპასუხე: —განა პური საჭმელი არ არის მეთქი, შევედი უკანა ოთახში, სადაც შევუდექი მარტო პურის ჭამას.

იქვე მოვიდა ადგილობრივი მცხოვრები ფილიპე თურქია, მოიტანა [illegible] ერთი ბოთლი ღვინო, რომელიც მეც შემოავაზა, მაგრამ მე ვერც დაუცადე მედუქნის დაპირებას „ყველს მოგიტანო" და თურქიასაც გავშორდი მადლობის გამოცხადებით და ღვინის დალევაზე უარი ვუთხარი. მსაჯულები არ ცხადდებოდნენ. ბევრი ცდის შემდეგ მეც იძულებული გავხდი საქმის გარჩევა გადამედო მეორე დღისათვის, რაც გამოუცხადე ამსწრე მხარეებს და სხვა გამოცხადებულებს. ჩვენთან ერთად იყო ხობის უბნის მილიციის უფროსი ამხ. რაჟდენ გეხარია.

მეორე დღეს, 20 ოქტომბერს, გაირჩა მრავალი საქმეები. ბოლოს დამსწრე გლეხობას ვესაუბრე საბჭოთა კანონიერების შესახებ, რის შემდეგ უსადილოდ წამოვედი ხობისკენ. ეს იყო და ეს. მე არ ვიცი რა დავაშავე? სად აქვს ადგილი ღვინის სმით გატაცებას, გლეხების უკაყოფილებას და შეუფერებელ მოქმედებას?

ჩემს ღირსეულ ყოფაქცევას ს. ქვალონში, როგორც სახალხო მსაჯულისა, დაამოწმებს ყველა ჩემ მიერ ზემოთხსენებული პირები და საქმის გარჩევაზე დამსწრე გლეხები. არ ვიცი ამის შემდეგ რათ დასჭირდა კორესპონდენტ „დამსწრეს" ჩემი უმართებულოდ ჩირქის მოცხება და რედაქციის შეცდომაში შეყვანა.

სახალხო მოსამართლე: **შონია.**

ვემზადებით არჩევნებისათვის

(სენაკის მაზრა)

მაზრის თემები უკვე შეუდგენ ამომრჩეველთა სიის შედგენას. სიის შედგენა ამ დღეებში დასრულდება. სამაზრო საარჩევნო კომისია აწყობს სათემო საარჩევნო კომისიებს.

დადგენილია: ამომრჩევლები მოწვეულ იქნან განსაკუთრებული ბარათებით. თემების საზოგადო კრებებზე უნდა გაშუქდეს თემსაბჭოების და სამაზრო ალმასკომის მუშაობა.

ბ. უჩანეიშვილი.

წერილებიდან

წ. დუმანისი (თბ. მ.)

მოხერხებული ქურდი. კოლათაური ცნობილი დახელოვნებული ქურდია. ამას წინათ ის ვაჭრის სახით შემოვიდა ჩვენს სოფელში და დაზვერა სახლები შემდეგ წაიყვანა წინ ხუთი საქონელი და სადღაც დაიკარგა. საჭიროა სასტიკი ზომების მიღება ქურდის აღმოსაჩენად.

კ. სოკოშვილი.

ს. დიდინეძი (ზუგდ. მ.)

გაიძვერა ტაბალუა. აქ ალმასკომის შიკრიკათ მსახურობს მიშა ტაბალუა, რომელიც დადის თოფით მხარზე გადადებული და, სადაც ხელი მიუწვდება, ყველგან სესხულობს ფულს თითო მანეთობით. იყო შემთხვევა, როცა მას მისცეს ფული სას.-სამ. გადასახადის ანგარიშში და ეს ფული შემოიხარჯა. გარდა ამისა ტაბალუა ნისიას ღებულობს კერძო დუქნებში და ვალს არ ისტუმრებს.

ბურჯული.

ნალჩიკი (ჩრდილო-კავკ., ყაბარდო)

ახალშენს სძინავს. ჩრდილო კავკასიაში ბევრ ადგილის მოიპოვება ქართველ გლეხების ახალშენები ერთი ასეთი ახალშენი ნალჩიკშიაც არის. აქაური ქართველი გლეხობა მოკლებულია ყოველივე კულტურულ წყაროს. 1918 წლამდე მათ ჰქონდა საკუთარი სკოლა და დრამწრეც. დღეს ყველაფერი ეს დახურულია. 150 ბავშვიდან მხოლოდ 15 სწავლობს რუსულ სკოლებში. საჭიროა ამ დაომარეობას მიაქციოს ყურადღება როგორც ნალჩიკელმა ქართველებმა, აგრეთვე საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა.

ატაუუკინელი.

ს. გოჩა-ჯიხაიში (ხონის რ.)

გარყვნილების ბუდე. სულ სამი თვეა, რაც აქ გახსნა სამიკიტნო ზოსიმე ცაგარეიშვილმა. ამ სამიკიტნოში ხშირად თავს იყრის ადგილობრივი სკოლის ახალგაზრდობა. ითვრებიან და არაყზე ქეიფობენ. გარდა ამისა სამიკიტნოში მოეწყო ბანქის მოთამაშეთა ბიურო. სანდრო ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით. თემალმასკომო, რას უყურებ?

კომკავშირელი.

ახალციხე

ელექტროფიკაციამ უწისქვილოთ დაგვტოვა. ვარლამოვის ყოფილი წისქვილები ალმასკომმა ელექტროსადგურად გადააკეთა. გლეხები უწისქვილოთ დარჩნენ. მათ სამი თვეობით უდგასთ საფქვავი და უფქვილოთ სხედან, საჭიროა წისქვილების გაკეთება.

ფ. მესხიძე.

ანანურ-ჟინვალის თემები (დუშ. მ.)

„შენც სუ, მეც სუ!" აქაურ ტყის მცველათ იყო ვინმე შაქრო სვიანიძე, რომელიც გლეხებისგან აკრეფილ ტყის სათასურს თავის სასარგებლოდ ხარჯავდა. მან ფული გამოართვა გლეხებს: დ. ხორხელაურს ბ. წიკლაურს, გ. ბუბნაურს და შაქრო ქალთაროვს. როდესაც ქალთაროვმა სვიანიძეს ბილეთი მოსთხოვა, უკანასკნელმა უპასუხა: „შ შა ხომ წაიღე, ეხლა შენც სუ და მეც სუ!" ეს ვაჟბატონი დღეს ბახალეთის ტყის მცველათაა გადაყვანილი. ადგილი წარმოსადგენია რა ხერხს დაიყრის ის ამ ტყეს.

ქარიშხალი.

სოფლის ქრონიკა

— **წყალსა დენი.** სოფ. ერგეში და აჯარაში (აჯარაშია) ამ დღეებში გაყვანილი იქნება წყალსადენი.

— **დახმარება სკოლას.** საჩხერის (შორ. მ.) სათემო გლეხკომმა გადასცა ადგილობრივ სკოლას დახმარების სახით 55 მან.

— **წყაროების შეკეთება.** სოფ. დილომის გლეხკომმა დაადგინა თვითონ შეაკეთოს სოფლის ყველა წყარო.

— **სოფ. ზუგეულში** (რაჭა) გაზაფხულზე დაიწყებენ კრამიტის და აგურის ქარხნის აგებას.

— **სენაკის** სამაზრო ალმასკომმა გადასწყვიტა დამატებით მოიწვიოს 3 აგრონომი.

— **საფოსტო განყოფილება.** დვაბზუს თემში (ოზურგ. მ.) გაიხსნა საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილება.

— **ტყის გაშენება.** ახალქალაქის ალმასკომი შეუდგა უტყეო თემებში ტყის გაშენებას.

— **სავალდებულო სწავლა.** ახალციხის ალმასკომმა დაადგინა მაზრაში ჩაატაროს კამპანია საყოველთაო სავალდებულო სწავლის მნიშვნელობის შესახებ.

— **ძმის მკვლელი.** სოფ. ბერძენაულში (გორის მ.) ძმებს სონკეა და მიტრო დაბრუნდაშვილებს ლაპარაკი მოსვლიათ ქალის მოტაცების ნიადაგზე, რის შემდეგაც სონკას ყელი გამოუჭრია თავისი ძმა მიტრო დაბრუნდაშვილისთვის. მკვლელი დაპატიმრებულია.

— **ყელის გამოჭრა.** სოფ. ოკამში აღმოჩნდა თავის ბოსელში ყელგამოჭრილი გვამი ნიკა ჩიტიაშვილისა. სწარმოებს კვლევა-ძიება.

— **გვამის პოვნა.** სოფ. რუისის-ხალდების გზაზედ მდინარე „ლაშის" წყლის ხლო იპოვნეს ვიღაც უცნობი კაცის გვამი.

— **ხანძარი სოფლად.** სოფ. რუისში წიკო სიათაშვილის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელსაც დაეწვა სახლის სახურავი და მის ქვეშ შენახული ჭირნახული. ზარალის რაოდენობა 645 მანეთს უდრის.

— **გაუპატიურების განზრახვა.** სოფ. მოხისში მცხ. მარია გასილის ასულ გოჩიაშვილისას გაუპატიურების მიზნით სახლში მიეჭრნენ ამავე სოფელში მცხ. სერგო და შალვა ბაქრაძეები, რომლებმაც განზრახვა ვერ შეასრულეს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისინი სასამართლოს გადასცა.

— **ახალი აბანო.** ქალ. გორში ა/წ. 5 დეკემბრიდან დაიწყო მოქმედება ახლად აგებულ კომუნალურ განყოფილების აბანომ.

— **გორი.** ბინის უქონლობის გამო ამხ. კამოს სახელობის საბავშვო სახლი გადაიტანეს წითელ-ქალაქში.

გენერალი მაზნიაშვილი

ეწვია გუშინ ჩვენს რედაქციას და ჰქონდა საუბარი რედაქციის პასუხისმგებელ მუშაკებთან სხვადასხვა კითხვებზე და კერძოთ უცხოეთში მყოფ ქართველ ემიგრანტების შესახებ. როგორც გენერალი გადმოგვცემს, სამშობლოში დაბრუნება საერთო სურვილია დღეს ემიგრაციაში, რომელიც თავის მასაში განიცდის დიდ გაჭირვებას. ემიგრაციამ არ იცის რა ხდება საქართველოში. ცნობები აქედან ცოტა მიდის, ხოლო ეს ცოტაც მიუწვდომელი ხდება ამ ემიგრაციის მასიური შემადგენლობისათვის.

თავის საუბარში გენერალი კვლავ შეჩერდა ეგრედ წოდებული ჟორდანიას მთავრობის წევრებისა და აგენტების უტიფრობაზე, რაც გამოიხატა იმაში, რომ ისინი სარგებლობდენ მისი სახელით და არწმუნებდენ ხალხს, თითქოს ის ამზადებდა დესანტს საქართველოს სანაპიროებთან. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ქართველი ხალხი შეცდომაში შეეყვანათ მათ ასეთი ხმებითო—განაცხადა გენერალმა.

ქრონიკა

თბილისის ალმასკომში

— **გადამდებ ავადმყოფობის შემთხვევათა აღრიცხვა.** მედიკო-სანიტარულ სექციამ აღძრა შუამდგომლობა თბ. ალმასკომის წინაშე, რათა ქალაქის 24 რაიონში აფთიაქებთან დაკიდებული იქნას ყუთები, სადაც ექიმები ჩაყრიან ცნობებს ქალაქში სხვადასხვა გადამდებ სნეულებების შემთხვევათა შესახებ.

— **სახლების შეკეთება.** სახლების პატრონებმა, ალმასკომის დადგენილებით, სახლები სავსებით უნდა შეაკეთონ 1-ლ იანვრამდე, ხოლო კარ-ფანჯრებისა და სახურავების შეღებვა შესრულებული უნდა იქნეს იმავე წლის ივნისამდე.

— **სახალხო განათლება.** თბ. ალმასკომს მიმდინარე წელში განზრახვა აქვს სათემო ბიუჯეტით სახალხო განათლებაზე დახარჯოს 391,350 მან.

შრომის სახ. კომისარიატში

— **ჭიათურის მაღაროებში** შრ. კომ. ცნობით, ამჟამად მუშაობს 3.400 კაცი.

— **ფიზიოლოგიის ინსტიტუტი.** თბილისში არსდება შრომის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც შეისწავლის და იზრუნებს წარმოებებში ჩაბმულ მუშების ჯანმრთელობაზე.

— **შრომის კომისარიატის დადგენილებით** აკრძალულია წარმოებებში შეგირდების მიღება ხელფასის მიუცემლად.

ჯანმრთ. სახ. კომისარიატში

— **მალარიასთან ბრძოლა.** მიმდინარე წელში ტროპიკულ ინსტიტუტში ჯანმრთელობის კომისარიატი დამატებით ხსნის 10 საწოლს.

— **საავადმყოფოები სოფლად.** ჯანსახკომმა დაადგინა მიმდინარე წელს გააფართოვოს საავადმყოფოების ქსელი სოფლად.

ეკონომიურ დაწესებულებებში

— **შაბიამანი.** ა/კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი აჭარისათვის საზღვარგარეთ იძენს 6.000 ფუთ შაბიამანს.

— **ჩაის გასაღება.** დაგროვილ ჩაის დროზე გასაღების მიზნით, საგეგმო კომისიამ ნება დართო აჭარის მიწათმოქ. კომისარიატს გირვანქა ჩაი გაყიდოს 1 მ. 16 კ.

— **რძის ნაწარმოების დასამზადებლად.** ხულოს სამაზრო ალმასკომმა შეიძინა რძის ნაწარმოების დასამზადებელი 2 მანქანა.

— **ფართლეულობა.** ქუთაისის ალმასკომის ფართლეულობის მაღაზიამ „ქუთვაჭრობამ" 1 დეკემბრიდან დაიწყო გლეხებზე და ღარიბ მოქალაქეებზე საზამთრო ფართლეულობის გაცემა.

— **შუშხუნები.** სახ. მამულების ტრესტმა საზღვარგარეთიდან გამოიწერა 10 ათასი ცალი სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნა.

— **სახალხო მამულების ტრესტმა** მოსკოვში გაგზავნა 1.200 ფუთი ჩაი გასასაღებლად.

— **ტყავის მრეწველობის** საჭიროებისათვის ა/კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთიდან მიიღო 10 ათასი ფუთი გადამუშავებული მუხის ქერქი.

სხვადასხვა

— **მუშების მომზადება.** ა/კ. შრ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა გახსნას 6 თვიანი პროფტექნიკური კურსები, სადაც გაგზავნილი იქნებიან მუშები შრომის საკითხების და სხვადასხვა დარგის წარმოებათა მნიშვნელობის შესასწავლად.

— **სამთომადნო მრეწველობა.** ქუთაისის ბარიტის საფქვავ ქარხნისათვის დახმარების გაწევის მიზნით გადადებულია 135 ათასი მანეთი, ბარიტის დამზადების საქმის გასაუმჯობესებლად.

— **კლუბის გახსნა.** შაბათს, საღამოს 7 საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში მოხდება საქ. საინჟინერო-ტექნიკურ ძალთა სექციის კლუბის საზეიმო გახსნა.

— **ხანძარის წინააღმდეგ.** ა/კ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა სახელმძღვანელო დებულება ტყის ხანძართან ბრძოლის შესახებ.

— **გლეხთა სახლი.** ცხინვალში შეუდგენ გლეხთა ცენტრალური სახლის აგებას. სახლი მზად იქნება გაზაფხულზე.

შემთხვევები

— **ოქროს თუმნიანებით მოვაჭრე.** 9 დეკ. სასტუმრო „ირან"-ში მცხოვრებმა ქიღილ ბაირამ-ოღლიმ განუცხადა მილიციას, რომ წინა დღით ვერცხლის ქუჩაზე მას უცნობმა მიჰყიდა ორი ოქროს თუმნიანი, რომლებიც გახვეული იყო ჩვარში, როცა ჩვარი გაუხსნია შიგ თუმნიანების მაგიერ აღმოჩენილა ახალი მოჭრილი ორი თითო კაპეიკიანი. „ოქროს ფულებით" მოვაჭრე მედი დოვრონ იუსუბ ოღლი შეიპყრეს.

— **ქურდი სიძე.** 9 დეკ. სიმონოვის ქ. № 16 პეტროს ოსეფიანცი გაქურდა მასთან სტუმრათ მისულმა სიძემ ხიტარ ასატუროვმა.

— **სამრეცხაოს გაქურდვა.** 9 დეკ. გაქურდეს ქუთაისის ქ. № 25 1-ლი საზოგადო სამრეცხაო.

— **ჯიბგირობა.** 9 დეკ. სასახლის ქ. „გრუზგოსტორგის" მაღაზიაში რიგში დგომის დროს რობკა ფილალაშვილს მოჰპარეს საფულე. ჯიბგირი აკულინა გულაკოვა იქვე შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 9 დეკ. დავითაშვილის ჩიხი № 5 გაქურდეს შავერამა ჩობარამოვის ბინა.

— ამავე დღეს კომ. ქ. № 21 გაქურდეს ანისა გუმანოვის ბინა.

— ამავე დღეს ნიკოლოზის ქ. № 107 გაქურდეს ნიკოლოზ გალიცკის ბინა.

— ამავე დღეს ელისაბედის ქ. № 177 კარაპეტ ოგანესოვის ბინიდან მოიპარეს 150 მან. ნივთები.

— 8 დეკ. დიდუბის ქ. № 12 გაქურდეს შალიკო კალანდაძის ბინა.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ტოსკა"

ს. ინაშვილის პირველი გამოსვლა.

პუჩინის ოპერის „ტოსკას" არჩევა პირველი გამოსვლისათვის აიხსნება არტისტის სურვილით წარედგინა საზოგადოების „მსჯავრისათვის ევროპის დიდ მუსიკალურ ცენტრებში ხელოვნების სფეროში თავისი მუშაობის შედეგები. სკარპიის პარტიაში ვოკალური ნაწილი არ არის მთავარი. შესრულების მთავარი მხარე ეყრდნობა ისტორიულ სინამდვილესთან მხატვრულად დამთავრებულ სახის შექმნას. მაგრამ პარტიის შესრულების მთელი მხატვრულობა დამოკიდებულია არა მარტო დრამატიულ მხარეზე, არამედ აგრეთვე მუსიკალური და ვოკალური შესრულებაზე. სწორედ ამ ფაქიზ ფრაზიროვკაში, რომელიც ხშირად შეუმჩნეველია მსმენელისათვის, მონოლოგებისა და დიალოგების სამაგალითო შესრულებაში, დინამიკის სიმდიდრეში იმალება მხატვრული მიღწევა.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ დარგში არტისტი უმაღლეს მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. პარტია თავიდან ბოლომდე ბრწყინვალედ არის დამუშავებული, ყოველ მუსიკალურ პერიოდში სხვადასხვა დინამიკა, სხვადასხვა ფრაზიროვკაა. პირველი აქტის მონოლოგში და მეორე არიაში არტისტმა ბრწყინვალედ და თავისუფლად გაშალა ხმა და თავისი სიმღერით მეტად ხელსაყრელი შთაბეჭდილება დასტოვა.

სცენიური მხარე დამუშავებულია არანაკლებ ყურადღებით. ვიდრე ვოკალური ინაშვილმა შექმნა სკარპიოს ნამდვილი სახე. ეს დამახასიათებელი გრიმი, სახის გაქვავებული გამომეტყველება, შეუბრალებელი სიმკაცრე, მკვეთრი გამგმირავი თვალები, გარეგნული სიმშვიდე, თავდაჭერილობა, რადგან შეგნებული აქვს მთელი თავისი ძლიერება—ასეთია ნიშანდობლივი ხაზები რომის პოლიციის საშინელი უფროსის ბარონ სკარპიოს სახის, რომელიც ინაშვილმა მოგვცა. ვოკალურ-სცენიური შესრულებით მომღერალმა დაგვანახვა, რომ მისი სახით ქართულ ოპერას შეემატა დიდი კულტურული მსახიობი.

დანარჩენი შემსრულებელნი ძველები არიან, არ შეიძლება არ მიექცეს ყურადღება ტოსკას გარეგნულ სახეს: კოსტიუმი პირველ აქტში სრულებით არ შეეფერება ეპოქას და სტილს. არ შეიძლება 1800 წელს ჩვენი დროის ტანსაცმელი სცმოდათ, არ ვარგა მისი ქუდიც. ვოკალური გადმოცემა კარგია ყველგან. მეორე აქტში, კარპიოსთან ბრძოლის სცენაში, საჭიროა მეტი ექსპრესია.

ვ. ხ.

ხელოვნების ქრონიკა

— **სანდრო ინაშვილი.** დღეს ოპერის თეატრში იმღერებს მეორეთ „ევგენი ონეგინ"-ში.

— **რუსთაველის თეატრში.** თურქული წარმოდგენა.

— **კამერულ თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ქალის გული".

— **სომეხ ხელოვანთა სახლში** „ჰაირტუნში" დღეს გაიმართება დიდი კონცერტი.

— **ხელოვნების მუშაკთა** კავშირის წევრებისათვის დასახლევვი გადასახადი, დამზღვევ სალაროს დადგენილებით აკრეფილი იქნება, იმ ჯამაგირებთან შეფარდებით, რომლებიც შემოშავებული აქვს აღნიშნულ მუშაკთა კავშირს.

— **ახალი კინო-თეატრი.** მე-4 ლეგიონში იმ დღეებში გაიხსნება წითელ-არმიელთა კინო-თეატრი.

დღეს კინოებში

— არფასტო—„სიყვარულის ყვავილი" გრიფიტის დადგმა.

— აპოლო—„ნიშანი ზორო".

— სოლეი—„ინდოეთის სასაფლაო".

— მინიონი—იგივე.

დავეხმაროთ „წერაქვს“

ზუგდიდის მაზრის კოკის თემის წერაქვსის საზოგადოების სასარგებლოდ შემაქვს სამი მანეთი და ვიწვევ ამავე თემის 7 წლედის და 4 წლედთა მასწავლებლობას და შემდეგ ამხანაგებს: ცხაკაია კალისტრატე, ცხაკაია შალვა, ცხაკაია ამბაკო, ცხაკაია ადამური, კვარაცხელია ბაგრატი, სვირავა თედორე, დგებუაძე იუსტინე, ძაძამიძე რომანოზ, დანელია ივანე, ცანავა მარო, დგებუაძე ვალია, ნაჭყებია პოლი, საჯაია გურია, გორგოშია ჯვებე, თოდუა დორო, ოყრომშიძე კოლია, მამალაძე მაკარი, ხაზალია იასონი, რიგავა სოლომონ, ნარმანია პლატონ, გორგოშია იასონ.

შალვა ფაჟავა

—

„წერაქვსის“ სასარგებლოდ შემაქვს ხუთი მანეთი ამავე საზოგადოების ზუგდიდის სამაზრო გამგეობის სალაროში და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს ქალაქ ზუგდიდიდან: ისაკი ქვანიას, აკაკი ქავთარაძეს, ბეგი ბერიას, გრიშა შელიას, ვალოდია კიტიას, ავთანდილ ჯიქიას, ილია გოგიას, ივანე ხაზალიას, ივანე ოსიძეს, იასონ მუჯირს, ანდრი დგებუაძეს, ნიკოლოზ ანთელავას, გიორგი ჰედიას, ძუკუ ჩხოლარიას, იოშა შენგელაიას, კალისტრატე ალშიბაიას, (ქალაქ თბილისიდან) ბესო ჩიგოგიძეს (საქ. ცენტ. სტატ. სამმარ.), კაპიტონ ჯიქიძეს (არა პირდაპირ გად. სამმრ.), მიშა გობეჩიას (ა.ლ.კ.კ. თეკას მდივანი), და დომენტი ცხაკაიას (სახელმწ. უნივ.).

ამ ამხანაგებს ვთხოვ გამოიწვიონ ნაცნობ-მეგობრები.

ირაკლი ჩიტაია.

წერილები რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით გამოვაქვეყნო 28 ნოემბერს ნახუნოუს თემის სოფ. წინაკვერკვეს სკოლის სასარგებლოდ სახელმწიფო კონსერვატორიაში გამართული კონცერტის ანგარიში და მადლობა გადაუხადო კონცერტის მონაწილეთ: დ. ანდღულაძეს, დ. ბადრიძეს, ნ. გრიქუროვისას, გ. ვენაძეს, გ. და შ. თაქთაქიშვილებს, ნ. თოიძეს, ე. მაჭავარიანს, ვ. ნეიმანს, ნ. ქუმსიაშვილს, მ. ძიძიშვილს და შ. ცირღილაძეს, რომელთაც სრულიად უსასყიდლოთ მიიღეს მონაწილეობა ხსენებულ კონცერტში და მით დახმარება გაუწიეს სოფლის გლეხთა ბავშვებს.

საერთო შემოსავალი კონცერტისა იყო 495 მ. და 15 კ., ხოლო გასავალი 95 მ. და 15 კ. ამგვარად წმინდა შემოსავალი დარჩა ოთხასი (400) მანეთი, რომელიც გადაეგზავნა ნახუნოუს თემის აღმასკომის თავმჯდომარეს დანიშნულებისამებრ გადასაცემათ.

კონცერტის მომწყობი

აკაკი ფალავა.

—

პატივცემულო ამხ. რედაქტორო!

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით, უღრმესი მადლობა უძღვნათ საქ. განათლების კომისარიატთან არსებულ სოციალურ აღმზრდელობის გამგეობას, რომ მათ ქალაქ კრასნოდარის ახლად გახსნილ პირველ საფეხურის ქართულ სკოლისათვის არ დაიშურეს საჭირო წიგნების უფასოდ დათმობა, რითაც საშუალება მისცეს სკოლას დაეწყო ნორმალური მეცადინეობა მიმდინარე სამოსწავლო წელში.

მონდობილობით:

ვალერიანე ცინცაბაძე.

მეცნიერება და ტეხნიკა

პარაშიუტების გამოცდა

შეერთებულ შტატებში მოახდინეს პარაშიუტების (ჰაეროპლანიდან მიწაზე დასაშვები ქოლგების) მეტად საინტერესო გამოცდა.

გამოსცადეს 5 სხვადასხვა სისტემის პარაშიუტი. პარაშიუტები, რომლებიც მიმაგრებული ჰქონდა მფრინავებს ზურგზე, ჩამოჰკიდეს ჰაეროსტატს ერთი კილომეტრის სიმაღლიდან ბაწარი, რომლითაც პარაშიუტები მიბმული იყვენ ჰაეროსტატზე, გასჭრეს და 5 კაცი შურდულივით გამოექანა დედამიწისაკენ. ოთხი პარაშიუტი კარგად გაიშალა და მფრინავები უვნებლად დაეშვენ მიწაზე, მეხუთე კი დაზიანდა და სახურავზე ჩამოვარდა. მფრინავი მსუბუქად დაშავდა.

ახალი ცნობები მარსის შესახებ.

ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი ობსერვატორიის (ეს ობსერვატორია მოწყობილია ვილსონის მთაზე) დირექტორი ჩარლ ჯონსი დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ იმ დასკვნამდი მივიდა, რომ მარსზე სულ სხვა პირობებია სიცოცხლის განვითარებისათვის, ვიდრე დედამიწაზე. მარსზე წყალი ორჯერ ნაკლებია, ვიდრე დედამიწაზე. მარსის ატმოსფერაში მჟავბადის რაოდენობა შეადგენს 50 პროც. დედამიწის ატმოსფერაში მჟავბადის რაოდენობისას. ტემპერატურა კი მარსზე თითქმის იგივეა, როგორიც დედამიწაზე.

ბორელის კუდიანი ვარსკვლავი.

იმ პერიოდულ კუდიანი ვარსკვლავების სიაში, რომლებიც აღმოჩენილი იქნენ 1925 წ. სექტემბერში, შეტანილია მეხუთე კუდიანი ვარსკვლავი—ბორელის კუდიანი ვარსკვლავი. პირველათ ის აღმოჩენილი იქნა 1905 წ. შემდეგ ის გამოჩნდა 1911 და 1917 წ.წ.

ამჟამად კუდიანი ვარსკვლავი იმყოფება დედამიწის სამხრეთ-ნახევარ სფეროში, არგოს ხომალდის კრებულში. საბჭოთა კავშირში, გარდა სამხრეთ რაიონებისა, კუდიანი ვარსკვლავი არ სჩანს.

ვარსკვლავი, რომელმაც შემოუარა მზეს, თანდათანობით უახლოვდება დედამიწას და ყველაზე უფრო ახლო იქნება ჩვენთან დეკემბრის დამლევს.

მაშინ ამ კუდიანი ვარსკვლავის დანახვა შეიძლება პატარა ტელესკოპებითაც.

ძველი გაზეთებიდან—წმინდა ქაღალდი.

ამერიკაში აღმოაჩინეს ძველი გაზეთებიდან წმინდა ქაღალდების მიღების ახალი საშუალება. დღემდი ცდილობდენ დაბეჭდილი გაზეთების გაწმენდას ნაბეჭდისათვის ფერის დაკარგვით. მაგრამ ამ წესით მიღებული ქაღალდი ნაცრისფერი გამოდიოდა და არ ვარგოდა წიგნების დასაბეჭდათ.

ახალი წესით, საღებავს დაბეჭდილი გაზეთებიდან სწმენდენ ნატრიუმისა და ტუტეს საშუალებით. ამრიგათ მიღებული ქაღალდი სავსებით წმინდაა.

იურიდიული რჩევა-დარიგება

ადმინისტრაციას აქვს თუ არა უფლება დაითხოვოს სამსახურიდან დაქირავებული, მისი ავადმყოფობის დროს

კ ი თ ხ ვ ა

მე ვმუშაობდი ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულებაში სამი წლის განმავლობაში. ამ სამი თვის წინედ გავხდი ავად. ჩემი ავადმყოფობა გაგრძელდა ორ-თვე ნახევარი. ამ ხნის განმავლობაში ადმინისტრაციამ დამითხოვა სამსახურიდან.

გთხოვთ, განმარტებას: ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციას უფლება ჩემი ავადმყოფობის დროს განმავლობაში დავეთხოვე სამსახურიდან.

დარაჯი გი—ლი.

პ ა ს უ ხ ი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის აბზაცი „ჰ“-ისა, თუ დაქირავებული (ამ შემთხვევაში თქვენ) შრომის უნარდაკარგვის (ავადმყოფობის) გამო სამუშაოზე არ გამოცხადდა ორ თვეზე მეტ ხნის განმავლობაში დღიდან შრომის უნარდაკარგვისა, დამქირავებელს (ადმინისტრაციას) აქვს უფლება დაარღვიოს შრომის ხელშეკრულება და მოხსნას იგი სამსახურიდან.

ამ გვარათ ადმინისტრაციას ჰქონდა უფლება ორ-თვეზე მეტ ხნის თქვენი ავადმყოფობის გამო, თქვენ დაეთხოვეთ სამსახურიდან.

—

სამუშაოს უკანასკნელ დღის შესახებ

კ ი თ ხ ვ ა

მე ვმსახურობდი ერთ-ერთ სახელმწიფო მინიმუმზე მყოფ დაწესებულებაში მთელი ორი წლის განმავლობაში. ორი კვირის წინეთ შტატის შემცირების გამო მომხსნეს სამსახურიდან; ანგარიში კი ჩემთვის დღემდე არ გაუსწორებიათ. მე ყოველ დღე მიხდება დაწესებულებაში უნაყოფო სიარული.

გთხოვთ, ახსნა-განმარტებას, ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია ანგარიშის გასწორების დღემდის, მაძლიოს ხელფასი.

მოსამსახურე კოტ--შვილი.

პ ა ს უ ხ ი

თანახმად ამ.-კავ. კომისართა საბჭოს დადგენილება № 17-ისა 1923 წლის 20 თებერვლიდან, ადმინისტრაცია ვალდებულია სამუშაოდან მოხსნილ მუშა-მოსამსახურეს გაუსწოროს დაუყოვნებლივ ანგარიშები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი (დამქირავებელი) ვალდებულია აძლიოს მას შრომის ხელფასი ანგარიშის სრულიად გასწორების დღემდე, ვინაიდან მხოლოდ ეს დღე ითვლება სამსახურის უკანასკნელ დღეთ.

თუ კი ანგარიშის დაგვიანება გამოწვეულია დათხოვნილის პირადი განზრახვით (მაგ. იგი განზრახ არ გამოცხადდა ანგარიშის მისაღებად და სხ.), მაშინ სამუშაოს უკანასკნელ დღეთ ითვლება ის დღე, როდესაც იგი ფაქტიურად მოხსნილი იქნა სამუშაოდან და მას ანგარიში გაუსწორდება მხოლოდ იმ [illegible] თანჩართვით.

კანონიერია თუ არა საბინაო ამხანაგობის მოქმედება

კ ი თ ხ ვ ა

როგორც მოსამსახურეს უთახობის გამო დამეთმო ყოფილი სამზარეულო პლეხანოვის პროსპექტზე № 108 სახლში სახლკომის თავმჯდომარის მიერ. აღნიშნულ სამზარეულოს სჭირდებოდა კაპიტალური რემონტი, რაც ნახევრად მე გაუკეთე მთლათ კი ვერ შევძელი მცირე ჯამაგირის გამო. „საბინაო მუშათა კოოპერატივმა“ კი, მიუხედავად მისი დაპირებისა, დახმარება არ აღმომიჩინა. რადგანაც იქ ცხოვრება შეუძლებელი იყო, თანახმად ჩემი თხოვნისა დამეთმო იმავე სახლებში მეორე ოთახი, რომელსაც არ ჰქონდა კარები, შინა კედლების ნაწილიც იყო ჩამონგრეული. ყოველივე ეს მე გაეუკეთე და თანაც სახლკომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ რემონტებზე დახარჯული ფული მე ჩამეთვლებოდა ბინის ქირის ანგარიშში.

დღეს, აღნიშნული სახლები გადავიდა „საბინაო ამხანაგობის“, განკარგულებაში. უკანასკნელს კი არ სურს ჩამითვალოს გაწეული ხარჯები ბინის ქირის ანგარიშში და მოითხოვს ასეთის გადახდას.

გთხოვთ განმიმარტოთ, თუ რამდენად კანონიერია საბინაო ამხანაგობის მოქმედება.

კავშირის წევრი. (წიგნაკი № 96470).

პ ა ს უ ხ ი

თანახმად თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილება № 88-ისა (1925 წ. 31 ივლისიდან. სახლისთვის კაპიტალური რემონტის გაკეთება ევალება სახლის მფლობელობას. თუ კი იგი აღნიშნულ რემონტს არ გააკეთებს, მდგმურს აქვს უფლება თვითვე შეაკეთოს სახლი და რემონტზე დახარჯული თანხის ანაზღაურება მოითხოვოს სახლის მფლობელობისაგან და ეს უკანასკნელი ვალდებულია აუნაზღაუროს მდგმურს დახარჯული ფული.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიური საბჭოსი „საგაკვეთილო დებულების“ სახელმძღვანელოდ შემოღების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე ქართულ ენაზე გამოცემული „საამშენებლო სამუშაოთა საგაკვეთილო დებულება“.

2. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებასა და ორგანიზაციას—ყოველგვარი საამშენებლო ხარჯთაღრიცხვისა და გეგმის შედგენისათვის იხელმძღვანელოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიური საბჭოს მიერ 1925 წ. ქართულ ენაზე გამოცემული 1-ლ მუხლში აღნიშნული „საამშენებლო სამუშაოთა საგაკვეთილო დებულება“.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე

შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. ხილაძე.

1925 წ. დეკემბრის 10.

თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა ცხოვრება

პ ა რ ტ ი უ ლ ი

საქ. კომპარტიის ლენინის რაიკომი აუწყებს საწარმოო უჯრედების ყველა მდივნებს, რომ 11 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე სანიტარულ განათლების კავშირის ბინაზე გაიმართება

საწარმოო უჯრედების ბიუროების კონფერენცია

(მთავარ სახელოსნოების, დეპოს, სტამბის, სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბნის, სატელეგრაფ. სახელოსნოების და მო | 2,—მ გ.).

დღის წესრიგი: შემდეგ უჯრედების მდივანთა მოხსენებები ადგილებიდან:

1) ამხ. ლაზარიშვილი—დეპოს უჯრ. 2) ამხ. ინაური—სტამბის უჯრ. 3) ამხ. აზრუმელაშვილი—მთ. სახელოსნოების ხარატთა ცეხის მდივანი

საწარმოო უჯრედთა ბიუროების ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ლენინის რაიკომის მდივნის მოადგილე კომახიძე.

—

— საქართველოს ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტი აცხადებს, რომ პარასკევს 11 დეკემ.—25 წ., ნაშუადღევის 1 საათზე შესდგება თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის საგანგებო სხდომა.

სავალდებულოა ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება დაუგვიანებლად.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ამხანაგები არ გამოცხადდებიან, მათი ანკეტები არ იქნება ხელმეორედ განხილული და უკან დაუბრუნდება მათ.

1) ვლადიმერ სლინკო, 2) ალექსანდრე თოდრია, 3) აშოთ ცატაროვი, 4) გიორგი ბაგრამოვი, 5) რუბენ ტარაიანი, 6) კონსტანტინე არუტიუნოვი, 7) აბელ გრიგორიანი, 8) ბორის იხილჩიკი, 9) ნადეჟდა მაქსიმოვა, 10) მარიამ ფილიპოსიანი, 11) შალვა მაისაშვილი, 12) სერგო ცინცაძე, 13) ალექსი ამშინაშვილი, 14) შიო დავლიანიძე, 15) ზავენ დურგორიანი, 16) ალექსანდრე უშვერიძე, 17) კიმ ანდრამასოვი, 18) ხორენ ჩახმახჩევი, 19) ალექსანდრე სიჭინავა, 20) ალექსი მარგიევი, 21) ანნა თუსიევა, 22) მუზა ალექსანდერ, 23) ალექსანდრა სტიოხინა, 24) ანნა მურადოვა, 25) ზ. კორსუნსკაია, 26) გერასიმე ბურჭულაძე, 27) ბაგრატ ნალბანდიანი, 28) პავლე მალიგინი, 29) ანდრონიკ ინოეკიანი, 30) გიორგი აქვერაშვილი, 31) აკაკი ბერულაშვილი, 32) ოლღა გარიშვილი, 33) გალუსტ სოლოდოვი, 34) რაფიელ კეირკველია, 35) ვლადიმერ შობიაშვილი, 36) ნინა სირევა, 37) აბრამიშვილი ანნა, 38) გრიგოლ ცაბაევი, 39) მიხეილ ცერცვაძე, 40) მ. მიქაძე, 41) ივანე ბირიაევი, 42) ევგენი არგლია, 43) მარკან ახობაძე, 44) ალექსანდრე ლომთაძე, 45) თამარა ადამია, 46) ნიკოლოზ სევერუხინი, 47) ვალენტინა ნესტეროვა, 48) მარიამ დიომკინა, 49) მარიამ ანიანცი, 50) გიორგი დეკანოსიძე, 51) თამარა შუკარაშვილი, 52) თეშაშვილი ლიოვა, 53) ელენე სასულინა, 54) ზაალ მიქაძე, 55) სონია ვადალაშვილი, 56) ანნა ზოლოტარევა, 57) ევგენია ასლამაზოვა, 58) ს. ბერზენოვი, 59) დავით ტორჩინაძე, 60) ვიტალი პლევკოვი, 61) ივანე ბესტრეკოვი 62) მარიამ ბარათოვა, 63) ირაკლი წერეთელი, 64) ანტონა ჩიკომავა, 65) ვერა დოროვსკაია 66) ალექსანდრე მირხოტინკო, 67) ლიდია სარიჩევა, 68) მარიამ სტეპანოვა, 69) ლარისა სკორუბსკაია, 70) ევგენია დიმოვა, 71) ნინა გარსამაშვილი, 72) თამარა გოჩიაშვილი, 73) მიხეილ ტარასოვი, 74) ბახტარიანცი, 75) ალ. ალანციანი, 76) მარიამ დიმკოვა, 77) თამარა კვესაძე, 78) ვოროტოვი, 79) სერგო ივანოვი, 80) ვასილ საყვარელიძე.

—

— შაბათს, 12 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ა | კ. ავიაქიმის ბინაზე (კალოუბნის ქ. № 7) მოწვეულია გაფართოებული კრება ქალაქის რაიონის ავიაქიმის უჯრედების მდივნებისა უჯრედების პრეზიდიუმის წევრებთან ერთად.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: 1) ავიაქიმის უჯრედების მუშაობის გეგმა, 2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება სავალდებულოა ყველასთვის.

—

— ქალაქის რაიკომი იუწყება: შაბათს, 12 დეკემბერს, დილის 10 საათზე, რაიკომის ბინაზე მოწვეულია უმაღ. სასწ. უჯრედების ბიუროების თათბირი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ შ ი: პარტმუშაობა უმაღ. სასწავლებლებში.

დასწრება სავალდებულოა ბიუროს ყველა წევრებისთვის.

—

— არსრაიკომის სააგ.-საპროპ. განყ. იუწყება: შაბათს, 12 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე მოწვეულია რაიშეფბიუროს სხდომა საშეფ. საზოგად. თავმჯდომარეებს და მდივნებთან ერთად.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: 1) არსენალისა, ტრამვაისა და ლით. ტრესტის შეფკომისიის მოხსენება, 2) არსრაიშეფბიუროს მოხსენება, 3) საშეფ. საზ. რაიკონფერენციის მოწვევის შესახებ. 4) მიმდინარე საკითხები.

დასწრება სავალდებულოა ყველასთვის.

მდივნის მაგ.—წ ი თ ლ ი ძ ე.

—

— კომკავშირის მესამე რაიკომი იუწყება: დღეს, 11 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, მშენებელთა კლუბში შესდგება აქტივის თათბირი მესამე რაიონის დამხმარე ჯგუფების ორგანიზატორთა თანადასწრებით.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ შ ი—კომკავშირის თ. კ. მოხსენება თავის მუშაობის შესახებ.

დასწრება სავალდებულოა რაიკომის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის, უჯრედების ყველა მდივნებისა და წევრებისათვის და აგრეთვე დამხმარე ჯგუფთა ორგანიზატორებისთვის.

მდივანი—ა ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი.

—

— თ. კ. აღრიცხ.-გამნაწ. განყ. სთხოვს, ამხ. ჩარკვიანთან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

გაბო დიღმელაშვილი, ნინა მჭედლიშვილი, ანნა პეტროვა, რომანოზ გოჩიტაშვილი, მაცაკ პაშინიანი, ივან საჩკოვი, სერგო გაბუნია, ბარნაბ სანიკიძე, აიკუშ ვართანიანი, გალიბ იზატოვი, დომენტი თხილავა, ათაბეგოვი.

—

— თ. კ. სააგ.-საპროპ. განყ. იუწყება: დღეს, 11 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე სააგ.-საპროპ. ცენტ. კაბინეტში (ყოფ. ცენტ. პარტკლუბი.) შესდგება კრება საღამოს ყველა საბპარტსკოლების მასწავლებლებისა.

დასწრება ყველასთვის სავალდებულოა.

—

— თ. კ. საორგ. განყ. იუწყება: დღეს, 11 დეკემბერს, დილის 9 საათზე, კომიტეტის ბინაზე შესდგება საორგანიზაციო თათბირი.

—

— თ. კ. წინადადებას აძლევს პარტიის წევრებს და კანდიდატთ მყოფ ყველა სტუდენტებსა და მუშფაკის მსმენელებს, რომლებიც ითვლებიან 1, 2, 3 რაიონის უჯრედებში—6 დღის განმავლობაში მიმაგრდენ თავიანთ უმაღ. სასწ. უჯრედებზე.

განცხადებები

კვირას, 13 ნოემბერს სოფ. ჭალაში (საჩხერის რაიონი) დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ელისაბედ (ლიზა) ალექს. წერეთლის ასულის ასათიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ღრმათ დამწუხრებულნი—ქმარი ნიკიფორე ლუკასძე და შვილი ლევან ასათიანები 792 1-1

—

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ივანე ქრისტეფორისძე შვილებით ელენა და ანიმპოტისტე ჯანუაშვილები, ოლინკა, ივანე ჯანუაშვილის ასული ქებაძისა ქმრით, შვილებით და სიძეებით. შვილი ნინუცა ერისთავისა, მაზლის წული ანტონ ჯანუაშვილი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი

ეკატერინე ქაიხოსრო ჯაფარიძის ასული ჯანუაშვილისა

გამოსვენება ხ|წ. 11 დეკემბერს მიხეილის სავადმყოფოდან ნაშუადღევის 4 საათზე, დაკრძალვა მოხდება ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე 791 1-1

სახელმწიფო დრამა

შაბათს, 12 დეკემბერს

ს ი ნ ა თ ლ ე

დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა. მხატვარი ირ. გამრეკელი. ორკესტრი საოპერო სტუდიის.

კვირას, 13 დეკემბერს

მზის დაბნელება საქართველოში

დადგმა კ. მარჯანიშვილის

ნ. 406 3—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 11 დეკემბერს

სანდრო ინაშვილის მონაწილეობით

ევგენი ონეგინი

ნ. 401 2—2

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

შ. ი. მიხალევსკის „პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—39

ხელის მომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

აპოლო ართისტიკ [illegible]

საუცხოვო სურათი

ნიშანი „ზორო“

დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით

პირველ სეანსის დაწყებამდე პარტერი—[illegible] ამფიტეატრი—25 კ.

4 ადგილი—25 კაპ.

რიჩარდ ბართელმესის სურათში

ტროფების ყვავილი

დავით გრიფიტის დადგმა სოლო—იაკობ ბაჩდსკი

საუკეთესო სურათი

ინდოეთის აკლდამა

მთავარ როლებში მიამაი, კონრად ვეიდტი, ლია დე პუტი

1 და 2 სერია ერთად

0-10 ნ. 324

მოითხოვეთ პარფიუმერია „ანგო“

„ანგო“ აძლევს სახეს ნაზ ფერს.

პუდრი „ანგო“—შეუმჩნევლათ რბილი და ნაზი.

კბილის პასტა „ანგო“—სასიამოვნო სურნელებას აძლევს პირის ღრუს და ამაგრებს ღრძილებს.

[illegible] გლიცერინი „ანგო“—არბილებს პირის და ხელების კანს.

იყიდება ყველა საპარფიუმერიო კოსმეტიკურ მაღაზიებში.

4— 2 343 ნ.

ექიმი თოდაძე

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტი, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაახალგაზრდავების თანამედროვე მეთოდებით და სხვ.), ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 საათ. ბელგიის ქუჩა № 1.

ექიმი **კ. ი. ჯალალოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი სიფილისი, შეშხაპუნება „914“ გონორეის და მისი შედეგების წამლობა, ავადმყოფები მიიღება დილის 7—9 საათ. საღამოს 5-დან 9-მდე. მისამართი კამოს ქ. № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) გასონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად

25—1

ელექტრონით და სინათლით

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლებით რენტგენი დ·არსონვალი

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფებისათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9235 25 1 1

ექიმი **ი. ა. შაშკი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება 2—3 საათ. და 6—8 საათ. კურსანტების ქ. (ყოფ. კადეტის ქ.) № 6, მესამე სართული.

ექიმი **მალაევი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების სნეულებაში. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 7—9 საათამდე.

თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47.

ტომსკის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

დ. ე. პაპიტაშვილი

იღებს ავადმყოფთ შინაგან სნეულ. ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე. კრილოვის ქ. № 8. 625 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპერის ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

დოქტორი **გ. მებრაგიანი**

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის ჰაერით პნეიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის, ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. ზუბალოვის ქუჩა, № 23.

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს“ პირდაპირ მიღება 8—11 დილ., 6—3 საღ.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ხო-მონდი).

გარეთა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, საშარდე სისტემა, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

ექიმი **ე. მ. მქინარიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1—2 ს. და საღამოს 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპ ქტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

ექიმი **არსენ ვადაჭკორია**

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგანი სენით ავადმყოფთ. აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს., საღამოს 4—7 ს. ოლღის (ლენინის ქუჩა) № 35.

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

კასტუმრო „ნიუ“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

ლანჩხუთის უბ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ჩ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი

ამით აცხადებს, რომ 30 დეკემბერს ამა 1925 წ., დილის 10 საათზე, ქ. ლანჩხუთში სასამართლოს შენობის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა კუთვნილ ელისაბედ კაციას ასულის ძაძამიას ქონებისა, სახელდობრ: ერთი თვალი ქვის დუქნისა, ქერამიტით დახურულის, აგებულის ქ. ლანჩხუთში, მარქსის ქუჩაზე № 16 და აწერილის ივანე კიტიაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად; აწერილი ქონება შეფასებულია [illegible] ოცდა სამი მანეთად და ამ თანხიდან დაიწყება ვაჭრობა.

793 1—1

—

თბილისის მე-6 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

ი. ბ ე ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი

აცხადებს, რომ 15 დეკემბერს, 1925 წ. დილის 11 საათზე, მეჩნიკოვის ქუჩ., № 5, საჯარო ვაჭრობით იქნება გაყიდვა შენობისა კალენიკე ანთიმოსის ძე გამცემლიძისა რომელიც შესდგება სახლის ავეჯისგან, შეფასებული 230 მანეთად, დასაკმაყოფილებლად სამმართველოს პასუხისმგებელ შრომის არტელის, თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლის 2 მარტის, 1925 წ. № 9922.

787 1—1

—

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი

ლ. ს ვ ი ა ტ ო დ უ ხ ო ვ ი

ამით აცხადებს, რომ ის 14 დეკემბერს, 1925 წ., დღის 12 საათზე, სახლში № 15, ფეთხაინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის დავით დანელოვის მოძრავ ქონებას—ბინის მოწყობილებას, შეფასებულს 285 მანეთად, გიორგი ბაზარაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 2 დეკემბ. 1925 წ. [illegible], № 4303 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა ჩ. 790 1-1

—

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

ძ ა მ ო ე ვ ი

ამით აცხადებს, რომ 14 დეკემბერს დანიშნულია მეორე საჯარო ვაჭრობა ალექსანდრე ბაბაჯანოვის ქონების გასასყიდათ. ქონება შესდგება საოჯახო ნივთებისა და 60 ცხ. ძალ. მატორისაგან, რომელიც მოთავსებულია ნუხის ქ. № 17. ქონება შეფასებულია 5767 მანეთად, რომლითაც დაკმაყოფილებული იქნება სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალური სატრანსპორტო სამმართველოს და „სევკავტორგი“-ს პრეტენზიები მე-2 რაიონის სახალხო სასამართლოს ბრძანების თანახმად. 797 1-1

—

თანახმად ნადის წევრების დადგენილებისა 10 დეკემბრიდან ნადი „სინათლე“ სწყვეტს არსებობას, სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარეთ არის არჩეული ნადის თავმჯდომარე აკაკი მეგრელიშვილი, ყველა ცნობების შესახებ, რომელიც შეეხება ნადს, შეუძლიათ მიმართონ მას შემდეგი მისამართით: ბნელი რიგი, № 12, ინვალიდთა ნადი „პროდუქტი“.

ნადის თავმჯდომარე ა. მეგრელიშვილი

წევრი ს. აკოფოვი

საქმისმწარმოებელი ნ. პოლეტაევი.

—

Судебный исполн. Нарсуда 4-го района гор. Тифлиса

К. Потемковский

сим об'являет, что 14 сего декабря, в 11 час. утра, в квартире Рубена Джагирбекова по Екатерининской ул. в д. № 14 им будет продаваться с 1-го публичного торга следующее имущество его, Джагирбекова, оцененное для продажи в 73 руб. книжный шкаф, обеденный раздвижной стол, туалетное зеркало, кавказский ковер, подержанные пиджак и брюки 802 1—1

—

დაკარგე მოწმობა ნამსახურის მექანიკური შემკეთებელი ქარხნიდან მოცემული გაბრიელ ბერეკიძის სახელზე. ჩ. გ.

783 1—1

—

დაკარგე საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების პროფკავშირის საწევრო ბარათი № 2586 გაცემული ეფემია კაციას ასულის როთველაძის სახელზე. ჩ. გ.

788 1—1

—

დაკარგე რეგისტრაციის ბარათი გიორგი ილიას ძე გულმაგარაშვილის სახელზე. ჩ. გ.

795 1—1

—

დაკარგე დროებითი მოწმობა ს. ა. ლ. კ. კ. შორ. მაზრის ჭიათურის სამაზრო კომიტეტის მიერ მოცემული, ქვითარი ჟურნალ „სოფლის კომუნისტას“, ს. ფ. მ. ს. წიგნაკი, პირადობის მოწმობა შორ. მაზრის ქვედა საზანოს თემის მიერ მოცემული მიხეილ გრიგორის ძე ნებიერიძის სახელზე. ჩ. გ.

796 1—1

—

დაკარგე პირადობის მოწმობა, სამხედრო აღრიცხვის ბარათი და პატენტი ვანო არჩუაძეს სახელზე ჩ. გ.

798 1—1

—

დაკარგე ფოთის დამხლმევ სალაროსაგან მიღებული ბავშვის რძის წიგნაკი № 214 ისაკი მექვაბიშვილის სახელზე. ჩ. გ.

799 1—1

—

დაკარგე საამშენებლო პროფკავშირის წიგნაკი ილია ქუჩუკაშვილის სახელზე № 924. ჩ. გ.

794 1—1

—

დაკარგე კავშირის წიგნაკი № 4743, და პირადობის მოწმობა ნიკოლოზ გედევანიძის სახელზე. ჩ. გ.

405 1—1

ტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს საშწულუკიძის ქუჩა № 4